

15152/4

N2 2021

ნოემბერ-დეკემბერი

10

644 /2
2021

გურამ ახანტაშვილი
გიორგი ბალახაშვილი } პოვზი

ბასო ხველაშვილი
ლევა ბაქანიძე } პროზა

თამარ გალიტაშვილი - გურამ პატრიაშვილის ზოგანზე
ლალი ავალიძე - ალექს ქიქოძის „ნორვეგიულ დღიურზე“

ვწერ: ერთსაღმია ვა და ზეცხვები შემოსილი
ხელი ვა და ახალი გარემო კარგი კანონის გენერალი

გამოცხად

და მარა

ცისკარი

1852

№ 2 // 2021

ლიფერაციული -
სამიგრაციო ქურნალი

ამირან გომართელი
მთავარი რედაქტორი

თამარ გელითაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ლევან ბრეგაძე
თავმჯდომარე

გიორგი ალიგეგაშვილი
გალათის არაზული
დათია გადალაშვილი
კარლო ბარდაველიძე
ლუკა გაერიძე
ვახტანგ გურული
ნინო ღარგაისელი-სტრონი
ალექსანდრე მიშელაშვილი
ნათია როსტიაშვილი
გიორგი სოსიაშვილი
ეანა ტურაზელიძე
ჰარუნ ჩიმე
გესო ხვედელიძე
გიორგი ხულონდავა

ქურნალი გამოდის
საჭართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის
სამინისტროს მსარდაჭერით

ciskari1852@gmail.com

<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

ადასინა უკომანატონი		არიტინა-ესეისტისა	
აკაკი წერეთელი	3	თამარ გელიტაშვილი	45
კუდაბზიკეთი		გურამ პეტრიაშვილის	
გალაკტიონი - 130		„წვიმის მოყვარული კაცის	
ამირან გომართელი	6	ამბავი“	
ედგარ პოს -		ლალი ავალიანი	51
„აჩრდილს თანაზიარს“		არჩილ ქოქოძის	
პოეზია		„ნორვეგიული დღიურის“ გამო	
გურამ ჯახუტაშვილი	12	ვირჯინია ვულფი	60
პესო ხვედელიძე	17	ესეი კრიტიკაზე	
კაკლის მაში		ინგლისურიდან თარგმნა	
პოეზია		ქეთევან გახოკიამ	
გორგი ბალახაშვილი	27	ახალი თარიღები	
პოეზია		ლუდმილა ულიცკაია	66
ლუკა ბაქანიძე	32	ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს	
კორონა ბოჭურად		რუსულიდან თარგმნა	
პოეზია		აკაკი დაუშვილმა	
მამუკა ოჩიაური	41	გეორგ თრაკლი	74
გეორგი ბაქანიძე		გერმანულიდან თარგმნა	
კორონა ბოჭურად		რუსულან ბრეგაძემ	
კურტ ვონეგუტი		კურტ ვონეგუტი	79
ადამიანი ქვეყნის გარეშე		ადამიანი ქვეყნის გარეშე	
ინგლისურიდან თარგმნა		ინგლისურიდან თარგმნა	
ნინო თოხაძემ		ნინო თოხაძემ	

გარეკანზე - გალაკტიონ ტაბიდის 1957 წლის ფოტო

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
 გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
 უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
 განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ
 ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

პაკი ნერეთელი

კუდაბზიპეთი



იყო და არა იყო რა. იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძნობაზე უფრო შეიშის გრძნობა ჰქონდა გამოფხიზლებული და ყოველგვარ საშიშ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოფილიყოს და გინდ უსულო, ყოვლის შემძლებელად ისახავდა, აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა.

მრავალდმერთობის დრო იყო და ყოველ ერს თავისი შესაფერი ღმერთი ჰყავდა: ზოგს ლომი, ზოგს სპილო, ზოგს გველეშაპი, ზოგს დიდი გველი და სხვანი. ერთი სიტყვით, ვისთვისაც რა უფრო საშიში და საფრთხილო იყო, იმას ემონებოდნენ.

სხვათა შორის, იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბზიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექიაობის მეტს ვეღარას ახერხებდნენ: უჯდნენ კერას და ერთმანეთს უჩუჩხურებდნენ.

მათთვის რაღა საჭირო იყო ან ლომი, ან ვეშაპი, რომ მათი მანუხებელი ჭიალუაც დიდი რამე ეგონათ? და მოინდომეს მკბენარის თაყვანისცემა,

მაგრამ არ იცოდნენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისათვის თუ რწყილისათვის? ზოგს ის მოსწონდა, ზოგს ეს!.. არჩევანზე მივიდა საქმე. კუდაბზიკელები ორად გაიყვნენ. ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მეორემ რწყილი.

ვერ შეთანხმდნენ, მოუვიდათ ჩხუბი და ნაცარმტუტი აადინეს. დაერიენ ერთმანეთს და აღარ ზოგავდნენ. ამ საბრალოებს სულ კერას ძირში ეძინათ, არაფერს არ დასდევდნენ, არა ეინტერესებოდათ რა, და მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს გამოაჭყეტდნენ თვალებს ბეცად, ახორხოზდებოდნენ, აჭიჭყინდებოდნენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდნენ თვალებში და არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, ისევ ისე ჩვეულებრივად მიეგდებოდნენ კერას ძირას...

ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია!.. კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მაღე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბზიკების ქვეყანაშიც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა,

თავისაში დვირესაც ვეღარ ხედავდა.

დიდი და პატარა ენად იყო გადაქ-
ცეული; ტიტინობდნენ და ლაქლაქობ-
დნენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მა-
გალითად, „შარშან ზამთარში კურდლე-
ლი მოთოვაო“, მეორე დაუმონმებდა:
„მართალიაო! და შიგადაშიგ შველიც
გამოურიაო“. ყველა ტრაბახობდა, ყვე-
ლა თავის თავზე ლაპარაკობდა, გაის-
მოდა განუწყვეტელი „მე, მე და მეო!“
ასე რომ ბრმას რომ ყური დაეგდო,
იფიქრებდა: აქ სწორედ სადღაც თხის
ჯოგიაო. მართალია, თითო-ოროლა
შეგნებული და ქვეყნისთვის გულშე-
მატკივარი მათშიაც ერია, მაგრამ იმ
არევ-დარევაში და საერთო ხორხოზში
ვინდა რას გაიგონებდა, რომ ყურთას-
მენა ალარსად იყო.

— თქვე უბედურო, ნაცარქექიებო,
მოეგეთ გონებას, — ურჩევდნენ შეგნე-
ბულები საბრალო თანამემამულეებს,
— რა დროს ეგ წილადობილა?.. რას
გადაჰყოლიხართ მაგ „რწყილობია-ტი-
ლობიას“? ისე როგორ დაგაბრმავათ
ცოდვამ, რომ ცხვირს იქით ვეღარასა
ხედავთ? ქვეყანას ნადირ-მხეცები შე-
მოსევიან, ლამის გაგვანადგურონ, ერ-
თი ტყვილა შემქაქნებელიც არსადა
სჩანს და თქვენ კი ჭიანჭველეთში გინ-
დათ თავი ისახელოთ და ისიც უკულ-
მართობითო!..

— არ შეიძლება, არ შეიძლება! —
ყვიროდნენ ნაცარქექიები, — ჩვენც კა-
ცები ვართ, ქუდი გვახურავს და ულვა-
შები გვასხია!.. სხვებს თუ ჰყავსთ სა-
თაყვანო და არჩევნებში შედიან, ჩვენ
რაღა ვართო?

— კი ბატონო! მაგრე იყოსო, — უპა-
სუხებდნენ შეგნებულები. — აარჩიეთ
მაგრამ მისთანა კი, რომ ვარგოდეს
რამედ და ქვეყნის გამოსადეგი იყოს
რამეშიო!.. თუ მართლა მწერ-ბუზებს
იქით გზა ალარა გაქვსთ რა, ფუტკა-
რი აირჩიეთ: ის მაინც თაფლსა და
სანთელს აკეთებს; ან აბრეშუმის ჭია,
დარაიას რომ გაძლევსთ! ან წურბელა,

ცუდი სისხლის სხეულიდან გამომწო-
ვიო და სხვანი...

— ეჱ, არა, არა! — გაიძახოდნენ ნა-
ცარქექიები, — ფუტკარი მოუსვენარია,
გარეთ დაბზუის აქეთ-იქეთ და ჩხვლე-
ტაც მწარედ იცის, ყაჭის ჭია — მყრა-
ლია, წურბელი მოსისხარია და სხვა-
ნი. ბატონი ტილი და ბატონი რწყილი
კი განუშორებლად სულ ჩვენთან არიან
და მხოლოდ ამ ორ გვარს ეკუთვნის და
შეშვენის ჩვენი თაყვანისცემაო! ამ ორს
იქით გზა არა გვაქვს. ან ერთი უნდა
ავირჩიოთ და ან მეორე და საქმე მხო-
ლოდ ჯობინობაზე არის მიმდგარიო!

— სად თქვენი კანდიდატი და სად
ჩვენიო? — გაიძახოდნენ ტილაძეები. —
თქვენი ერთი გიუი ვინმეა, მოუსვენა-
რი, ხან აქ არის, ხან იქ, ერთ ალაგას
ვერ მიისწრებ, ვერ გააჩერებ! ხან აქ
შეძვრება და ხან იქ, დღედაღამ მოს-
ვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია,
იქ გაჩნდება, სადაც არ ელი, იქ გიკ-
ბენს და თუ შეგატყოთ, ჩემი დაჭერა
უნდათო, ისკუპებს და ცხრა მთას გა-
დაევლება! ჩვენი კანდიდატი კი მშვი-
დობიანი, დარბაისელი, დამჯდარი ხა-
სიათის, მორიდებულ-მოკრძალებული;
შორს წასვლის თავი არა აქვს!.. მარ-
თალია ხანდახან ჩუმად იკბინება, ისე
რომ ტანს მოგაფხანინებს, მაგრამ, თუ
შეგატყო აღმფოთება, შეინანებს და იქ-
ვე სადმე ნაოჭში მიიმალებაო.

— ეგ ლირსება კი არ არის, წუნიაო,
— უპასუხებდნენ რწყილაძეები, — ჩვენი
კანდიდატი კი მარდია, ცოცხალი, მიხ-
ტი-მოხტის, ხან იქ შეძვრება, ხან აქ!..
გაგაღვიძებს, გამოგაფხიზლებს და გა-
გაშფოთებსო!.. თქვენი კი საზიზლარი
რამ არის და ყოვლად საბრალო!

ასე ამგვარად, თავისებურად თავ-
თავისას გაიძახოდნენ ორივე მხრით
მოპირდაპირეები და მათ ბრძოლას და-
სასრული აღარ ჰქონდა. ბრძოლაც ხომ
ახირებული იყო ამ ნაცარქექიებისა! არ
იყო მისთანა უპატიური რამ, ერთმა-
ნეთისთვის არ შეენამებინათ და არც

უშვერი რამ, ერთმანეთისთვის რომ არ ეკადრებინათ!

ამ არჩევნების დროს რომ „კუდაბზიკეთი“ გენახათ, იტყოდით: ქვეყანას სწორედ მტერი შემოჰსევია და ხალხიც საომრად მომზადებული დახვედრას უპირებს, რომ სამშობლო გადაარჩინოს. მაგრამ რა ბრძანებაა!! ის მხოლოდ „რწყილობია-ტილობიას“ თამაში იყო!.. ამ არეულობის დროს გარეშე მტერმა ისარგებლა და სიცილით გაიძახოდა: „წამეიდებელო, წაჰეიდეო, ორივეს თავი წასწყვიტეო!..“ და მართლაც რომ „კუდაბზიკეთი“ დღითი-დღე სივლახაკეში ვარდებოდა: ტურა-მელები ფრინველებს იპარავდნენ, მგლები – ოთხფეხს იტაცებდნენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა, - ერთი სიტყვით, პატრონი აღარავინ იყო!..

ბოლოს ჩავარდა ქვეყანა იმისთანა განსაცდელში, რომ ტილიც დაავინყდათ და რწყილიც!.. დიდი და პატარა ტირილით გაიძახოდა: „გვიშველეთ, ვინ ხართ მამაციო?!!“ დაგვიანებული „ვაი! ვაი!“ და „გვიშველეთ!“ კარგად მოგეხსენებათ, ვერაფერი მალამოა წყლულისათვის, და საპრალო ნაცარქექიების სატკივარსაც აღარა ეშველა რა!.. მაშინ კი ჩაფიქრდნენ, ჩახვდნენ გონებაში და სთქვეს: ეს რა გვემართება? სწორედ გაღალული ვართ, თვალი გვკრეს და დაგვაჩაჩანაკესო! შემლოცველი უნდა სადმე მოვნახოთო! - აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მოიყვანეს ერთი მკითხავი და გამოალოცვიეს „თვალყვისათვალნაკრავისა“. ბებერმა სამჯერ პირჯვარი გამოისახა, სამჯერ თავი გააქნია, სამჯერ თვალებში მიაფურთხა ნაცარქექიებს, სული შეუბერა და მოჰყვა:

ნაცარქექია, ქექია,
ფუჭო, ტყუილავ-ბექია
რას მიგდებულხარ კერასა,
თავი რად გაგიქექია?
ტილზე ნუ ჰეთიქრობ, მოშორდი,
რწყილს აუარე გვერდიო!
რად გინდა პრიშტი-პრუშტები

და სომხის ეფრემ-ვერდიო?
ნუ ჰეთარგავ, შენი რაცა გაქვს,
ნურც ეხარბები სხვისასა!..
პატარა წყარო სჯობია
სასმელად მლაშეს ზღვისასა!..
ადექი, ნაცარქექია,
ნუ მიგდებულხარ კერასა,
ჭიანჭველებში ნუ ეძებ
დაკარგულ ბედისნერასა!..

ეს რომ შეულოცა, თავზე ხატის ნაბანი გადაასხა ნაცარქექიებს, და რადგანაც ნაცარქექიები პირდაღებული შეჰყურებდნენ მკითხავს, წყალი ნახევარზე მეტი პირში ჩაესხათ... მეტი მოუვიდათ და კინალამ დაიხრჩვენ... აუვარდათ ხველა. ბებერმა ხელახლა გამოისახა პირჯვარი და სულთამბრძოლის შეულოცა.

„ცისა და ქვეყნის შუამავალი, დედა მარიამ იჯდა სამოთხისა კარსა და ლოცულობდა. მოვიდა წმინდა გიორგი, თაყვანი სცა და მოახსენა: „დედაო ღვთისაო! მოვიარე ფეხდაფეხ შენი ნილხვედრი, ვნახე დაცემული, დავარდნილი, სადაც აღარცა ძველი ძველობს და არც რა ახალია“. ატირდა დედა მარიამ და ცრემლი მისი მარგალიტად ეყრებოდა ქვეყანასა ზედა.

მივიდა იესო და შეეკითხა: „დედაო, რას სტირი, ვის იგლოვ? ცასა და ქვეყანასა?“ – „ვსტირ ჩემ საწილოსა! ვგლოვ ჩემ სადედოფლოსა, დღეს დაცემულსა, დავრდომილსა და შენგან დავიწყებულს, ხელაღებულსა!“ – „არა, დედაო ჩემო, მე როგორ დავივიწყებ შენს სადედოფლოსა? ხელს ვით ავიღებ შენს ნილ-ხვედრზედა?.. მხოლოდ გამოვსცდი იობის განსაცდელითა, რომ უმეტესად გავჰკურნო და ავამაღლო! წყეულიმცა იყოს ეშმაკი მისდამი შეჩენილი და ფუ მის ავის თვალით შემყურესა!..“ გაიხარა მარიამ, შეწყვიტა ცრემლები და ღიმილი ტკბილი ქვეყნად ნათლად მოჰყინა. ამინ“.

1899 წელი



პირან გომართელი

ედგარ პოს - „აჩრდილს თანაზიარს“

„აჩრდილს თანაზიარს მარად
საშინელი
დასდევს განწირულთა შავი პოეზია“
(„საუბარი ედგარზე“)

უამრავი საიდუმლო დაგვიტოვა
ამოსახნელად გალაკტიონმა. აკი თქვა
კიდეც საკუთარ თავზე:

„შენ საიდუმლო გადასაგები
უფრო გიტაცებს ნისლში გამქრალი,
ვინემ ახსნილი და გასაგები
სიბრძნე დიადი და სიტყვა მშრალი“.
(„დღიური პროზიდან“)

„ედგარი მესამედ“, სათაურიდან მო-
ყოლებული, მართლაც რომ „გადასაგებ
საიდუმლოთა“ რიგს განეკუთვნება. კი-
დევ ერთხელ გადავიკითხოთ იგი:

„ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი.
იყო სალამო. ლოცვები. ზარი.
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.
ენატრებოდა ფრთებს სითამამე
უზრუნველობის, შენი სიშორის!
მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.“

და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივიდიოდით ტაძრისკენ სამი“.
ამ ლექსს საგანგებო ყურადღება მი-
აქცია რევაზ თვარაძემ. როგორც ის
აღნიშნავს, კარგა ხანს მიაჩნდა, რომ
„ედგარი მესამედ“ ნიშნავდა გალაკტი-
ონის მიერ ედგარის მესამეჯერ ხსენე-
ბას, რიგით მესამე პოეტურ ქმნილებას,
რომელშიც ედგარ პო იხსენიება. ამგვა-
რი გაგებისათვის ბიძგი მიუცია იმ გა-
რემოებას, რომ 1927 წელს გამოცემულ
კრებულში ლექსი – „ედგარი მესამედ“
მოსდევდა ედგარ პოს ციკლის სხვა ორ
ლექსს – „საუბარი ედარზე“ და „ქარებს
ქარობა“. პირადად რევაზ თვარაძესაც
დაუცავს ეს თანმიმდევრობა მის მი-
ერ შედგენილ გალაკტიონის „რჩეულში“
(1977 წ.).

მოგვიანებით რევაზ თვარაძემ ეჭ-
ვი შეიტანა საკუთარი თვალსაზრისის
მართებულობაში, რადგან გამოარკვია,
რომ პოეტს ჯერ „ედარი მესამედ“ დაუ-
ნერია და შემდეგ შექმნილა ედგარ პოს
ციკლის ორი დანარჩენი ლექსი. ასე

რომ, რევაზ თვარაძის დასკვნით, შეუძლებელია „ედარი მესამედ“ ნიშნავდეს გალაკტიონის შემოქმედებაში ამერიკელი პოეტის მესამეჯერ ხსენებას.

რევაზ თვარაძე მსჯელობს ლექსის იმგვარ წაკითხვაზეც, რომლის თანახმად, „ედგარი მესამედ“ ნიშნავს ედგარის „მესამე არსებად“, „მესამე პირად“ ყოფნას. ამ თვალსაზრისით, ლექსის მთხოვნელი ედგარ პო კი არა, თავად გალაკტიონია, რომელიც ედგარ პოს ღვთაებრივ სატრაფოსთან, ლენორასთან ერთად მიემართება ტაძრისაკენ, ხოლო „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“, მათ შორის ჩამდგარი, სხვა ვერავინ იქნება, თუ არა თავად ედგარ პო, რამეთუ ლექსის სათაური სწორედ ამგვარად გვესმის – ედგარი მესამედო, ესე იგი, ორ არსებას შორის ჩამდგარ მესამე არსებად“.

თუმც საბოლოოდ რევაზ თვარაძე საეჭვოდ მიიჩნევს ამ თვალსაზრისის დამკვიდრებას, რადგან „ედგარ პოს მიმართ გალაკტიონის მხრივ „მახინჯის“ წარმოთქმა არასგზით არ ეხამება მის დამოკიდებულებას დიდი ამერიკელი პოეტისადმი... სქემა – გალაკტიონი, ლენორა და მათ შორის მესამე ედგარი – პოეტურ მკრეხელობას უფრო ჰგავს, ვიდრე გულის თრთოლვით შეთხზული ლექსის მოდელს“. ამგვარი ახსნა რევაზ თვარაძეს აბსურდულად მიაჩნია და მსჯელობას შეკითხვით ამთავრებს: „არის კი გამოსავალი ესოდენ შემაცბუნებელი ვითარებიდან“?

დამაფიქრებელი კითხვაა, მაგრამ ცდას წინ არაფერი უდგას. ჩვენც ვცადოთ. ამისთვის კი ჯერ იმის ამოცნობაა საჭირო, თუ რა აზრობრივ შინაარსს გამოხატავს, რისი სიმბოლოა ყორანი ედგარ პოს ამავე სახელწოდების ლექსში.

●
გალაკტიონი ნიცშეს ეპოქის შვილია, მაგრამ რაოდენ საოცარიც არ უნდა

იყოს, მისთვის „ღმერთის სიკვდილის“ თემა სათავეს ედგარ პოდან იღებს. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამერიკელი პოეტის გამორჩეულ ლექსს – „ყორანი“. ამიტომ კიდევ ერთხელ იმის შესახებ, რაც ედგარ პოს „ყორანში“ ხდება.

დეკემბრის პირქუშ ღამეს იდუმალებით აღსავსე სტუმრის (ყორანის) უბოდიშო შემოჭრა კიდევ უფრო უფორიაქებს სულს ღვთაებრივი სატრაფოს – ლენორას (ლინორის) – დაკარგვით დამწუხრებულ ლექსის ლირიკულ გირს. საზარელი ფრინველი მედიდურად შემოჯდება ათენა პალადას ქანდაკზე. ყორნის საზარელი ჩხავილით წარმოთქმული ერთადერთი სიტყვა – „ნევერმორ“ („აღარასოდეს“) – რეფრენად გასდევს მთელ ლექსს, მაგრამ ეს არ არის ლექსის ოდენ პოეტური სამკაული, რიტმულ-ინტონაციური ფუნქციის მატარებელი. ავისმომასწავლებლად განმეორებადი ეს ერთადერთი სიტყვა – „აღარასოდეს“ – ლრმა აზრობრივ შინაარსს იტევს.

თუმც უმჯობესია, ჯერ იმას დავუგდოთ ყური, რასაც ედგარ პო გვამცნობს ესეში „კომპოზიციის ფილოსოფია“, სადაც საკუთარ ლექსზე მსჯელობს პოეტი: „ბოროტო სულო! წინასწარმეტველო! ფრინველი ხარ თუ სატანა! გაფიცებ ზეცას, თავს რომ დაგვყურებს – გაფიცებ იმ ღმერთს, ორივე რომ ვეთაყვანებით, უთხარი ჩემს დასევდილ სულს, იმ შორეულ ქვეყანაში თუ გადაეხვევა ნეტარად შერაცხულ იშვიათ და სხივოსან ქალწულს, ვისაც ანგელოზური სახელი ჰქვია – ლინორი, თქვა ყორანმა: „აღარასოდეს“ (ედგარ პო, „კომპოზიციის ფილოსოფია“, წიგნიდან: ესეები, 1989, გვ. 213).

ამ ერთი სიტყვით – „აღარასოდეს“ – შემზარევი განაჩენია გამოტანილი, უარყოფილია „სხივოსანი ქალწულის“, ღვთაებრივი ლენორას ზეციურ საუფლოში დამკვიდრებისა და, ამდენად,

სულის უკვდავების რწმენა. მეტიც, თუ გავითავლისწინებთ, რომ ლენორას ტრფობა არა ოდენ მიწიერი, არამედ ზეციური ასპექტით მოიაზრება ედგარ პოს მიერ, მაშინ ნათელი იქნება, რომ უარყოფის ასეთი პათოსი საერთოდ კლავს რწმენას და სასოებას.



გალაკტიონი – 1954 წელი

ამგვარი ნიჰილიზმი ზუსტადაა გამოხატული ედგარ პოს ლექსის ვაუა-ფშაველასეულ თარგმანში. მართალია, რეფრენი – „აღარასოდეს“ – ვაუასთან ერთი სიტყვით კი არა, მთელი ფრაზით გადმოიცემა („აღარ აღსდება არას-დროს მკვდარი“), მაგრამ ამით კიდევ უფრო აქცენტირებულია ლექსის დედაზრი: ლვთაებრივი სამყაროს რწმენა მკვდარია, აღარასოდეს აღდგება იგი.

„კომპოზიციის ფილოსოფიაში“ ედგარ პო იმის შესახებაც მსჯელობს, რომ მაღალმხატვრულ ქმნილებაში არაფერია შემთხვევითი და გაუაზრებელი. მეტიც,

ამერიკელი პოეტის კატეგორიული მტკიცებით, მხატვრული ქმნილება მკაცრი რაციონალური ლოგიკით იქმნება და არა ექსტაზური ინტუიციით. „უბრალოდ პოეტებს ურჩევნიათ, თავი დაირნმუნონ, რომ ისინი ქმნიან მშვენიერი უჩვეულო სახეებით – ექსტაზური ინტუიციით“ (იქვე, გვ. 206).

საკუთრივ „ყორანის“ შესახებ კი განმარტავს: „მის კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური – და რომ ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტითა და სიმკაცრით არის განსაზღვრული (იქვე, გვ. 207).“

მგონი, არა გვაქვს უფლება, არ დავუჯეროთ ედგარ პოს. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ყორანი პოეტმა ათენა პალადას ქანდაკებაზე შემთხვევით შემოსვა.

ზევსის თავიდან დაბადებულ ათენა პალადას მეცნიერების მფარველ ღვთაებად, სიბრძნის ქალღმერთად მოიაზრებდნენ ძველი ბერძნები. ედგარ პოს ლექსშიც ის გონებას, რაციოს განასახიერებს. ამდენად, ათენა პალადას თავზე შემომჯდარი ავის-მომასწავლებელი ყორანი იმ საბედისწერო განაჩენს ახმოვანებს, რაც გონებამ გამოუტანა რწმენას. ევროპული აზროვნების ისტორიაშიც რწმენის კრიზისი სწორედ რაციონალიზმის ეპოქას უკავშირდება.

უმძაფრესია ედგარ პოს ლექსის ლირიკული გმირის განცდა, ტრაგიკულად გაორებულია იგი. ერთი მხრივ, სურს, რეალობას გაუსწოროს თვალი, დაივიწყოს ციურ-ღვთაებრივი სატრფო, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანს არ ძალუდს, იცხოვროს მხოლოდ მიწიერი ცხოვრებით, მზერა არ მიაპყროს ტრანსცენდენტურს, არ შეუძლია, შეეგუოს იმ აზრს, რომელსაც ცივი გონება კარნახობს: სიკვდილი ყველაფერს სპობს,

მარადისობის პერსპექტივა დახშულია და სულის უკვდავებაზე ფიქრი – ამაო.

ედგარ პოს ლექსში გონება, რომელსაც ათენა პალადას ქანდაკზე შემომჯდარი ყორანი განასახიერებს, დემონურთანაა წილნაყარი. ეს მკაფიოდაა ნათქვამი ლექსის ფინალში.

„და მწველ თვალთა მიმზერს წყვილი, ვით დემონი წარწყმედილი,

და მან ჭაღქვეშ შავი ჩრდილი მოლივლივე ზოლად გასდო,

და იმ ჩრდილით ჩემი სული რაც არ უნდა შეეცადოს,

ვერ აღსდგება ველარასდროს“.

იქ, სადაც დემონური გონება ჩაერევა, აღარ რჩება ადგილი რწმენისათვის. გონება კლავს რწმენას. ამგვარ უმძიმეს დასკვნას ცხადყოფს ედგარ პოს პირქუში ლექსი.

●

რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძის მიმართებას ამერიკელ მწერალთან, უნდა ითქვას, რომ ედგარ პოს „ყორანის“ მოტივი გალაკტიონის პოეზიაში უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე დაინერებოდა ლექსი „ედგარი მესამედ“. იგულისხმება 1911 წლით დათარიღებული „შავი ყორანი“.

ამ ლექსში ორ პოეტთან მუღლავნდება მიმართება – ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ედგარ პოსთან. როცა გალაკტიონი იტყვის: „შავი ყორანი გზაზე მომჩხავის: „ნუ იხედები... ნუ იხედები!“ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს „მერანისეული“ – „უკან მომჩხავის თვალებედითი შავი ყორანი“, ხოლო საბედისნეროდ აქცენტირებული ფრაზა – „შორს ნუ გასცერი... შორს ნურვის ელი!“ – გალაკტიონის მკითველის ცნობიერებაში აუცილებლად ამოატივტივებს პარალელს ედგარ პოს „ყორანში“ გამუღლავნებულ ამაო მოლოდინთან – „აღარ აღსდება არასდროს მკვდარი!“

ნიჰილისტური განწყობა თავიდან ბოლომდე მსჭვალავს „შავ ყორანს“.

უკანასკნელი სტროფი საგანგებოსაობით უნდა გავიხსენოთ, რადგან მისი ერთი სტრიქონის გამო შეიძლება მოგვეჩენოს, თითქოს დაძლეულია გულისმომნველი პესიმიზმი. ისევე როგორც წინა სამ სტროფში, აქაც უცვლელად მონაწილეობს ყორნის სახება, რომელმაც „გადაიფრინა და მომაგონა/დრო, უბედობის გვერდით მხლებელი, /უამი – ყველაფრის მქნელ-გარდამქმნელი, /სივრცე – ყველაფრის მიმტევებელი“.

სიტყვა – „მიმტევებელი“ თითქოს ერთგვარად ამსუბუქებს ლექსში გამოვლენილ პესიმიზმს, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ აქარწყლებს საერთო ნიჰილისტურ განწყობას. ჯერ ერთი, ლექსის აზრობრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია „სივრცის მიმტევებლობაში“ ღვთაებრივი თვისების, შენდობა-მიტევების დანახვა; მეორეც – „მიტევებას“ ძველ ქართულში სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა – ნების დართვა, ნებაზე მიშვება (აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1978ნ. გვ. 51). ეს შესანიშნავად იცის გალაკტიონმა, ვისთვისაც ასე ახლობელია „სუნთქვა ძველი წიგნებისა, მშვენიერი ძველი ენა“.

გამომდინარე მიტევების მეორე მნიშვნელობიდან, „შავი ყორანის“ ზემოთ მოხმობილი სტროფის აზრობრივი შინაარსი ასე იკითხება: ღვთაებრივ კანონზომიერებას არ ემორჩილება არც დრო (უამი) და არც სივრცე; არსებობს ოდენ მიწიერი დრო, „უამი – ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელი“ – უბედობის თანმხლები, ნაცვლად მარადისობისა. კოსმიური წესრიგის, ღვთაებრივი უცვალებლობის მაგიერ კი – სივრცე, სადაც ყველაფერი ნებაზეა მიშვებული.

ამგვარი მიმტევებლობა, ანუ ნებაზე მიშვებულობა, იმთავითვე გამორიცხავს სამყაროს ღვთაებრივი საწყისის რწმენას და იმგვარ საკეპტიციზმს ამკვიდრებს, რომლის თანახმად – სამყაროს განაგებს



ბრმა ნება, მაგრამ ამ აზრს მთელი არსებით ვერ მიიღებს გალაკტიონი. ამიტომ არის მის მიერ ასე უბოდიშოდ უარყოფილი ის, ვისი მსოფლხედვაც ამგვარ პოსტულატს ეფუძნება; ამიტომ წარმოგვიდგენს საკუთარ თავს შოპენჰაუერის მოწინააღმდეგედ, იმ კაცად, „ვინც ლამით დასწვავს შოპენგაუერს“ („მაგრამ მე რა ვქნა?“).

სკეპტიციზმს, მარადიულ ღირებულებებში დაეჭვებას გალაკტიონთან რწმენისა და სასოების ძიება ცვლის და – პირუკუ. ამგვარი გაორება ტრაგიკული სიმძაფრით აისახება მის შემოქმედებაში. ამ მხრივ გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში „მერანის“ ავტორის სულიერი თანაზიარია. ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც ასეა. ერთი მხრივ, არის მსასოფლო რწმენა მაცხოვრის გზისა და თავგანწირვისა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“; მეორე მხრივ, სკეფსისი – „ვერდა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!“

გალაკტიონსაც ქვეყანა ხან შავი ლუციფერის სამშობლოდ ესახება, „სადაც არასდროს არ ყოფილა ნაზარეველი“, ხან – „არც ღმერთი, არც ცა არ სწყურია გაუგებარ სულს“, მაგრამ სწრედ ამ მოჩვენებით უარყოფაში გამოსჭვივის „საღვთო ბილიკებისაკენ“ დაუკებელი სწრაფვა. ამგვარი სწრაფვა აპირობებს ლალადისს: „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმაღლონობა?!“ ან სინანულს იმის გამო, თუ როგორ ვერ ამჩნევენ მაცხოვრის ვარსკვლავიერ სახებას („ვარსკვლავია“). თავად ჩვენი პოეტისათვის კი მაცხოვრის ვნება აღიქმება არა გარდასულ მოვლენად, არამედ მარადიულ კოსმიურ მისტერიად, რომელსაც თანამოწინილის სიმძაფრით აღიქვამს („მას გახელილი დარჩა თვალები“).

გალაკტიონ ტაბიძის დაეჭვება, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა, შინაგანია, იმანენტური, მაგრამ იმგვა-

რი მაინც არაა, რომ საბოლოოდ ათქმევინოს უარი ზეცაზე. ედგარ პოს „ყორანში“ კი სრული უიმედობა და სკეპსისია. ამიტომ ჩნდება გალაკტიონის ლექსში – „ქარებს ქარობა“ – საოცარი შესიტყვება „მტრობა და ედგარობა“. რას გულისხობს იგი?

ჯერ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „მტრობა“? ამის პასუხად ძველ ქართულ ლექსიკას მოვუხმოთ, რომლის თანახმად „მტერი“ ეშმაკის, დემონის მნიშვნელობითაც მოიაზრება. „შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა“.

იგივე მნიშვნელობა აქვს „მტრობას“ გალაკტიონის ლექსში (მტრობა=ეშმაკულობა, დემონურობა), მეტიც, აქ „ედგარობა“ „მტრობის“ სინონიმია. „ედგარობა“ „მტრობის“ ანალოგითაა შექმნილი და დემონურთანაა გაიგივებული.

ასე და ამრიგად, იქმნება პარადოქსული ვითარება. გალაკტიონი ხან დემონურთან აიგივებს ედგარ პოს პიროვნებას („ქარებს ქარობა“), ხან „ვიღაც მახინჯან“ („ედგარი მესამედ“), რომელიც წინ ელობება ღვთაებრივ გზაზე. ამის მიზეზი უპირველესად „ყორანია“, სადაც (კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ზემოთქმული) ათენა პალადას თვზე შემომჯდარი ავისმომასწავებელი ყორანი იმ საბედისწერო განაჩენს ახმოვანებს, რაც გონებამ გამოუტანა რწმენას. სიკვდილი ყველაფერს სპობს, მარადისობის პერსპექტივა დახშულია და სულის უკვდავებაზე ფიქრი ამაო... იქ, სადაც დემონური გონება ჩაერევა, აღარ რჩება ადგილი რწმენისათვის.

ეს პესიმისტური დასკვნა ხდება მიზეზი ედგარ პოს „მახინჯად“ მოხსენიებისა. იმ პოეტის გამეტებისა, რომელსაც სამი ლექსი უძლვნა გალაკტიონმა და რომლის ხატება სხვაგანაც არაერთგზის გამოკრთება, მაგრამ აქ გამეტება კი არა, უფრო სულიერი თა-

ნაზიარობაა, რწმენის სიკვდილით გამოწვეული. გალაკტიონმა კარგად იცის, რისი სიმბოლოა ლენორა და რაოდენ გულისმომწყვლელია დასკვნა: „ალარასოდეს ალდგება მკვდარი“. ლენორა, ბეატრიჩე, ლაურა თუ მერი გალაკტიონისათვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პოეტის სატრფო, რეალური ქალი. თითოეული მათგანი მარადიულს, ციურს, ლვთაებრივს განასახიერებს. თქვა კიდევაც გალაკტიონმა: „მაგრამ შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული, ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში?.. ამ ლექსებში, ამ შავ ლაბირინთებში, შორს დაუსრულებელ სილაჟვარდეში მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი, ციური, ლვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უხსეულო ლანდი შორეული ქალის“ (გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 63).

სწორედ ამ ციურ-ლვთაებრივ იდეალთან ერთად რწმენის ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე გადაელობა ჩვენს პოეტს „ვიღაც მესამე“, „ვიღაც მახინჯი“, მაგრამ ამ ეპითეტში გაბრაზებასთან ერთად, როგორც ითქვა, თანაგრძნობაც უნდა დავინახოთ ულმერთობით გულგასერილი პოეტის მიმართ. ეს თანაგანცდაა ედგარ პოს პესიმიზმისა, თანაგანცდა, რომელსაც აღმფოთებაც ახლავს სასონარკვეთილი უნუგეშობისა გამო. ამგვარი სულიერი განცდა ბარათაშვილთან არანაკლებ მძაფრი სიტყვითაა გადმოცემული – „უკულმართი“ („ესრეთ დამიხშო უკულმართმან ნუგეშის კარი“). თუ ბარათაშვილთან „უკულმართი“ საწუთოს მიემართება, გალაკტიონთან „ვიღაც მახინჯს“ კონ-

კრეტული ადრესატი ჰყავს იმ პიროვნებითი ბის სახით, რომელმაც გონების რწმენაზე გამარჯვება აღიარა. „ვიღაც მახინჯი“ იმის გაცნობიერების შედეგია, რაც გონების ქალლმერთის ქანდაკზე ნამოსკუპულ ყორანს ათქმევინა ამერიკელმა პოეტმა. ედგარ პოს საქვეყნოდ ცნობილი ლექსის ტრაგიზმსაც ხომ სწორედ ეს დასკვნა აპირობებს. ამიტომ მიაჩნია გალაკტიონს თავი ედგარ პოს განწირული, სასონარკვეთილი პოეზიის თანაზიარად. სწორედ ამგვარი მსოფლგანცდით დალდასმულ პოეზიას უნდა მან „განწირულთა შავი პოეზია“, ამიტომ უნყობს აუტოდაფეს შოპენჰაუერის ღრმად ნიჰილისტურ წიგნს – „სამყარო, როგორც ნება და ნარმოდგენა“ და თამამად აცხადებს, რომ არის ის „ვინც ლამით დასწვამს შოპენგაუერს“ („მაგრამ მე რა ვქნა?“).

ლვთაებრივ ლენორასა და ლექსის ლირიკულ გმირს შორის ჩამდგარი „ვიღაც მახინჯი“ ისეთივე კონკრეტული აზრობრივი შინაარსის მეტაფორაა, როგორიც შოპენჰაუერის დაწვა. ყოველივე ამის გაცნობიერების შედეგად კი მკაფიოდ საცნაურდება გალაკტიონის დამოკიდებულება, მისი თანაზიარობა და თანაგანცდა ედგარ პოს ნიჰილიზმისა. სწორედ ეს გამოხატა იმ ლექსში, სადაც „საუბარი ედგარ პოზეა“.

„აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი

დასდევს განწირულთა შავი პოეზია“.

აჩრდილს თანაზიარსო! მეტი რაღა ეთქვა ედგარ პოზე გალაკტიონს, მეტად როგორ გამოეხატა სინანული ნიჰილისტური მსოფლგანცდის თანაზიარობისა გამო. მეტი თანაგრძნობა სიტყვით შეუძლებელია!



გურამ ჯახუტაშვილი

ცოტაც და სხვენზე ჩიტები მოვლენ,
 ცოტაც და ბევრი ვიქნები შენთვის.
 ცოტაც და ისევ ჩაგვივლის ღმერთი
 და წამოსცდება ზეცასაც თოვლი.
 და შემცირდება ჩვენს შორის სივრცე,
 და შემცირდება ვრცელი მანძილი,
 და შენი ჩრდილიც დაინყებს ციმციმს
 გზაზე შემთხვევით ნაპოვნ განძივით.

გადაიქცევა ხილვა – შეხებად
 და გაფიქრება იქცევა – გრძნობად,
 და მეც დაგიდებ ამ გულს ფეხებთან,
 როგორც სხვებისთვის აკრძალულ ნობათს.
 და ისევ ჩვენთვის წამოვა თოვლი,
 ცოტაც და გულში ჩადგება დენთი,
 ცოტაც და სხვენზე ჩიტები მოვლენ,
 ცოტაც და ბევრი ვიქნები შენთვის.

გახედავ? ჩადგება!
 გახედავ გაქანდება,
 ქარს ხომ ქარი ერქვა აქამდეც?
 გინდა, რომ ქარივით გაქანდე, აფრინდე,
 ისეთი ამბები გაგანდე.
 ჩიტებიც ამ ქარში, ხეებზე უბლებოზე
 უუფლებოები არიან,
 ქარია, თუმცალა, ამ ქართა გადალმა
 მზეში გასასვლელი კარია.

კარია, ან უფრო რგოლია, ეს რგოლი
 მითი და სიზმარი მგონია,
 სიზმარი მგონია თითო უშენობა –
 სიცხადის ღმერთსა და გოლიათს.
 თოკიც რომ დაკიდო, წამში ორიოდე,
 განასკვო და სკამიც მიადგა,
 მინდა გაგახსენდე, უაგონიოდაც
 აგანთოს შენივე წყვდიადმა.

ხეები უფოთლებო, გარეთ, თარაზოზე
 გასწორებულები დამდგარან,
 უჩვენოდ
 გაზაფხული,
 ცალკე, არასოდეს
 მოვა –
 ვინაიდან
 რადგანაც!



გზაზე ვარ,
 ჩემგან შორს არის სახლი.
 ცოტათი მცირა და შუბლი მიხურს.
 ვოცნებობ,
 შემხვდეს გაზეთის დახლი,
 ან იქნებ სადმე მივაგნო ჯიხურს.

ქუჩაში ახალს
 ვერავინ მეტყვის,
 ჩიტიც კი ველარ მომაწვდენს ამბავს,
 ის გაზაფხულის მომწვანო ხე-ტყის
 გამსკდარ ყვავილებს
 და ფოთლებს ლამბავს.

საკუთარ უხმო ვარაუდს ვებრძვი,
 სწორად შერჩეულ გზაზე ვარ ჯერაც,
 და შემორღვეულ ოცნებას, თერძი,
 სხივებგაყრილი ნემსებით ვკერავ.



რა უნდა გითხრა,
 რაც წარსულში არ თქმულა, ანდა,
 ხვალ არ ითქმება – უნებლიერ, ნებსით, კინალამ...
 ლექსებიანად ავბარგდები და წავალ. ფარდა!
 გადავიწყების კულისებში გადამინახავს.

ცოტა სხვა თვალით რომ შესედო, ემოციების
 და სურვილების წინააღმდეგ ნამსვლელმა კაცმა,
 ვეჭვობ, ბოლომდე დაუღეჭოს შემომცილებლებს,
 რას ნიშნავს ასეთ ულურსმებო ყოფაში – ჯვარცმა.

ეს ყველაფერიც აბსურდია – დუმილი. ცენზი.
 ალოგიკური შედარება – ბზიფი, სანტროპე.
 რამდენი უნდა ვესაუბრო, მითხარი, შენზე,
 ბედნიერებას გადაჩვეულ პითეკანტროფებს.

მორჩა! დასრულდა! პოეზია იქცა დანართად...
 ჩემი სიტყვები აკრძალული ხიდან მოკრიფეს,
 და სულ ამაოდ მაქეზებენ – თავი გავართვა,
 გარესამყაროს ქარგაუმტარ იეროგლიფებს.

ერთი რაც ვიცი, არ ჩამითვლი წასვლას ღალატად,
 დაგრჩება ჩემგან – აკრძალული ლექსები ქოთნის,
 და ვერ დაიტევს შემოდგომის ბოლოს – კალათა,
 წამოცდენილი სიტყვებივით მშიშარა ფოთლებს.

მორჩა! შენ უნდა დაივინყო ჩემი მსგავსება,
 ან თუნდაც მცირე განსხვავება – ბედთან ისაკის,
 და გაიაზრო, რას მიზამდნენ, რომ მეარსება,
 როდესაც ასე გამანამეს – არყოფნისათვის

●

არ ვიცი...
 თქმითაც, სამწუხაროდ, თავიდან მიწევს,
 გაგიმეორო,
 გაგაგონო,
 გითხრა იგივე,
 რომ ბოლო წლები ვეღარაფრით ვეჩვევი მიწას
 და ვიცელები წინა ხაზზე მდგარი რიგივით.

თუ გაიხსენებ,
 გაჭირვებით გამოვლილ დროთა
 მონაკვეთებში
 არაერთი თავი მოვთალე
 ფანქრის
 და გულში გაცრეცილად დავატყვე ოთახს,
 ჩემი ნაფიქრი, ნააზრევი და ნაბოლთარი.

მიყვარდი კიდეც,
 რა დროსია...
 მაგრამ გამხელას,
 არავითარი, დამიჯერე, არ ჰქონდა აზრი,

არც მაშინ,
 როცა ერთმანეთში ვცვლიდით სახელებს,
 მით უფრო ახლა,
 როცა ასე დავშორდით ტაძრებს.

დღეს, საბოლოოდ, გაუვიდა ყავლი ოცნებას,
 და სანამ წყალზე, გამოთლილი მთვარისგან, ნავი,
 ჩემს წასაყვანად სრუტეებში ფრთხილად მოძვრება,
 მინდა,
 ჯერ კიდევ ხმელეთიდან გაგანდო თავად:
 რომ მე წავედი,
 ალარ დავრჩი,
 იცი, რატომაც,
 რაც იყო ჩემი,
 თუნდაც მტვერი, თუნდაც ნაჭუჭი,
 წავიღე ჩემთვის,
 მაგრამ ვიდრე სახლი დავტოვე,
 მოურიდებლად,
 ნაწილ-ნაწილ,
 თვალებდახუჭულს,

გაკოცე ორჯერ!
 ერთი,
 რადგან ყოველ მხარეში,
 იცხოვრე ჩემთან უფანჯრებოდ და უკრამიტოდ,
 და ყოველგვარი, ყოველგვარი ვნების გარეშე,
 დაუსრულებლად რომ გიყვარდი,
 ერთიც,
 ამიტომ.

•

შენი სიმარტოვე ყოფილა რამხელა,
 ასე ღრმად წასული, ასე არსაითკენ.
 აქ თურმე კედლებმაც ენები აიდგეს
 და საიდუმლოთა დაინყეს გამხელა.

რამხელა ყოფილა შენი გარინდებაც.
 შიშის სიყვარულთან შესაბამისობა –
 სხვებისთვის მილიარდ ოცნებას იზოგავ
 და საკუთარიდან გაქცევა გინდება...

ვინ იცის, მოსვლამდე რამდენი ვიდავე
 მარტო დარჩენილმა ფიქრებთან, სრულებით...
 რამხელა ყოფილა შენი დასრულებაც
 დაუსრულებელი დასანყისიდანვე.

ნახვედი, გიგანტურ სიზმართან დამტოვე,
 ფრთები მომაკუთვნე კედლებში დარჩენილს,
 რამხელა ყოფილა შენი სიმარტოვე
 რა რთული ყოფილა შენი განაჩენი.

სად, როდის შევხვდებით? იტყვიან რიცხვები,
 გაუღერებულები – დასალიერებთან,
 როცა მოგვაგნებენ, როცა დაიწყება,
 ეს ამოუვსები დაცარიელება

●

ლამე. შემოდგომა. ყანჩელი.
 ბროდსკი – წაკითხული ასლიდან.
 ხვდები, დაინგრევი დარჩენით,
 ველარ გადარჩები წასვლითაც.

კედლებს ეხეთქები მწერივით,
 სავსე – თანხმობით და არა-თი.
 ითვლი გადაგზავნილ წერილებს,
 ჯერაც ვერდანერილ ბარათებს.

ორთქლით დამძიმებულ მინაზე,
 ხაზავ წარმოსახულ ფიგურებს,
 მთვარის ფრიგიდული სინაზე,
 ლურჯი ფანჯრებიდან გიყურებს.

ძველი ფოთლებივით – რიცხვები,
 ისევ გროვდებიან ფარდებთან,
 რაღაც თვითნებურად იწყება,
 რაღაც უმიზეზოდ მთავრდება.

გინდა, შემოდგომის ქურდებმა,
 მთვარეც მოიპარონ ჯართივით,
 თორემ უსაშველოდ რთულდება
 შენთვის ყველაფერი მარტივი

ლამე. შემოდგომა. ყანჩელი.
 ბროდსკი – წაკითხული ასლიდან.
 ახლა თუ მოკვდები დარჩენით,
 ველარ გადარჩები წასვლითაც.

ბესო ხვედელიძე



კაკლის მაშო

1.

მაშო რომ აყვანილი იყო, მთელმა კაკლიანმა იცოდა.

შავლაყაძეების უშვილო ოჯახის თავიკაცმა ივანე შავლაყაძემ, მანეთობისას, ქალაქიდან სოფლად სულ რაღაც რამდენიმე დღის მაშო ამოიყვანა და წყაროსთავზე შეყრილ თანასოფლელებთან შეჩერდა.

— ვაიმე!!.. შენია მაგ ბავშვი, ივანე?.. — გულზე მიკრული თოთობავშვიანი ქმრის დანახვაზე ძალიან დაიბნა ელენა.

— შეხედე, როგორი კაკლი-მურაბა თვალები აქ!.. — თითქოს ყველას ერთდროულად ჩაუკრა თვალი ივანემ. — ქალაქის სანაგაოზე ვიპოვე გადაგდებული!.. ნაგავს გავს ეხლა ეს, იქ როდამეტოებინა?

წყაროსთან შეყრილი სოფლელები ვერაფრით მიხვდნენ ხუმრობდა თუ სიმართლეს ამბობდა ივანე, მაგრამ მაინც ყველამ ფართოდ გაიღიმა. კაკლიანში ივანეს უნესიერეს კაცად იცნობდნენ და მისი ნებისმიერი სიტყვის გადაუ-

მოწმებლადვე სჯეროდათ.

ამასობაში ელენაც მოვიდა გონს, ქმარს ბავშვი ფრთხილად ჩამოართვა და მისი სურნელი ხარბად შეისუნთქა.

●

მთელმა კაკლიანმა ქინქლებიანი ლვინის ყლურნვითა და განევ-გამონევის გარეშე აღნიშნა შავლაყაძეების ოჯახის შვილიანობა. ეგ კი არა, შუა ქეიფისას, შავლაყაძეების ეზოში პანია მაშოსთან ერთად ელენა გამოვიდა, სამკერდე შეიხსნა და მკლავისხელა ჩვილს ყველას თვალწინ ბედნიერი სახით მოაწოვა ურძეო მარცხენა ძუძუ.

— უკვე ჩემი სუნი ასდის!.. — უბრწყინავდა აცრემლებული თვალები ჩვილჩახუჭებულ ელენას.

კაცები განზე იხედებოდნენ, ქალებს უბრალოდ ღანკვები შეფაკვლოდათ, ივანე შავლაყაძემ კი ერთი თქვა:

— დედალმაშო იყოს, ვინც ჩვენ მაშოს რამე ავნოს!



იმავ საღამოს მეზობელმა ქალებმა ივანეს „ბორჯომის“ შუშის ბოთლებით ახალმოწველილი თბილი რძე გადმოუტანეს. ივანემ და ელენამ ერთად ჩაუდეს ბავშვს პირში საწოვარა და მერე სამივეს ერთად ჩაეძინა.



მაშო თანატოლებისგან განსხვავებით სიმაღლეში ძალიან ნელა იზრდებოდა და აყვანიდან მერვე ნელინადს სამი წლის ბავშვივით გამოიყურებოდა. რიგიანად არც მერე წასულა სიმაღლეში: ოდნავ წამოიჩიტა და დარჩა ეგრე, ადამიანის მსგავსი თოჯინასავით.

— სიმაღლეში ზრდაზე განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებს A და B ჯგუფის ვიტამინები! — სოფლის წყაროსთან სიტყვით გამოდიოდა ხოლმე სოფლის ვეტერანი ფიზკულტურისტი ვაჟა შერმადინი და რაღაც გაყვითლებულ ქაღალდებს აფრიალებდა. — A ვიტამინის წყაროა ახალი მწვანილი, სტაფილო, პომიდორი! B ვიტამინები ბევრია ნიგოზში, კვერცხის გულში, ნალების კარაქში!

— კვერცხის გული ერთად იწერება თუ ცალ-ცალკე? — ლაზლანდარობის ხასიათზე იყო ვიღაც.

— ორგანიზმის სიმაღლეში ზრდას აფერხებს ალკოჰოლი, სიგარეტი, ნარკოტიკები და სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყება! — აშკარად ნაბახუსევზე იყო სოფლის ვეტერანი ფიზკულტურისტი.

— რამდენში ზიხარ, ვაჟა უფროსო?

— ეცინებოდა კიდევ უფრო ვიღაცას.

— გარდა ამისა, გირჩევთ იაროთ ბაყაყურ ცურვაზე და ხშირ-ხშირად აკეთოთ ზემოთკენ წახტომები, რათა მიწვდეთ რაც შეიძლება მაღალ ნიშნულს!

— თავისას მიერეკებოდა და ხელაშვერილი ადგილზე ხტოდა სოფლის შეზარხოშებული ვეტერანი.

— გამოუტანეთ ამას რაიმე უფრო გრადუსიანი, თორემ შემოვეზარდეთ

ხელში ყველა! — მწარედ ელიმებოდა ივანე შავლაყაძეს.

ივანეც და ელენაც მაშოს სიდაბლეს იმდენად განიცდიდნენ, რომ შავთმიანები მაღევე გაჭაღარავდნენ. ელენა უცებ მოტყდა, ივანემ კი დარდისგან ყოველდღიურ სმას მიჰყო ხელი და თოვლისფერი თმა უკანასკნელ ლერამდეც დაცვივდა.

— ანი შენ ხარ ივანე ფანტომასი! — ამხნევებდნენ დაელმებული თანასუფრელები ივანეს სოფლის დუქანში.

— ეგ რომელი? — იუმორის გრძნობა არასდროს ლალატობდა ივანე შავლაყაძეს. — ფანტომას რაზბუშევალსა?

— არა, კაცო!.. ფანტომას სწიმაეტ მასკუ!

ივანე შავლაყაძე მაშოზე დარდს უფრო გადაჰყვა, ვიდრე სმასა და ასაკს. კაკლის კუბოში ჩასვენებული მთელმა სოფელმა გულიანად გამოიტირა. ყველაზე ხმამაღლა პატარა მაშო მოთქვამდა, რომელმაც მამობილს კუბოში თავისი ხელით მოწყვეტილი სამი მწვანე კაკალი ჩაატანა და უკეთესი სამყაროსკენ კეთილი მგზავრობა უსურვა.



მაშო ბავშვობიდან ყველას აოცებდა. ეს საოცრად ტანმორჩილი გოგო ჭკუა-გონებითა თუ შეგნებით უფროსებს ხომ ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა, თანატოლებს კი საერთოდაც ყველაფერში უსწრებდა.

ყოველი მეზობლის კარ-მიდამო უამრავჯერ მიელაგებინა მაშოს და სოფლის ყოველი მოსახლის ეზოს ხეხილიც ზეპირად იცოდა, ვინაიდან არაერთხელ გაეკრიფა მასპინძლისავე თხოვნით; სხვებისთვის პურსა ან წყალზე წასვლა-მოტანაც არასდროს დაზარებია, და ეტყობოდა, რომ საკუთარ პანაწინა მუშტზე ბევრად დიდი გული უცემდა საგულეში.

დრო გადიოდა, თუმც ამის მიუხედავად, მაშოს გოგოდ მაინც ვერავინ

ალიქვამდა – სოფლისთვის ის ხან სა-
თამაშო იყო და ხანაც ცოცხალი თოჯი-
ნა. მისი წარმომავლობის შესახებ ივანე
შავლაყაძის სიკვდილის შემდეგაც არ
დაუძრავს არავის სოფელში კრინტი.
მაშომაც კაი ხანს არაფერი იცოდა, და
საკუთარ სიდაბლესა თუ სიმაღლეზე
იქამდე არ უდარდია, ვიდრე წყაროს-
თან მცხოვრები ზურიკო სიხარულიძე
არ შეუყვარდა სიგიურდე.

•

მაშო ზურიკოს მენჯამდე წვდე-
ბოდა, მისი ყველა ნაბიჯი იცოდა და
მის ნაკვალევს ტალახან თუ გვალვი-
ან ამინდში ერთნაირად გამოარჩევდა.
ზურიკოს მზერას რომ დაიჭერდა, მის
დასანახად ადგილზევე თავის გამო-
გონილი ცეკვის შესრულებას იწყებდა.
გაბადრული ზურიკო ამის დანახვაზე
მაშოს ხელში იყვანდა და ჰაერში რამ-
დენჯერმე „ჰოპლათი“ ისროდა. მერე
კისერზეც შემოისვამდა და ასე მოატა-
რებდა მთელ კაკლიანს. მაშო ზურიკოს
ამ დროს კეფაზე ნაზად ეფერებოდა და
ხანდახან თმასაც უყნოსავდა.

– რას მსუნავ, გოგო? – ეცინებოდა
ზურიკოს. – ყვავილი კი არ ვარ!..

– მამას სუნი გაქ შენ! – თვალდახუ-
ჭული პასუხობდა ბედნიერი მაშო.

•

ზურიკო სიხარულიძე სოფლის ყვე-
ლაზე ჭკუატანადი ბიჭი იყო და სოფ-
ლისვე ყველა გასათხოვარ თუ გაუთ-
ხოვარ გოგოს ორივე თვალი ჰქონდა
მასზე დადგმული. ამ მხრივ ყველაზე
მეტად სოფლის კეკლუცი მარინა აქტი-
ურობდა, რომელსაც არა მხოლოდ ზუ-
რიკოს ბალ-ბოსტანი ჰქონდა საკუთარი
ზურგით ბევრჯერ ნატკეპნი, არამედ
საეჭვოდ მუხლისთავებდანითლებუ-
ლიც ხშირად დაიარებოდა კაკლიანის
ორლობებში ყინჩად.

– მერე? – ელიმებოდა კისერზე შე-
მომჯდარი მაშოს ნათქვამზე ზურიკოს.

– არ გინდა ჩემი თვალების კაკლის
მურაბა მოგიხარშო?

ზურიკო მალევე მიუხვდა პანაწინა
მაშოს გულის უცნაურ რაკარუკს.

ერთი კვირით სახლში გამოკეტილმა
იმაზე მეტი ვერაფერი მოიფიქრა, რომ
ერთხელაც სოფლის კეკლუცი მარინა
სოფლის განაპირას მდგარ კაკლებთან
დაიმარტოხელა და უთხრა:

– მაშოს გულს ვერ გავუტეხავ მე!

– პირდაპირ თქვი, რა ჯანდაბა გინ-
და?! – უცებ დაინაოჭა შუბლი მარინამ.

– ცოლად უნდა გამომყვე, რომ და-
მივიწყოს და გულიდან ამომიგდოს!..
მამამისი ივანე და მამაჩემი უჩა ბავ-
შვობის ძმაკაცები იყვნენ და არ გამოვა
სხვანაირად! თან შენც გზაზე დადგები,
რომ ხარ გადასაწყობელი პაპიროსი-
ვით!

– მამამისი ივანე კი არა!!.. ვითომ
არ გახსოვს, ქალაქის სანაგაოზე მიგ-
დებული და ჩვენი სოფლის აყვანილია
როა ეგ ჩემის ლილიპუტი!.. და ზუსტად
ეგ გიტყდება, ეგეთი რომაა, თორეეე!!.

– აინია კაკლის ქვეშ მჯდომმა მარინამ
ჭრელი კაბა და აღმოჩნდა, რომ კაბის
ქვეშ საერთოდ არაფერი ეცვა.

ამის გაგონებაზე უცებ აძაგრულმა
ზურიკომ კეკლუც მარინას ჯერ სილა
გააწნა, მერე ზეზე წამოაგდო, კაკლის
ხეზე ხელისგულებით მიაყუდა და შუა
თითით იმდენ ხანს და ისეთი უქნა, რომ
იმ კაკალს მერე და მერე მორეკვა აღარ
დასჭირვებია.

ის კი არ იცოდა არცერთმა, რომ
ზურიკოზე ყურებამდე შეუყვარებული
მაშო ამ დროს სწორედ იმ კაკლის ხის
კენწეროზე იჯდა, ყველაფერი ესმოდა
და ცოტა დააკლდა გულგადამნვარს,
მიწაზე რომ არ გაადინა ზღართანი.

იმ შუალამით ისედაც აცრემლებუ-
ლი მაშო მარჯვენა ხელის შუა თითის
საზარელმა ტკივილმა გააღვიძა. გამწა-
რებულმა დიდხანს იტრიალა ლოგინში.
ჯერ პირში ჩაიდო თითი და კაი ხანს
წუნნა. მერე ცივ წყალში ჩაჰყო. მარი-



ლიანი მდუღარეც არ დააკლო. თითი მაინც არ ისვენებდა და ჯიუტად ფეთქავდა.

ელენას ამ დროს ტკბილად ეძინა და არაფერი გაუგია.

ტკივილმა რომ არაფრით გაუშვა, მაში შლეგი სახით გავარდა გარეთ და თავისი სიმაღლის წალდი იპოვა. მერე ეზოში კუნძსაც მიაგნო, ახურებული შუა თითი ზედ დადო და ვიდრე წალდს თვალდახუჭული დაიქნევდა, მხოლოდ ერთი თქვა:

— ეს შენ ხარ, ზურიკო!

2.

— მაშოო! — დაიძახა ელენამ და დილის მზე მოიჩრდილა.

მაში კავლის ხის კენწეროზე იჯდა, კრიალა ცას აპყურებდა და თავისთვის იცრემლებოდა.

— ჩამო, ექიმი გელოდება!!! — დაიძახა ელენამ და ისეთი ძალით შეინასკვა შავკოპლებიანი თავსაფარი ყელზე, თითქოს თავის დახრჩობას აპირებდა.

მაშის დედობილისთვის ხმა არ გაუცია.

— მაინცდამაინც უნდა დაგაბა და ისე დავახვედრო შენი თავი?! — ბრაზით ჩაილაპარაკა ელენამ. — აღარ უნდა თქვა, რა გჭირს, შვილო?!

— ჯერ შენ მითხარი! — ჩამოსძახა უცებ ხიდან მაშომ.

— მე რა უნდა გითხრა, დედი? — შეცბა ელენა.

— რატომ ვარ ეგეთი?!

ელენამ პასუხად ხელი ჩაიქნია და სახლში შებრუნდა.

დიდ ოთახში, პიანინოსთან სოფლის ახალი, გრძელცხვირა ექიმი იჯდა, თითები დასაკრავად გაეფარჩხა და კარისკენ მომლოდინედ იყურებოდა.

ეულად შემობრუნებული ელენას დანახვაზე გრძელცხვირამ ხელები ჩამოუშვა და ბზრიალა სკამზე ნახევარბრუნი ქნა.

— მაინც არაო? — შეეკითხა ელენას.

— არაო!

— მაშინ თქვენ მაინც დაგიკრავთ! რათა მონინებით თქვა გრძელცხვირა ექიმმა.

ელენამ არაფერი უპასუხა და სარწეველაში ჩაეშვა. ექიმმა ეს დასტურად მიიღო და ორი ხელით ჩარაკრაკებული გამის შემდეგ ყველაფერი მარტივ ჯაზურ სავარჯიშო ეტიუდში გადაზარდა.

დაკრულის ექომ ძველ სერვანტში მდგარი ჭურჭელი აანკარუნა.

საბოლოოდ, ყველაფერი ორი ხელით აღებული აკორდით დაგვირგვინდა. ექო კაი ხანს იდგა ოთახში და წვალებით იწრიტებოდა ლია კარ-ფანჯრიდან. ოთახი ბოლომდე რომ განიავდა, გრძელცხვირა სწრაფად დატრიალდა ბზრიალა სკამზე და ელენას ამაყად მიაცერდა.

— შენა კაცო, ვერ გავიგე, ექიმი ხარ თუ მუზიკანტი? — ჩაეცინა ელენას.

— პროფესიით ფსიქოთერაპევტიმეტქი! — აღელდა გრძელცხვირა ექიმი.

— რამდენჯერ უნდა გავიმეორო ერთი და იგივე?! მუსიკა უბრალოდ ბავშვობიდან მიყვარს!.. ბახი, გერშვინი... ივან გლინკა!

— ივანე ერქვა ჩემ საცოდავ ქმარსაც!.. — დალონდა უცებ ელენა. — მაინც მოდი კიდევ!.. იქნებ მოვარჯულო და ძირს დაგახვედრო შემდეგ ჯერზე!

— მთელი ორი კვირაა ტყუილად დამატარებთ სოფლის ბოლოდან! დღეს რა დღეა? — თითების ცივად კეცვას შეუდგა ექიმი. — ესე იგი, დღეს სამშაბათი!.. ხვალ ოთხ... ზეგ ხუთ... — მერე ჩაფიქრდა, ფეხზე წამოდგა და კარისკენ გაინია. — მაშინ, პარასკევს იყოს!

— სად მიდიხარ? — ელდა ეცა ელენას და სარწეველადან სწრაფად წამოდგა. — ნახევარ საათშია ავტობუსი!.. რას იფიქრებს ხალხი? სკამი არა მაქვს სახლში თუ? იქნებ ჩამოძვრეს იქამდე!

— ვიდრე მე ვარ აქ, ის იქნება იქ! ასეთია ამ ეტაპზე მისი ბავშვური, აუტისტური ნატურა!..

— წესიერად ილაპარაკე! — აიმრიზა ელენა.

— რა ვთქვი ეგეთი? — გაუკვირდა გრძელცხვირას და მხრები აინურა. — გარე სამყაროს მიმართ პროტესტი მის ასაკში სწორი განვითარების ნიშანია. კი არ უნდა აძაგებდეთ ამის გამო — მთავარია გაგება! ამასვე ამბობს კარლ გუსტავ იუნგიც!.. გამომდინარე იქიდან, რომ მაში ჯერ კიდევ შორსაა სრულნლოვანებისგან...

— ოცი წლისაა უკვე, ოცის — შე მამაცხონებულო!.. რამდენჯერ უნდა გითხრა?! მაინცდამაინც დაბადების მოწმობა განახო?!

— ელენა საძინებლისკენ წავიდა და იქიდან მომწვანო წიგნაკით გამობრუნდა.

ექიმმა წიგნაკი ჩამოართვა, გადაშალა, თვალიერებას მალევე მორჩა და ისევ ელენას დაუბრუნა.

— ნუ, ახლა... — გაკვირვებით გაშალა ხელები გრძელცხვირამ. — ისეთია, ექვსზე მეტს ვერ მიცემს კაცი!.. როგორც ვხედავ, ჰიპოფიზურ ნანიზმთანაც გვაქვს საქმე! თქვენ კიდევ ამბობთ, რაღაც დაემართაო! თითო მოიჭრაო! აგერ, მადროვეთ! — ამოილო ჩანთიდან სქელი წიგნი და კაი ხნის ფურცვლის შემდეგ კითხვას შეუდგა:

— მცირე ზომის ადამიანის დაბადება დიდი იშვიათობაა! დაახლოებით 10000 მშობიარობიდან შესაძლოა მხოლოდ ერთი დაიბადოს ასეთი! შემდეგ... აჲა!.. მათი განაწყენება და შეურაცხყოფის მიყენება ძალიან ადვილია, შესაძლოა ამიტომაც ისინი ხშირად იღუპებიან გულის დაავადებებით! ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია მათი ცხოვრებისა კი ის გახლავთ, რომ მცირე ნაწილს აქვს გამრავლების შანსი, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ ადამიანებს ძალიან უჭირთ წყვილის პოვნა!.. გაიგეთ?!

— მე რა ვქნა, ის მითხარი, ექიმო? დღე კაკლის ხიდან ვერ ჩამომყავს. ღამით თუ შემოვა ხოლმე სახლში...

— ღამისთევით მე ვერ დავრჩები აქ!.. — თქვა ექიმმა და ისევ კითხვა განაგრძო: — ...ხშირად ჩვენ არაფერი ვიცით

მათი პრობლემების შესახებ, ვაფასებთ მათ მხოლოდ ვიზუალურად... ჰო!.. გამომდინარე აქედან, ისინი ხშირად იქცევიან უგულო ადამიანების დაცინვის ობიექტებად. არადა, ბევრს ალბათ წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ როგორც თქვენ, ისევე ნებისმიერ სტანდარტულ ადამიანს შეიძლება ეყოლოს ეგრეთ წოდებული ლილიპუტი!.. „ლილიპუტიზმი“ არც დაავადებაა, არც რაიმე სენი და ხშირად მსგავსი ადამიანის დაბადებას არანაირი ახსნა არ გააჩნია...

— გაგალილიპუტიებ ახლა მე შენ! ეგ სიტყვა მეორედ აღარ გავიგონო ამ სახლში!!!

— სხვა რა ვქნა, ქალბატონო ელენა? ხეზე ძრომიალი მე არ ვიცი!.. ის კი არა ვარ, რა ჯანდაბა ქვია?.. ფოკუსნიკი! მოკლედ, მირჩევნია წყაროსთან მივიდე და ფეხით გავეშვა კაკლიანის ბოლომდე!

— შვილო, იქნებ ქვემოდან უთხრა რამე ექიმურად და ჩამოვიდეს...

— გამორიცხულია! პარასკევს თუ კიდევ ხეზე დამხვდა, საბოლოოდ ვიტყვი უარს ამ პაციენტზე! იპოვეთ ბატონო სხვა მკურნალი! გამოიძახეთ ქალაქიდან! ალპინისტური მონაცემების! ხეზე ასვლა რომ იცოდეს! ახლა კი გამატარეთ თუ შეიძლება!

— არაფერი შენ არ იცი! — გაატარა ელენამ გრძელცხვირა ექიმი. — არაფერი!! გინდა გითხრა სიმართლე?

— ბრძანეთ! — შეყოვნდა ზღურბლთან გრძელცხვირა.

— ექიმი, მე ვიცი ხელში თერმომეტრით და წნევის აპარატით ყურში!

— ცდებით, ქალბატონო ელენა! პროფესიული უნარ-ჩვევებითა და ჰიპოკრატეს ფიცით!



წყაროსთან, კაკლის ხის ძირას ორი შაოსანი, დაღარულსახიანი დედაბერი იჯდა. კალთაში ქვასანაყები ედგათ და დადუმებულები ნიგოზს ნაყავდნენ. რო-

დინების რიტმულ ჩლახუნს ფონად წყაროს წყლის ჩხრიალი გასდევდა. სადღაც შორიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა.

უცებ მოსახვევში უზარმაზარი შა-
ვი ძროხა გამოჩნდა. დინჯად მომავალს
ელენა მოსდევდა პალოთი ხელში. ძრო-
ხა წყაროსთან შეჩერდა და მიღიდან
გადმომჩერეთარ წყალს ისე დაეწაფა,
დედაბრებისთვის ზედ არ შეუსედავს.
ძროხისა და ელენას დანახვაზე დედაბ-
რებმა ნიგვზის ნაყვა ერთდროულად
შეწყვიტეს და ძროხას მიაცეკერდნენ. ის
წყალს ხმაურით სვლეპდა და თან მთე-
ლი ტანით თრთოდა. ელენამ დრუნჩიზე
პალო მიარტყა და მიღიდან გადმომ-
დინარ წყალს თავად შეუშვირა ჰეშვი.
მერე ფრთხილად მოსვა და ქვასანაყი-
ანებს წარბშეკრულმა შეხედა. იქვე და-
სიებული ფეხები ამოალაგა კალოშები-
დან, რიგ-რიგობით ჩაჰურ ცივ წყალში
და უკვე ის ათრთოლდა მთელი სხეუ-
ლით.

- ჩაითა ავტობუსმა?
- ჩაითა... - ერთხმად დაუდასტურეს დედაბრებმა.

- გაჟყვა ის ჩემი ცოდვით სავსე, თუ
ნაბლაყუნდა ფეხით?

— ვინა, გოგო? — გაიკვირვეს დედაბ-
რებმა.

- ვინა და, სოფლის ახალი ექიმია,
თუ ვიღაც ჯანდაბაა!..

— ხომ... ეგ კი ნაყვა... აბა ჩვენთან
ხომ არ დარჩებოდა... — თქვა დედაბერ-
თაგან ერთ-ერთმა. — იქამდე კი გაიჭი-
პა ეგეც ნყლის სმით...

— ჰოი, მაგან აღარ დალიოს არაფე-
რი!.. — ჩაიქნია ხელი ელენამ.

სადღაც შორიდან კვლავაც ბაყაყე-
ბის ყიყინის ხმა მოისმა. უცებ მას ზედ
ძალლების ყმუილიც დაერთო.

— გაავდრდება!.. — თქვა ელენამ, ფეხები კალოშებში წაჰყო და მიაყურადა.

- იმათ რაღა სიკვდილი აყმუვლებთ?
- მერე ძროხას გადახედა და ისევ დე-

დაბრებს მიუტრიალდა. — გოგოებო... —
დაინყო უცებ ყოყმანით და იქვე გაჩერ-

15015360

၃၂။

- თქვი... რისი გერიდება? - და-
ნამუსა ერთ-ერთმა და მეორეც უცემ
აჟყვა:

— უცხოები ხომ არ ვართ?..

ელენამ ოფლიანი პირი მაჯით მოხსოვა და ღრმად ამოისუნთქა.

— შეიძლება ადამიანი სუ კავლის ხე-
ზე აძრომაზე იყოს?

- ვინა?

— მე ხომ არა... მაშო, ვინა!.. ჯერ ის
შუა თითი ხომ მოიჭრა! მერე საერთოდ
გაუცხოვდა და გაველურდა!.. მე კიდე
სად ვდიო ამ ფეხებით?.. — განაგრძო
ელენამ. — ყოველდღე მისივდება... იმ
ექიმსაც ტყუილად დავატარებ... მაინც
არ ეკარება!.. ჰოდა, გავყიდი ძროხას
და ჩავიყვან მაშოს ქალაქში... დავან-
ვენ საგიუეთში და იქნებ იქ უშველონ
რამე. მეც იქ დავრჩები და მოვუვლი
როგორც შემეძლება... ო, ივანე შენი
პატიოსანი სული წარწყმდეს!

- რეებს ამბობ გოგო ივანეზე? -
ლამის ერთ ხმაში შეიცხადეს დედაბ-
რებმა.

- ვეუბნებოდი თავის დროზე! არ
გვინდა! არა და არა! სად წახვედი? რა-
ტომ დაგვტოვე? გესმის ჩემი ივანე?

- ახელა ელენამ ცას და ზუსტად ამ დროს წყაროსთავზე მდგარი ხიდან ჩა- მოვარდნილი კაკალი ზედ შუბლზე და- ენარცხა. მოულოდნელობისგან ელენა ადგილზე შეხტა.

- ხმამაღლა სიტყვა ვეღარ მით-
ქვამს, ოხერი!

დედაბრები ერთხმად ახითხითდნენ
და ქვასანაყები ისევ მუხლებში ჩაიდგეს.

კაკლიანის პირას ვრცელი მინდორი გადაჭიმულიყო. ელენა მინდვრის შუა-გულში შეჩერდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და პალოს დასასობად დიდ ქვას დაუწეო ძებნა. მალევე იპოვნა და პალოც გემრი-ელად ჩააჭედა მიწაში. მერე ზედ თოკიც დაახვია და ძროხას სევდიანად შეხედა.

— რა ვქნა, ჩემო ლამაზო?.. ამდენი სიკეთე ვიცი შენგან და მაინც ეგრე გიხდი სამაგიეროს... — ელენამ თვალი ამოიმშრალა და განზე გაიხედა. — ხომ იცი, როგორ მიყვარს?.. ვეღარ მომყავს გონზე! სუ ჩემ ივანეს მაინც არ ვხედავდე სიზმარში!.. ისე მიყურებს, ისე!.. უშველეო — სულ ამას მთხოვს. რა ვუ-

დურები ვართ ადამიანები! კი ნუ გენ- ყინება, ლამაზო... ვინც გიყიდის, ვეტ- ყვი, რომ არაფერი მოგაკლონ და მო- გეფერონ. შენზე მეწველ ძროხას სად იშოვიან?..

ძროხას თითქოს ყველაფერი ესმოდა: პასუხად ჩუმად ზმუოდა და აცრემ- ლებული იცოხნებოდა. ელენამ ძროხას აცრემლებული თვალის უპეები სახელოთი ამოუმშრალა და ფერდზე ხელი ჩა- მოუსვა.

— აბა, ახლა შენ საქონელი უნდა გერქვას და მე —, ადამიანი?

— აღმოხდა ოხ- ვრით. ცოტა ხანს ასე იდგა, თით- ქოს სევდისგან დაპატარავებული. — საღამოს- კენ მოგაკითხავ, ჩემო ლამაზო და ჩავიდეთ დილით ბაზარში... — ძრო- ხას ისევ ფერდზე ჩამოუსვა ხელი ხმააკანკალებულ- მა ელენამ და გატრიალდა. მინ- დორი მოკლეზე გადაჭრა და სოფ- ლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.



ყო? თან ის თითი! სუ თვალი უშტერ- დება. ახალმა ექიმმა თქვა — ქალაქის საგიუეთში ავადმყოფების უმეტესობა ერთმანეთზე ქორნინდება და კი არიან მერე კარგადო. უნდა ვუშველო! რისი დედა ვარ? მაგიტომ გყიდი. ეგეთი უმა-

ალიონზე კაკ- ლიანის ცა ზურიელ სიხარულიძის ღრი- ალმა ჩამოაქცია.

სახლიდან პირველი ელენა გავარდა. კაკლიანის ორლობე უკვე ხალხით იყო სავსე და ყველანი წყაროსკენ გარბოდ- ნენ კისრისტეხით. მაშომ ერთი მოიფ-



შვილი თვალები და გაქცეულებს ნახევრადმძინარი გაედევნა უკან.

ზურიკო სიხარულიძის ეზოსთან ლამის მთელ სოფელს მოეყარა თავი და იყო საშინელი კივილ-წივილ-ტირილი. ვილაცები ეზოში ღობის ზემოდან იყურებოდნენ და მაშინვე გული მისდიოდათ, ზურიკოს ღრიალი კი მაინც არ წყდებოდა.

— რა ხდება? რა ამბავია? მოკვდავინმე? — ეკითხებოდა ყველას ნიკაპაკანკალებული ელენა და ცდილობდა რამე მაინც დაენახა, მაგრამ ამის საშუალებას მეზობლების ზურგები არ აძლევდა.

— რა მოხდა? რა მოხდა? რა მოხდა?
— ისმოდა აქეთ-იქიდან.

— მარინას ჭიპი გაეხსნა!.. — თქვა სოფლის ექიმმა და ისიც გულწასული ჩაიკეცა.

— რაო?

— რას ქვია ჭიპი?!

— გაეხსნა და არის გადაფლაშული მთელი ტანი გარდიგარდმო!.. ღმერთო, შენ გვიშველე!

მაშო ამის გაგონებაზე უცებ გაძვრა სოფლების ფეხებს შორის და კაი ხნის ძრომიალის შემდეგ ეზოს ღობესთან აღმოჩნდა. ღობის ღრიაჭოში რომ გაიხედა, თვალები მართლა კაკლისხელა გაუხდა.

ეზოს შუაგულში ჭიპგადახსნილი მარინა ეგდო — ნაწლავებგადმოყრილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ზურგზე მნოლი ძლივს ფეთქავდა, მისი ჭიპზე გახსნილი სხეული კი ლამის მთელ შუაგულ ეზოს ფარავდა. იქვე მუხლებზე დაჩიქილიყო ზურიკო სიხარულიძე და სახეზე ხელისგულებაფარებული მთელ ხმაზე ხაოდა.

მაშომ ერთი დაინივლა:

— მამააა!!! — მერე ხალხის ფეხებშორის გავლით უკან გამოხოხდა და წყაროსთავზე მდგომ კაკლის ხეს ახედა. უცებ აძვრა, ფოთლები სწრაფად წააგლიჯა ხეს, იმავე ფოთლებით ხელისგუ-

ლები ნაჩქარევად დაიზილა და ტოტის დან პირდაპირ ეზოში ისკუპა. შემდეგ ფრთხილად მიუახლოვდა ჭიპზე მთლიანად გადახსნილ მარინას.

•

სწრაფად ურტყამდა მაშო ძირს მნოლ მარინას წრეს, მის გაშლილ ტყავს თუ კანს ადგილ-ადგილ, მიწიდან ისე კრეფდა, თითქოს ერთი უზარმაზარი ხინკალი უნდა მოეხვია. ბოლომდე რომ მოკრიფა ეზოში გაფენილი მარინას გადახსნილი ტყავი, მართლაც ხინკალის კუჭივით დაატრიალა. ბოლომდე რომ მოახვია, მთელი ძალით მოუჭირა, მოკუჭა და ეს კუჭი მარინას ჭიპის ადგილას, მუცელში ჩაუბრუნა. აქ სოფლის გოდება ერთხმად შეწყდა..

მარინა ისევ მთელი იყო — შეკრული, მოხვეული და ოდნავ მსუნთქავი, მაგრამ მაინც უკვე ცოცხალი. ასე უცებ გამრთელებული და ჭიპშეკრული მარინას დანახვაზე ყველამ ერთდღროულად გადაჯეგა ეზოს ღობე და ძირს მნოლს მიცვივდნენ.

— გაცოცხლდა!!! — აღმოხდა ვილაცას. — გამოუძახეთ სასწრაფოს სასწრაფოდ!!! — და ატყდა ირგვლივ მობილურების წკრიალი.

ზურიკომ სახიდან ხელები ჩამოუშვა და პირველი ვინც დაინახა, მაშო იყო, რომელიც უკვე მარინას ირგვლივ შეგროვილი სოფლებების ფეხებშორის მიძვრებოდა. ზურიკო სიხარულიძე ფეხზე წამოდგა და მარინას შეშლილი სახით დახედა.

მარინა სუნთქავდა და ცოცხლდებოდა.

— მაშოოოოოომ!!! — დაიყვირა ზურიკომ, მაგრამ მისი ხმა ხალხის ჩოჩქოლმა ჩაყლაპა.

— რა დროს მაშოა, ბიჭო?! ცოლს მიხედე!.. — ხმის კანკალით გადაუსვა თავზე ხელი შავებში გამოხვეულმა ელენამ. ზურიკო ისევ მუხლებზე დაეცა და მარინას დააცეერდა. მარინა თითქოს იღიმებოდა.

მალე შორიდან „სასწრაფოს“ სირენის ხმა მოისმა.

•

იმ დღის მერე მაშო აღარავის უნახავს კაკლიანში. სად აღარ ეძებეს, ეძეს, ყველა კაკლის ხე დაიარეს, მდინარის კალაპოტიც სულ ფეხდაფეხ დაჩხრიკეს, მაგრამ მაშო არსად ჩანდა.

— სად წავიდა ჩვენი შვილი, ივანე?
— სად წავიდა ჩვენი შვილი?
— სად წავიდა?.. — შეშლილი სახით დაიარებოდა სოფლის ორლობებში ელენა და ყველა კაკლის ხეს ხელს ადებდა.

მაშო რომ არა და არ გამოჩნდა, ელენა მიხვდა — წყლის ნაყვა იყო ასეთი ლოდინი, სასაფლაოსკენ ბებრულად წაბორძიკდა და ქმრის საფლავს ჩაეხუტა.

მალე სოფელში პატრულის მანქანა გამოჩნდა. ყველა კუთხე-კუნჭული დაიარეს. ვინ აღარ დაკითხეს. მაინც არაფერი. რაიონსაც გადასცეს. ყველა პოსტი გააფრთხილეს.

ისევ არაფერი.

ამის შემდეგ, ელენა სახლიდან მხოლოდ დღეში ერთხელ გამოდიოდა, ივანეს საფლავზე დინჯად ადიოდა და იქ იჯდა შებინდებამდე.

მაშოს მიერ გადარჩენილ თუ გაცოცხლებულ მარინას კი ცხრა თვეში ტყუპი ბიჭები ეყოლა და ზურიკომ ორივეს მაშო დაარქვა.

(9 წლის შემდეგ)

— ჰოდა, ჩავედით მე და მაშოები ქალაქში!.. მექაჩებიან ესენი!.. ჯერ ზოპარკიო. იქ სელაპები იყვნენ და გველების სახლიც იყო კიდე!.. მერე ბამბის მაროუნიო... გაინეპნენ ერთიანად!.. გამოიდე ცხვირიდან თითო, მაშო!.. მერე მაკდონალდიო! მერე „დინამო“ სტადიონიო! ჩვენები და ისინი ხვდებოდნენ. მოვიგეთ მაგრად!.. შემჭამეს და გამნე-

ნეს ამ ვირიშვილებმა! ისადილეს სუმიჩ-კით!.. ყველაფერი ვნახეთ, რაც უნდა გვენახა! მოვდივართ და მომყავს ხელჩაკიდებულები... უცებ ვხედავთ, ერთი ლია ადგილია მარჯვნივ — მუშტაიდის ატრაქციონები ანერია. შევდივართ — იქ საქანელებია, კარუსელებია, აქეთ ეშმაკის ბორბალი დგას. ავედით ცაში, ვეშვებით მიწაზე. უცებ ზემოდან მანახებენ და მექაჩებიან მაშოები! — შეხე, მამი, მამი, პატარა კაცების ცირკიო!.. გამოდიოდნენ ა, ამხელა, მართლა ერთი ბეწო კაცები და ქალები. ვდგავართ და ვუყურებთ ა ამხელაზე პირდალებულები. ა, ასე!.. ბუზი გადამეყლაპა მგონი, ხთფუ!.. ხალხია! მთელი უბანია შეყრილი. არის ტაში და ერთი ამბავი... პირიდან ცეცხლებს უშვებენ, დახტიან, დაბზრიალებენ, ყირაზე გადადიან. ურიამული და ზეიმია ირგვლივ! თან უკრავენ... მოისვენე მაშო!.. მერე პატარა, სუ პატარა, ა ამხელა კაცი და ქალი გამოვიდნენ სცენაზე. გააჩერე ფეხი, გაიგე მაშო შენ, რას გეუბნები?! ისეთი კოხტები იყვნენ. ორივეს სახეზე ფერადი ნილბები ეკეთა. პატარა კაცს — შავი, პატარა ქალს — მწვანე. ჩვენი კაკლიანი გამახსენდა, ისეთი ხასხასა მწვანე კაკლებით ასხმული მძივი ეკიდა ყელზე. და ისე ცეკვავდა... ისე ცეცხლივით ცეკვავდა... ეს კაცი კიდე პატარა გიტარაზე უკრავდა ჯოხით!.. გაიქცი, მაშო, ბიჭო, დეეშენს უთხარი, რომ გვშია! დიდი ბიჭი ხარ უკვე! მერე კიდე... ცეკვის დროს ეს ნილბიანი ქალი დარბაზის ყველა მხარეს ხელის დაქნევით ესალმებოდა და პაეროვან კოცნას უგზავნიდა. ერთ მხარეს, მეორე მხარეს, მესამეზე... ჩვენ აქეთ, ბოლოში ვართ. გამოაქნია ხელი ჩვენკენ, ცოტა ხანს გაშემდა და უცებ ვხედავ, როიცინის!.. ის პატარა კაცი უკრავს პატარა გიტარაზე ჯოხით და ეს პატარა ქალი კიდე აღარ ცეკვავს და გულიანად იცინის!.. მერე როგორ იყო, მაშო?.. ჰო! მერე მაშინათვე თავისი პანია, მარჯვე-

ნა, ამოტრიალებული მუშტი არ დაგვანახა?.. და ცეკვა გაარძელა. მე ვთქვი – ვერაა ეს კარგად! გამოვედით, ნამოვედით ავტოსადგურზე. ჩავჯექით კაკლიანის მარშუტკაში. ესენი მეუბნებიან – იმ პატარა ქალს მუჭაზე შუა თითი რატომ არ ქონდაო?.. მოიცა, ეგრე ხო გამოდის, რო შუა თითი გვანახა, რომელიც არ ქონდა! ბავშვების მაინც არ მოერიდა?.. მე კი არ დამინახავს. აჩეის გარეშე რას დავინახავდი?.. შემაღლებულზე კი ვიდექით, მაგრამ... მერე ვიფიქრე რო... მოიცა, რა ვიფიქრე მაშინ, კი მახსოვს, მაგრამ ვთქვა ახლა ეგ ხმამალლა?..

●

შორიდან ავტოსიგნალებისა და მხიარული მუსიკის ხმა ისმოდა. ხმა ნელნელა ახლოვდებოდა.

– რა ხდება? ქორწილია? – მიუგდო ყური ხმას წყაროსთავზე მჯდომმა ვეტერანმა ფიზკულტურისტმა ვაჟა შერმადინმა.

– არჩევნების ამბავი იქნება! ნაიღეს უკვე ტვინი აგიტატორებმა! – დაბეჭითებით თქვა გრძელცხვირა ექიმმა და წყაროდან პეშვით წყალი მოსვა. – კაი გრილი საღამო უნდა იყოს დღეს. დომინო და ჩოთქი გამოიტანე!

– რა იცი? – შეეკითხა ზურიკო სიხარულიძე.

– გოგირდის გემო ნამოილო წყალმა... – უპასუხა ექიმმა და წყალში ცხვირსახოცი დაასველა.

– მამიი, მამიი! – მოისმა უცებ შო-

რიდან ბავშვების ყვირილი.

წყაროსთავზე მსხდომი კაცები ფეხზე ნამოდგნენ და შარას გახედეს.

შარაზე კისრისტებით მორბოდნენ მაშოები.

– რა ხდება?! ძალლი თუა, აიღეთ ქვა და ესროლეთ!! – უყვირა ზურიკო სიხარულიძემ შვილებს.

გახვითქულმა ტყუპებმა მალევე ამოირბინეს ალმართი და მტვერში ამოგანგლულები წყაროსთან ქოშინით შეჩერდნენ. ცოტა ხანს სულს ითქვამდნენ. მერე ერთმანეთს გადახედეს და აქოშინებულებმა ლამის ორ ხმაში თქვეს:

– მამი!.. სუ პატარა კაცების... და ქალების ცირკი მოდის!.. ფერადი ავტობუსით... და ფერადი ბუშტებით!!.. რა უნდათ, მა?! – ერთდროულად ახედეს მაშოებმა მამას.

წყაროსთან სიჩუმე ჩამოვარდა.

ზურიკო სიხარულიძე ფეხზე ნამოდგა, მაშოებს გახურებულ თავებზე ხელისგულები ერთდროულად ჩამოადო და იქვე შეგროვილ, ფეხზემდგარ თანასოფლელებს გადაბადრული მზერით გახედა.

– რა დროს დომინო და ჩოთქია!.. ისეთი ამბავია!!! გამოიტანეთ, რაც გაქვთ!

– რა ხდება, ზურიკო?

– მაშოებო, გაიქეცით! ზარები დარეკეთ!

– სუ გააფრინე, ზურიკო?! – არ ეპუებოდა ზურიკო სიხარულიძეს სოფლის გრძელცხვირა ექიმი.

– მაშობაა!!!

მხიარული მუსიკის ხმა უკვე ძალიან ახლოდან ისმოდა.



გიორგი ბალახაშვილი

ლილია

ვარსკვლავებს იყრის ტანზე ზეცა, როგორც ბუსუსებს,
მე, როგორც წესი, აივანზე ვდგავარ, ვენევი
და მერე ხველას წამოვიწყებ, რაღაც უსუსურ
ბგერათა ხროვას და ვუყურებ წინ წამოწეულ
კორპუსს, რომელშიც მეხუთეზე ცხოვრობს ლიდია
და არის მარტო, გადამკიდე მისი პილოტი
ქმრის, რადგან იგი, დღენიადაგ ცაში ჰქიდია,
უკვე ყელში აქვს ამოსული ნიცა, კიოტო,
მილანი, გოა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი
ქალაქი, სადაც მოხვედრაა ერთგვარი იშტა...
მე, ყოველ ღამით, მის მეუღლეს თვალყურს ვადევნებ,
წინასწარ ვიცი, რა დროს იცვამს ან უფრო იხდის
ვარდისფერ ხალათს, ჩამოტანილს, ალბათ, დოპიდან,
ყატარს სტუმრობდა მისი ქმარი წინა კვირაში,
მე კი ვუყურებ და მუდმივად ვწრუპავ მოჰიტოს,
როცა ლიდია მკერდს იშიშვლებს, როგორც მინაშენს
კანონის მიღმა, დადგენილზე მისი ფართობით,
ძილისპირულზე ვიზეპირებ მკერდის კონტურებს,
მაღალკლასელი მოზარდივით ურცხვად ვერთობი,
ვდარდობ იმაზე, რომ ჩაქრება მაღე ნათურა.
წავა ლიდია, გადაწეულს დატოვებს ფარდას,
ნიშნად იმისა, რომ მიცექერის, როგორ ვუცექერი,
გაიშლის თმას და თავს ბალიშზე მოწყენით დადებს,
მერე თვალებში ძილი მოვა ლურჯი, უფსკერო...
მე, როგორც წესი, აივანზე ვდგავარ ვენევი,
მერე ვახველებ, თუმცა რომ ვთქვათ, ფეხზე მკიდია,

ვწრუპავ მოჰიტოს და ვუყურებ ნინ ნამოწეულ
 კორპუსს, რომელშიც მეხუთეზე ცხოვრობს ლიდია.

რა მარტივია

რა მარტივია, რომ დაფიქრდე, ჩემო ბართლომე,
 რა მარტივია, რა სადაა, რა უბრალოა,
 დავწვათ ნიგნები უსარგებლო და უბრაილო,
 არაფრისმთქმელი, რადგანაც ვართ უსინათლონი.
 რა მარტივია, რომ ადგე და გამოერიდო,
 ამ ძირგამომპალ, უმოქმედო მეამბოხეებს
 და ყველაფერი სარკის ნაცვლად უამბო ხეებს,
 ვიყოთ მარტონი, სულ მარტონი, ამიერიდან.
 რა მარტივია, მხოლოდ ხმები, მხოლოდ ბგერები,
 ანუ ხედავდე მხოლოდ იმას, რასაც ისმენდე;
 ფეხზე გეკიდოს ყველა სახის დოლი, ისინდი,
 როცა ცხენები ფლოქვების ხმას გააუღერებენ.
 რა მარტივია, ვერ ხედავდე, ჩემო ბართლომე,
 ათიათასგვარ სიბინძურეს დღეს შენს გარშემო,
 რომ ხსოვნის მიღმა უნებლიერ გადააშენო,
 რაც კი გინახავს ამდაგვარი და წარმართული.
 რა მარტივია, რომ დაფიქრდე, ჩემო ბართლომე,
 რა მარტივია, რა სადაა, რა უბრალოა,
 დავწვათ ნიგნები უსარგებლო და უბრაილო,
 არაფრისმთქმელი, რადგანაც ვართ უსინათლონი...



ბოჭემის ტყეში ვარ, ტანსველი ნიყვები
 მიჰყვება ხეების გადასწვრივ ბილიკებს,
 როგორც ათეისტის ტაძრად მიყვანება,
 ერთობ აბსურდული, ეს ჩემი ლირიკა,
 გაგანდობს ართქმულ და შენამდე ვერ მოსულ
 სიტყვების, სიტყვების, სიტყვების სიმძიმეს...
 შენ კი, ეგ ტუჩები დუმილით შემოსე,
 შემზარავ დუმილით და ისე მისმინე.
 თვალებიც დახუჭე, ეგ შავი ყორნები,
 რომელიც გაცნობის წუთიდან მაშინებს,
 რომელიც გაცნობის წუთიდან მაყოვნებს,
 რომელიც გაცნობის წუთიდან მანიშნებს,
 გაგშორდე და ახლა დუმილიც გბეზრდება,
 დრო არის ავდგე და არსაით წავიდე;
 თვალები ძილის ნინ უხმობენ ბელზებელს
 ან სულაც უძილო ლამეებს-ყავიდან.
 სიზმრიდან მოგელის სასახლე კოშმართა,
 იქ, სადაც სახლდება ყორანი ქედანში,
 იქ, სადაც არ არის სენა და მონმარტრი,

იქ, სადაც არა ვართ, ძვირფასო, მე და შენ.
გტოვებ და მივდივარ, დილამდე ნუ მიცდი,
მივდივარ არსაით, თავს უნდა ვუშველო
და ახლა, ხელს ვაწერ ღამეთა სუიციდს,
ბოჰემის ტყეში ვარ...

●

მარჯანიშვილს რომ ჩაუყვები და მთელ ამ თურქულ
ჩილიმ ბარებით აჭრელებულ, მოგრძო კოლონას,
ალუბლის სუნით იულენთება ვილვეტის ქურქი,
რომ გადაფაროს სუნთქვა შენი ოდეკოლონის,
რომელსაც დილით მოაპკურებ ნაჩუქარ კაშნეს,
როდესაც სახლში დაბრუნდები ჰარამხანიდან
და მტკვარიც ხიდქვეშ იზლაზნება, ასეთი უშნო,
ჯერ არ გინახავს ანდა სულაც კარგა ხანია,
ასეთს უცქერი, არა მარტო ხიდზე ტაბიძის,
ბარათაშვილზე, ვახუშტიზე, კიდევ ვინ იცის,
რომელი გითხრა, თუნდ „მშვიდობის“, შუშით აკინძულ,
ციმციმა ხიდზე, რომ გადადის მთელი თბილისის
ადგილობრივი მოსახლე და ყველა ტურისტი,
სადაც ფეხდაფეხ ხელგამოწვდილ ბავშვებს შეხვდები,
თვალებში შიმშილს წაიკითხავ, მერე უსიტყვოდ,
ხურდას ჩაუყრი კმაყოფილად და სხვა, შეღებილ
კორპუსთა მხარეს გადაიწევ და თითქოს დაცლი
ავსებულ მზერას სიცივით და ამაოებით,
ლურჯ ფასადებზე, რიკულებზე, რომ გაწყდეს ქანცი
და შეუხამო გარე მხრიდან გარემონტებულ:
სკოლებს, კლინიკებს, მობეზრებულს უკვე ლუდხანებს,
სადაც დროდადრო მეგობრებთან ერთად ისვენებ,
ლამეც მოდგება უსახური და ბებრუხანა
და საზეპიროდ წაუკითხავ ძმაკაცს ესენის,
ზედიზედ მოწევთ რამდენიმე წითელფილტრიან
სიგარეტს, ისიც საზიაროდ რომ გაქვთ ნაყიდი,
მერე კი მიდი, იდექი და თავი იმტვრიე,
რადგან სახლამდე დღესაც ფეხით უნდა წახვიდე
და ჩაუყვები მარჯანიშვილს, მოკლედ ამ თურქულ
ჩილიმ ბარებით აჭრელებულ, მოგრძო კოლონას,
ალუბლის სუნით იულენთება ვილვეტის ქურქი,
რომ გადაფაროს სუნთქვა შენი ოდეკოლონის.

ლამის ქალაქი

ჩვენ ერთმანეთის ჩრდილებივით გავიზეპირეთ
ლამის ქალაქი – გამზირებით, გზებით, ჩიხებით...
სხვა სახელები მოვუგონეთ ხიდებს, ჯებირებს,
რაღაც ბავშვური აღტაცებით და ახირებით.
ვისწავლეთ ყველა გასასვლელი და მიწისქვეშა,
ბნელი გვირაბი, პანკებით თუ ბუკინისტებით;



ლუკა ბაქანიძე

კორონა ბოშურად

რომელიღაც ტბის ნაპირზე გადავეყარე იმ ბოშას. კარავი მქონდა გაშლილი. პატარა, ორკაციანი. უხარისხო კარავი იყო. წყალი, წვიმა ატანდა, მაგრამ ახალი კარავი ძვირი ლირდა. დიდი, სქელი ცელოფანი ვიშოვე და წვიმის დროს, თუ ქარიც არ ქროდა, ცელოფანს გადავაფარებდი ხომე. ქარში მარტო ვერ ვშლიდი ცელოფანს, იალქანივით იბერებოდა და ტყლაშუნებდა. არც სოლებით დამაგრება გამოდიოდა – იოლად იხეოდა. ჰოდა, ერთხელ, წვიმამ და ქარმა რო ძალიან გამანვალა, ბოშების კარვებს შევეფარე.

ვხედავდი, ჩემ წინ, ფერდობზე შეტეხილ პატარა მინდორზე რო ედგათ ბრეზენტის სამი დიდი კარავი და ერთიდან რატომღაც კვამლი ამოდიოდა. ფერი ედგათ თურმე შუა ზაფხულში. ალბათ, ზეგანზე ლამე ძალიან რო ციოდა, მაგიტომ.

პირველად ვნახეფერიანი კარავი. ეგრევე იქითკენ დავაღირე თავი. შევეხმიანე და შევედი. თავის დახრაც არ

დამჭირვებია, ისე. სახლი იყო მოკლედ თუ ქოხი, ოღონდ ბრეზენტისა.

ფერში ცეცხლი ტკაცუნებდა. კარავში ყველისა თუ ჭუჭყიანი წინდების სუნი ტრიალებდა და ორიოდე „ლეუანკა“ – დასაკეცი საწოლი იდგა, ზედ ჭრელი საბნებით, ერთზე ბოშა დედაბერი იჯდა, ფეხები მოერთხა და რაღაცას სვამდა, როგორც მერე გაირკვა – ჩაის. ძირს დიდი ძალლი იწვა და ეძინა. რო შევედი, მშვიდად შემათვალიერა და ისევ მილულა თვალი. ყველა ძალლი, რომელიც ამ ზეგანზე ხეტიალისას შემომხვდა, ჩემს დანახვაზე ყეფით სკდებოდა და ძლივს ვიშორებდი პურისა თუ „ახოტნიჩის“ ნატეხებით. ამ ძალლს კი ხმა არ ამოულია.

ქალს მივესალმე და ცელოფნის პარკი იქვე, მიწაზე დავდე, სადაც დილით ტბაზე დაჭერილი რამდენიმე თევზი ფართხალებდა. თან აქეთ-იქით ვიხედებოდი და ველოდი, როდის შემოლაგდებოდნენ დანარჩენებიც – გუშინ სალამოს ჩემი საბანაკო ადგილიდან კარ-

გად ვხედავდი ბლომად ხალხს, დიდი ცეცხლის გარშემო რო ფუსტუსებდნენ.

ბავშვების უივილ-ხივილიც ისმოდა.

— მუშაობენ, — თქვა უცებ დედაბერმა და ხელით ის უესტი გააკეთა, რაც ყველა ქვეყანაში და ეროვნებაში ნიშნავს ფულს — თითები გაუსვა ერთმანეთს. მივუხვდი. მათხოვრობენ, ალბათ ან იპარავენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, დედაქალაქში, ასე იქცევიან ბოშები. დამკიდებიან ფეხებზე „ციგანი“ ბავშვები. ჯიბეც გაუჭრია ერთ ბოშას, მეტროში. ასეთი დედაბრებიც ბლომად მინახავს ქუჩებში ან ეკლესიებთან. მუშაობენო, დედაბერმა თქვა და იქვე, შარაგზის ჩაყოლებაზე რო პატარა ქალაქი თუ დაბა იყო, ალბათ, იქით იქნებოდნენ გაკრეფილი.

დედაბრის მოპირდაპირე მხარეს, დასაკეც საწოლზე ჩამოვჯექი. გარეთ უკვე ისეთი წვიმა უჟაპუნებდა, მთაში რო იცის ხოლმე — უცებ ატყდება დელგმა და მალევე ისე მოინმინდება ცა, თითქოს არც ეწვიმოს. ასეთ წვიმას ჩემი სქელი ცელოფანი კი გაუძლებდა, მაგრამ ისეთი ქარი ქროდა, არც მიფიქრია კარავზე დამაგრება, ვერ მოვახერხებდი მარტო.

აქედან გაღმა ფერდობზე ჩემი მწვანე კარავი კარგად მოჩანდა, სოლებზე მკვიდრად დამაგრებულს მაინც მოგლეჯამდე რო აწვენდა ქარი. ხეებში კარვის გაშლა არ შეიძლება, ჭექა-ქუხილის დროს სახითათოა. სწორედ ასეთ ფიჭვის კორომებში იცის მთაში მეხი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივეჩვიე კარვის მდელოებზე გაშლას. არ მიყვარდა გაშლილ ადგილზე დაბანაკება და მთელი ეს გზა, დაახლოებით 70 კილომეტრი და ხუთიოდე დღე, ყოველთვის ხის ქვეშ ვარჩევდი დაბანაკებას. ბოშებს ფერდობზე შეტეხილ ტრიალ მდელოზე ედგათ კარვები, თუ კარავს დავარქმევდი ამ სახლებს. თან ფეჩიც რო ედგათ შიგნით. ჩვეულებრივი, თუნუქის მომცრო სოფლური ღუმელი. ფიჩით და

წივით გაღვივებული.

ჩუმად ვიჯექით. დედაბერი მათვალიერებდა. ძალლი თვლემდა. მე კიდევ გამოდარებას ველოდებოდი, თან ვფიქრობდი, უხერხული ხო არ იყო ასე ჩუმად ჯდომა. ნელ-ნელა ქარმა მოუკლო, ახლა უკვე თავისუფლად გადავაფარებდი ჩემს კარავს ცელოფანს. წამოვდექი:

— ეს თევზი „რიაბუშკა“, ძალიან გემრიელია შემწვარი.

დედაბერმა თავი დამიქნია და თქვა:

— დაჯექი!

ისე მბრძანებლურად თქვა, გამიკვირდა. დავჯექი.

— იქით კარავი მაქვს დატოვებული, — ვუთხარი.

— ვიცი! — თქვა დედაბერმა. შემდეგ დაამატა: — დაელოდე, ახლა თაფლს მოიტანენ ჩვენები.

დავიბენი. ზეგანზე აქამდე ვინც შემომხვდა, ძირითადად რუსულად ან სომხურად მეკონტაქტებოდა. გამართული ქართულით მოლაპარაკე ჯერჯერობით აგერ ეს ბოშა დედაბერი შემომეყარა მარტო, მაგრამ რა შუაში იყო თაფლი?! ემანდ სიტყვა ხომ არ შეეძლა?!

დედაბერმა თითი გაიშვირა იმ მხარეს, რომელიც გზად გამოვიარე და სადაც მთელი მდელო მოფენილი იყო ფუტკრის სკებით. იქვე საყარაულო ქოხიც იდგა. გაიშვირა თითი და ძალიან სასაცილოდ და საყვარლად დაიბზუილა. გამეღიმა. დედაბერსაც აუკრიალდა ოქროს კბილი. უხერხულობა გამეფანტა. კაი რამეა ღიმილი. ესე იგი, ბოშები თაფლის მოსაპარად არიან წასულები.

ცხოვრებაში არ მქონია შეხება თაფლის დამზადების პროცესთან, არც სკებისა გამეგებოდა რამე და ვიფიქრე, რო ბოშები, ალბათ, მიიპარებოდნენ სკებთან, წამოავლებდნენ თაფლით სავსე ქილებს ხელს და ეგ იყო. ფიქრიც არ მქონდა დამთავრებული, თვალი რო მოვკარი ფერდობის ბილიკზე



მორბენალ ორ კაცს, ყუთივით რაღა-
ცას რო მოარბენინებდნენ წვიმაში. სკა
გამოდგა. დედაბრის კარავთან ძირს
დადგეს. ერთი იქნებოდა ოცდაათიოდე
წლის, მეორე – ბერიკაცი. ამათაც, იმ
ძალლისა არ იყოს, არ გაიკვირვეს დე-
დაბრის კარავში უცხო ადამიანი. ერთი
გადმომხედვეს და ეგ იყო.

საერთოდ, შემჩნეული მაქვს, როგორ
განსხვავდება ბოშების ქცევა, როცა
ქალაქში ან დასახლებაში „მუშაობენ“
და როცა სახლში, საბანაკო ადგილზე
ბრუნდებიან. სადმე, შუქნიშანთან, ვი-
თომ ხეიბარი, მათხოვარი ბოშა, რომე-
ლიც მანქანის ფანჯარაში მოძვრება და
გულის გამაწვრილებელი ხმით ითხოვს
მოწყალებას, საკუთარ „ბინაზე“, თა-
ვის ტერიტორიაზე, შეიძლება ვეღარც
იცნო – წელანდელი კოჭლი მათხოვარი
უცებ გამრთელებულა, წელში გამარ-
თულა და მეფესავით დაიარება, ლირსე-
ბით ალსავსე. ქალაქის ქუჩებში, ფეხებ-
ზე დაკონიალებული აბეზარა ციგნის
ბავშვები, თავიანთ საცხოვრისში სწო-
რედ რომ მეფისწულებს ჰგვანან. ჭრელ
კაბებში გამოწყობილი შავ-შავი ბოშა
გოგოები, სადმე, ხალხით სავსე ქუჩა-
ზე რო გადაგიდგებიან წინ და ლამის
ძალით გართმევენ ხელს, ხელისგულზე
მკითხაობას გთავაზობენ და ისე გინყა-
ლებენ გულს, რო ოლონდ მოგეშვას და
გაეცალო, მკითხაობის გარეშეც მისცემ
ფულს, – ჰოდა, იგივე გოგო, საკუთარ
ბანაკში, ცეცხლისპირას თუ მატარებ-
ლის გაუქმებულ ვაგონში, მბჟუტავი
სარკიანი ლამფების შუქზე, შეიძლე-
ბა მოგენონოს კიდეც; სულ სხვა ეში
უხდება ბოშაქალს, როდესაც სახლში,
თავის ტერიტორიაზეა. აგერ, ეს ბოშე-
ბიც, თითქოს ძველ ინდიელთა სიმშვი-
დის კოდექსს იცავენო – არც უკვირთ
და არც იმჩნევენ, უცხო ადამიანი რო
მივმჯდარვარ ფეჩთან და თევზით სავ-
სე პარკი მიდევს ფეხებთან.

არემარეს გავყურებ – სკის პატრო-
ნები არ მოგვადგნენ ემანდ და ქურდო-

ბის თანამონანილე არ გავხდე. ალბათ,
ძვირი ლირს სკაც და თაფლიანი ფიჭუ-
ბიც. ამ დროს გამახსენდა ფუტკარი და
დავფრთხი. ალერგიული არ ვარ, მაგ-
რამ მაინცდამაინც არ მინდა, დანარჩე-
ნი მარშუტი ჩემს სოლო ლაშქრობაში
დასიებულმა ვიარო. ნახევარი გზა გა-
სავლელი მაქვს ისევ.

– ასეთ ამინდში სკიდან არ გამოფ-
რინდება, არ უყვარს ქარი და წვიმა, –
მიმიხვდა დედაბერი, – სიომა მოვა და
ამორეკავს, მაგან იცის ფუტკარის გა-
რეკვა და სალამოს თაფლიც გვექნება!
შემდეგ ორ ბოშას უბრძანა: – გადაიტა-
ნეთ ტყეში, ტოტები მიაფარეთ!

ამასობაში ქარმაც მოუკლო და, კი
მაინტერესებდა მავანი სიომა როგორ
გამოყრიდა ფუტკარს სკიდან, მაგრამ
კარავი უპატრონოდ მქონდა მიგდებუ-
ლი და არ გამიკვირდებოდა ადგილობ-
რივ მელიებს რო უკვე დაეცარიელე-
ბინათ მთელი ჩემი სანოვაგის მარაგი.
სადმე, ტყიან ადგილას ლაშქრობისას,
ტურების გადამკიდე, საგზალს ხეზე
ვინახავდი, მაგრამ ამ ზეგანზე პირვე-
ლად ვიყავი და ისეთი გაშლილი ჰორი-
ზონტები დამხვდა, თავიდან ვერ წარ-
მოვიდგინე ამ ხრიოკებში შეუმჩნევლად
მოებედა რაიმე ცხოველს, სანამ ერ-
თხელ, ლამის ზედ ცხვირნინ არ ამა-
ცალა შემწვარი თევზი მოზრდილმა წი-
თურმა მელიამ და მერე წითელი ელ-
ვასავით გაიკვესა ტრიალ მწვანე მინ-
დორში, თვალს მიეფარა.

– კარავს მივხედავ და გადმოვალ
სალამოსკენ, – ვუთხარი დედაბერს და
ფერდობზე დავემვი.

კარავში მშვიდობა დამხვდა. საჭმე-
ლიც – ნახევარი თავი ყველი და ლა-
ვაში ხელუხლებლად იდო პარკში. ალ-
ბათ, უამინდობა არც მელიებს უყვართ.
ყველს და ლავაშს დაჭერილ თევზში
ვუცვლიდი ადგილობრივ გლეხებს,
სომხებს. გზადაგზა, მინდვრებზე, სო-
კოებივით დაყრილ თივის ზვინებთან
რო ფუსფუსებდნენ. ერთგან კი, და-

სახლებაში, დაფეხვილი რესტორანი შემომხვდა და იქ თევზში კონიაკივით დასალევი გადამიცვალეს. ლიტრიან პლასტმასის ბოთლში ჩამომისხეს. ბენზინის თუ რაღაც საწვავის სუნი დაჰკურავდა, მაგრამ საღამო ხანს, სიცივე რო მოუჭერდა, მშვენივრად ათბობდა სხეულს და ხასიათიც მოჰქონდა. სიმხნევეს მმატებდა.

ეს ჩემი პირველი ლაშქრობა იყო, როცა მარტო წამოვედი ამხელა მარშრუტზე. მანამდე, ასე, ათიოდე წელი, თან დამყავდა ჩემი გერმანული ნაგაზი. რო მომიკვდა, სამი-ოთხი წელი გული ავიცრუე ხეტიალზე და აგერ ახლახან გადავწყვიტე, სოლო ლაშქრობა მეცადა. გუნდური გასვლები არც ადრე მიყვარდა და ვერიდებოდი, არც ახლა მიძებნია თანამოლაშქრეები. დავაჯექი მატარებელს და ჩამოვედი ზეგანის კიდეზე. მთელი ზეგანის ფეხით მოვლას ვაპირებდი და შემდეგ უღელტეხილით ზღვაზე გადასვლას...

კარავში წყალი ჩასულიყო, საბილეტომარა დაესველებინა და ტოტზე გადავფინე გასაშრობად. თან ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ჩემს მეზობლებთან – ბოშებთან ნაცნობობა გამეგრძელებინა. მეორე დღეს მაინც უნდა ავბარებულიყვავი და გზას გავყოლოდი.

შებინდებას იწყებდა და ვხედავდი, როგორ დაანთეს კოცონი. შემშურდა – ნაწვიმარ, ნესტიან ფიჭვნარში ვერაფრით მოვიძიე საწვავად ვარგისი შეშა. ბოშებს კი ცეცხლიც დაენთოთ და შიგნით, კარავშიც, ისევ ენთოთ ფეჩი. ბოლოს კონიაკი მოვსვი, ბოთლი თან წავიღე და ბოშებისკენ გავეშურე. თაფლი – ბოშების, სასმელი – ჩემი. ტანდემი შედგებოდა მშვენიერი.

სიბნელეში ფერდობს ავუყევი. იმ მინდვრამდე რო სულ ცოტა დამრჩა, სადაც ბოშების ბანაკი იყო, უცებ ყვირილი მომესმა. სველ ბალახზე გავწექი, ფერდობზე ავხოხდი და მდელოზე შევიხედე.

ცეცხლთან, ერთ მხარეს ბოშები შეგროვილიყვნენ. რამდენიმე კაცი და ქალი, ორიოდე ბავშვიც ერია. წინ ბალანაშლილი, კბილებდაკრეჭილი ძალი ედგათ, თითქოს რაღაც საფრთხისგან იცავდა ბოშებს, მაგრამ არ ყეფდა და ძალი როდესაც არ ყეფს და ბალანი ეშლება, მაშინაა ყველაზე საშიში. ლაშქრობის უამს უამრავ სხვადასხვა ჯურის ძალს გადავყრივარ, თავადაც ბევრი წელი გახლდით ძალის პატრონი და ზედმიწევნით ვიცი ძალური ქცევების კოდექსი. როცა ძალი გიყეფს, ყოველთვის არის შანსი მისი განწყობა გაანეიტრალო, სასუსნავით ან ტკბილი სიტყვით, მაგრამ, როცა ჩუმად და ბალანაშლილი მოიწევს – მისთვის მტერი ხარ და ეცდება ყველაფრის ფასად და მაქსიმალურად დაგაზიანოს. ჰოდა, ბოშების ძალიც ასე, ჩუმად დგას, დაბული, თითქოს ნახტომისთვის არის გამზადებული.

ჩემს მასპინძელს, ბოშა დედაბერს ვერსად მოვკარი თვალი. ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან, ცეცხლის შუქზე გამოვიდა სამი კაცი. დავაკვირდი და ჩინელები გამოდგნენ. ამ ქვეყანაში ბევრი ჩინელი და ინდოელი მისდევს მეურნეობას ან სამუშაოდაა ჩამოსული და არ გამკვირვებია, თუმცა ამ ზეგანზე მთელი ეს გზა ჩინელი ჯერ არსად შემხვედრია და აგერ, აქაც ყოფილან. ერთ ჩინელს სანადირო თოფი აქვს მიშვერილი ბოშებისთვის და ჩუმად დგას, დანარჩენი ორი ჩინურად ყვირის რაღაცას, შიგადაშიგ კი დამახინჯებული ქართულით გამოურევენ:

– ჩვენი თაფლი! ჩვენი ფუტკრების სახლი!

მეფუტკრები ყოფილან. სავარაუდოდ, ამათ მოპარეს ის სკა, დილით რო მოარბენინა ორმა ბოშამ. ვწევარ ფერდობზე. უკვე ძვლებამდე ვარ გალუმპული ნესტით, ნაწვიმარ ბალახზე წოლით. ცეცხლის ცალ მხარეს ჩინელები ყვირიან, მეორე მხარეს ბოშები და ძალ-



ლი ატუზულან ჩუმად. ჩემი მასპინძელი ბოშა დედაბერი ისევ არ ჩანს. მისი კარვიდან ბოლქვებად ამოდის კვამლი. ამ დროს სიბნელიდან ცხოველივით მოქნილად და სწრაფად შემოხტა ვიღაც. ცეცხლის შუქზე ვიცანი – ის ტიპი იყო, ბერიკაცთან ერთად რო სკა მოიტანა. შემოვარდა, თოფიან ჩინელს ხელი აუკრა, ნამში გააგდებინა თოფი და ეგრევე, მთელი ბანაკი, ქალები და ბავშვებიც კი, ძალლზე რო არაფერი ვთქვათ, ჩინელებს დაესივნენ და ცემა დაუნყეს. ვწევარ, სიმწრის ოფლი მდის, მდელოზე ახორავებულ ადამიანების გორგალს ვუყურებ და ვფიქრობ, როგორ მოვიქცე: ნამოვდგე, მივიდე და გავაშველო რამენაირად, თუ როგორც მოვიპარე, ასევე ჩუმად ვენიო ჩემს გზას, კარავთან დავბრუნდე, ამათ კი ისემც უქნიათ, ერთმანეთი დაუხოციათ. ჩემი სოლიდარობა და მხარდაჭერა უპირობოდ მსხვერპლისკენ, ჩინელებისკენ იხრება, მაგრამ ჩემი მასპინძელი ბოშა დედაბრის მიმართაც ვგრძნობ რაღაც აუხსნელ სიმპათიას... კონიაკი რო არ მქონოდა მოსმული, დიდი ალბათობით უჩუმრად ავითესებოდი იქიდან – შარს ვერიდები ყოველთვის. არც დიდი სიმამაცით გამოვირჩევი, მით უფრო, როცა საქმეში იარაღი ერევა. საკმაოდ მქონდა მოყლურნული და, ალბათ, ალკოჰოლმა შემმატა მხნეობა და კეთილშობილება. ჩარევა გადავწყვიტე. ის იყო, ნამოვდექი და იბუთქა კიდეც თოფმა... სახე ისევ ბალახში ჩავმალე.

მდელოზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ გაისმა ქალის არა-ადამიანური კივილი, აყვნენ სხვებიც და აკივლდა თითქოს მთელი მდელო. წივილი, გნიასი გაუდის ყველას. შიშის ხორკლები მაყრის კანზე, ბალახზე პირქვე გაშოტილს. ამ დროს, ყველა ხმა გადაფარა და შუაგულ ლამეში გაიკანრა გულისგამანვრილებელი, საწყალობელი ყმუილი ძალლისა...

– ეს რა შარში გაყავი თავი. რა გინ-

დოდა აქ, ამათთან. წასულიყავი შენს გზაზე ანდაც, საერთოდ, გდებულიყავი სახლში, ცოლ-შვილში. – საკუთარ თავს ველაპარაკები ჩურჩულით. როცა მეშინია ან დაბნეული ვარ, ასე ვიცი საკუთარ თავთან ბაასი.

გულალმა გადმოვტრიალდი და ვფიქრობ. პირველადმა ბუნებრივმა რეფლექსიამ – გაქცევის დაუოკებელმა სურვილმა გამიარა და მეტისმეტი გაოგნებისაგან საღად და მშვიდად, კონსტრუქციულად დავიწყე მსჯელობა: მოკლედ, სახეზეა მკვლელობა. გახლავართ მოწმე. ტვინში დამიდის ყველა ის დეტექტივი, რაც ნამიკითხავს და სადაც ძირითადად ერთობ ცუდ დღეში ვარდება ხოლმე მკვლელობის მოწმე. თუ საერთოდაც არ კლავენ იმასაც, კვალის დაფარვის მიზნით.

თვალუნვდენელ ტრამალზე ვართ მეც და ბოშებიც. მობილური არ იჭერს. პატრული შორსაა. აქვეა ძალიან მოსახერხებელი ტბა, გვამის დასამალად ან ეგებ გადარჩა ის ვიღაც, ან ეგებ ჩინელებმა, თოფის სროლისთანავე თავპირისმტვრევით და ჩინურად ყვირილით რო გაიქცნენ, მონახონ ვინმე, იქნებ აქვე კიდევ ბევრი ჩინელი მეფუტკრეა და სადაცაა აქ გაჩნდება ყველა და ისეთი ამბავი ატყდება, ჩემი დარდი ალარავის ექნება, თუმცა, ამ კუნაპეტ მინდვრებზე, მე კი არა, კამეჩიც არ გამოჩნდება ერთი მეტრის რადიუსში.

– ჩუმად! – გაისმა ამ დროს ბოხი და მამაკაცური ხმა და ჩაჩუმდა ყოველი. ძალა მოვიკრიბე და მდელოზე შევიხედე. დედაბერი გამოსულა თავისი კარვიდან და ნელა უახლოვდება ცეცხლს. ისე მისრიალებს, ნაბიჯისმიერი პაუზების თუ რხევის გარეშე, თითქოს ბორბლებიან პლატფორმაზე დგას გაუნძრევლად და თოკით ექაჩებიანო. სცენის განათებაც, დედაბრის მოძრაობისდა კვალად, შეიცვალა: სულის შენაბერივით გასცილდა მთვარეს სქელი, ყომრალი ღრუბლები და გადმოანა-

თა სავსემ, დიდებულმა. ახლა, ვინმეს რო აზრად მოუვიდეს მდელოსპირზე გადმოდგომა, სულ თავისუფლად და-მინახავს მეც. ბალახზე დაკრულს და გაშეშებულს. ახლა გაქცევას კი არა, გამოძრავებასაც აღარ აქვს აზრი... დე-დაბერი მიუახლოვდა ცეცხლისპირს, სადაც რამდენიმე ქალი ჩამჯდარა მი-ნაზე და მუხლებზე გადაუსვენებიათ საბრალო ბოშა. თოფის წასართმევად რო შემოხტა, ეგა. დედაბერი შედგა და დახედა. და მერე ჩუმად, სამარისებურ სიჩუმეში, ტვინისგამყინვი ჩურჩულით გამოსცრა:

— შვილო! — და იმწამსვე, თითქოს დედაბერმა რაღაც მანქანებით კვლავ მედინობა უბოძა — დაიძრა ისევ წუთით შეჩერებული დროება და ისევ აკივლდა ყოველი. ისევ აყმუვლდა ძალლი და ატ-კაცუნდა უშველებელი კოცონი, მაგრამ დედაბერმა ხელი ასწია და კვლავ გა-შეშა სამყარო და თქვა:

— ვინ?

მიწაზე ჩამჯდარმა ქალებმა ხელი გაიშვირეს, მიუთითეს საითკენლაც და ახლალა შევამჩნიე იქვე, შორიახლოს დაჩიქილი კაცი, თვალებდაჭყეტილი, დაზაფრული რო შეჰყურებდა ქალე-ბის მუხლებზე გადასვენებულ ბოშას და აქეთ-იქით ირწეოდა, ბურანში მყოფივით. ჩინელი იყო. ორი ბოშა ედგა გვერდით, მისთვის მხრებში წაევლოთ ხელი და, ალბათ, ამიტომ არ ეცემო-და. დედაბერი ახლოს მივიდა და ჩი-ნელს დააშტერდა. ერთხანს დაჰყურებ-და. შემდეგ ცეცხლისკენ მიბრუნდა და იკითხა, თითქოს კოცონისგან ელისო პასუხს:

— ვინ ხარ. საიდან. რატომ. — კით-ხვის ინტონაციის გარეშე იკითხა, მაგ-რამ ჩინელმა, ალბათ, შიშისგან გამძაფ-რებული ალლოთი იგრძნო და მიუხვდა და შეშლილივით მიაყარა დამტვრეული ქართულით:

— ვუჰან! ვუჰან! ჩაინა! ჩაინა! მე აქ მუშაობა! მე აქ ფუტკარი! მე არა ქილე-

რი! მე არა ქილერი! ცოლი და შვილები! მე არა ქილერი!


დედაბერი ისევ კოცონის ალს ჩაშ-ტერებოდა, თითქოს ვერც გაიგოო, არც აინტერესებდა თითქოს ჩინელის ლულლული, შემდეგ მკვდარ ბოშას გა-მოჰქონდა და გამოჰყვა თვალებში ცეც-ხლის ალი. მხრებში გაიმართა, სავსე მთვარეს ახედა და თქვა:

— შენ მე შვილი მომიკალი. შენ უნდა დაისაჯო! — და ვფიცავ, ეს რო თქვა, მოწმენდილ ცაზე გაისმა ქუხილი, გრუ-ხუნი.


შეიძლება მომელანდა-მეთქი, თავს გავიმართლებ ყველგან, სადაც ამ ამ-ბავს მოვყვები მერე. შეიძლება მთვრა-ლი ვიყავი და მომელანდა-მეთქი, გამე-ცინება ხოლმე მერე, როცა ამ ყველა-ფერს მოვყვები, თუ ცოცხალი გადავ-რჩი და მეცოდინება მე, მხოლოდ მე, რო მოწმენდილ ცაზე მართლაც გაისმა მეხისწინა, დიდი რამ გრგვინვა, როდე-საც დედაბერმა მთვარეს შეჰვალადა:

— შენ მე შვილი მომიკალი. შენ უნდა დაისაჯო...

მერე, სკა რო მოიტანა, იმ ბოშა ბე-რიკაცს უხმო და რაღაც უთხრა. ბო-შა გავარდა, მესამე კარავში შევიდა და ცოტა ხანში უკან გამობრუნდა ხელში მომცრო გალიით, სადაც, კრიახის მი-ხედვით როგორც დავასკვენი, ქათამი იჯდა. დედაბერმა უარის ნიშნად ხე-ლი გაიქნია და რაღაც თქვა. ვერ გა-ვიგე რა ენაზე თქვა, მაგრამ ბოშა ბე-რიკაცს სახეზე განცვიფრება და შიში რო გამოეხატა, კარგად გავარჩიე. ისევ იმ კარავში შევიდა და ბოლოს გამოი-ტანა გალია, სადაც გისოსებს გაშმა-გებული აწყდებოდა და უთავბოლოდ ფრთხიალებდა გაურკვეველი, შავი, მომცრო ფრინველი... გრაალის თასი-ვით ფრთხილად და მოკრძალებით მიჰ-გვარა ბოშამ დედაბერს გალია. დედა-ბერმა გალიის კარი გამოხსნა და გა-მოათრია შიგნით მოფართხალე ჩიტი, რომელიც გამეტებით აფართხუნებდა



ფრთხებს და წრიპინებდა. და ბოლოს ვიცან: კომიქსების და ვამპირების მუზა, და ბავშვების მარადიული კოშმარი – მისი უდიდებულესობა ლამურა ეპყრა ხელთ ბოშა დედაბერს და ისე დაუდევრად იქნევდა ცეცხლისპირას, გეგონება სველი ცხვირსახოცი უჭირავს და ალზე აშრობსო. მერე შეტრიალდა მუხლებზე დაჩიქილი ჩინელისაკენ, შიშისგან ენაჩავარდნილი რო მიშტერებოდა, ლამურა ორივე ხელით გაიწვდინა და მეგონა, ჩინელს თავზე უნდა დაასვასმეთქი, მაგრამ დედაბერი შეჩერდა. ერთხანს ლამურა ზედ ჩინელის თავს ზემოთ ეკავა. უცებერთი მოძრაობით წაანცვიტა ლამურას თავი და ცეცხლში შეაგდო. ტანი კი გულმოდგინედ, საქმიანად დააღირა ჩინელს კეფაზე, სისხლის ნაკადი მიუმარჯვა და, თუმცა ჩინელი ბოლო ხმაზე ხაოდა და ლრიალებდა, თავს არიდებდა, მაინც წამში მოითხვარა ლამურას სისხლით. ცეცხლის და მთვარის შუქზე ვხედავდი, რო-



გორ ელვრებოდა ნაკადი ზოლებად სახეზე, როგორ იფურთხებოდა სისხლს და ბოლოს ალებინა პირდაპირ ცეცხლში. გველივით იკლაკნებოდა, მაგრამ ორ ბოშას მაგრად ჰყავდა გაკავებული, სანამ დედაბერი ლამურის ან უკვე უსიცოცხლოდ მომჩვარული ტანიდან სისხლის ბოლო წვეთებს ანთხევდა ზედ და თან უცნაურ, თანწყობილ ბგერებს ამოთქვამდა ყველაზე სულისგამყინავ

მელოდიად, რაც კი ცხოვრებაში მომისმენია... ვეღარ გავძელი. ვგრძნობდი, როგორ მეყინებოდა კიდურები ზაფრისაგან და ყბა მიკანკალებდა. უამრავი საშინელებათა ფილმი მინახავს მშვიდად, ხითხითითაც კი მინახავს, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თავად როგავხდებოდი ამგვარი სიუჟეტის პერსონაჟი. გონებას არ უნდოდა დაეჯერებინა ის, რასაც თვალი ხედავდა. სხეულმაც უარი თქვა მოცემულ რეალობაზე და ვარნყიე... გულის არევამ ასე თუ ისე გამიქარნყლა უკიდეგანო შიში და როგორც სიზმარში, ისე მივენდებედს. მეთქი – დაე, რაც მოხდება, მოხდეს და შევიხედე კვლავ მდელოზე, ამ კოშმარული სიზმრიდან მალე გამოღვიძების იმედით... ჩინელს ბოშები აღარ აკავებდნენ. ეგდო ცეცხლისპირზე, ლამურის სისხლსა და მიწაში აზელილი და ქვითინებდა ოჯახამომწყდარივით. არც ფეხზე დგებოდა, არც გარბოდა, გორაობდა ეგრე. შეიძლება და არც გამიკვირდებოდა, ჭკუიდან იყო უკვე გადასული, გაგიუჟებული. მის ირგვლივ სიჩუმე ჩამომდგარიყო. დედაბერი ცეცხლისკენ შეტრიალებულიყო. ბოლოს ლამურის უსიცოხლო, სისხლისგან დაწრეტილი ტანი შეაგდო ცეცხლში. და ავარდა ალი. და დადგა ტრუსის სუნი. დედაბერმა კი ისევ მთვარეს ახედა და მონოგონურად,

თვალდახუჭულმა ამოთქვა:

— შენ მომიკალი შვილი. და შენ დაისაჯე. დაბრუნდები იქ, საიდანაც მოხვედი. შენს ქვეყანაში. ჩაეხუტები ცოლსა და შვილს. დედასა და მამას. და შენს ღმერთებს მადლობას ეტყვი, რო ცოცხალი ხარ. რო ცოცხალი დაგჭოვეს შორ ქვეყანაში, მაგრამ შენ მომიკალი შვილი და შენ ხარ დასჯილი. გავა დრო. გავა კვირა. გავა თვე. გავა წელი და შენ გახდები ცუდად. წახვალ ტყეში. დაანთებ ცეცხლს, გაგახსენდება, რო შვილი მომიკალი და მალე მოკვდები ტყეში და მარტო ან, არ წახვალ ტყეში, დაივინყებ, რო შვილი მომიკალი, დარჩები სახლში, როდესაც ცუდად გახდები, ძალიან ცუდად და მალე შენი ცოლიც გახდება ცუდად, შენი შვილი გახდება ცუდად, შენი ოჯახი გახდება ცუდად, შენი ქვეყანა გახდება ცუდად, მთელი მსოფლიო გახდება ცუდად, თუ არ წახვალ ტყეში და არ მოკვდები მარტო, ჩემს მკვდარ შვილზე ფიქრით, შორ ქვეყანაში რო მოკალი, ბევრი ადამიანი, ძალიან ბევრი ადამიანი მოკვდება დედამიწაზე. შენ გამო მოკვდება. ჩემი მკვდარი შვილის გამო მოკვდება. ესაა ჩემი სასჯელი!

ჩინელი გაუნძრევლად იწვა. შეიძლება, უსმენდა და ვიცი, მნამს — კარგად გაიგო, რაც უთხრეს, რამეთუ, არსებობს ენა, რომელსაც ეროვნება არსჭირდება გასაგებად, მოსასმენად. არსებობს სიტყვები, რომელთაც წარმოთქმა არ სჭირდება მისახვედრად. დარიალებენ დროში და სივრცეში ბგერები, რომლებსაც დიდის, სიკვდილივით უზარმაზარის წინაშე თუ გამოიჭერს ზოგჯერ ადამიანი და გაუვლის შიგანში, გააღიმებს სხვა ლიმილით. დაზაფრავს ნამდვილი, გამოქვაბულისდროინდელი შიშით და ამ დროს იწამებს კაცი ბედისწერას, უბრალოდ და მკაცრად, იოლად იწამებს და ეს — სავსე მთვარის ქვეშ, უკიდეგანო ტრამალებზე მოხვდარი ამბავიც ხომ ბედისწერაა, სიზმარს

რო წააგავს თავისი აბსურდული ფორმით ან ალეკოპოლიკის ნაზრევს თეთრი ცხელების უამს... სიმართლე — საზარელი რამეა. ძნელად გაუმკლავდება ადამიანი.

დილასისხამ ტბისპირზე ვიჯექი, ანკესით ხელში. ჩემს ბანაკში კოცონი უკვე ნაკვერჩხლდებოდა და ჩალაგებული ზურგჩანთაც ხეზე იყო მიყუდებული. შუადლისკენ გავუდგებოდი გზას. გუშინ ღამით, კარვამდე როგორ მოვალნიე, აღარ მახსოვდა. აღარც ზეგანი მაინტერესებდა და ჩემი, გულმოდგინედ განწერილი მარშრუტიც, რომლის მიხედვით მთებამდე უნდა მივსულიყავი, უღელტეხილით გადამევლო და ჩავსულიყავი ზღვაზე — ასე ორიოდ კვირის სავალი გზა, სულ ფეხებზე მეკიდა და მარტო იმას ვფიქრობდი, აქვე, დასახლებაში, რკინიგზის სადგურამდე მშვიდობიანად მიმელწია და წამოვსულიყავი სახლში.

უაზროდ მივჩერებივარ ტივტივას. ხან დაიძირება, ხან ამოყვინთავს. ქაშაპი ეთამაშება, ალბათ ან რიპუსი, ან სულაც — კალმახი. უცებ ტივტივის გასწვრივ, შორს, შავი ლაქა ამოილანდა დილისპირა ნაცრისფერი ტბის ზედაპირზე. ჯერ ყურადღება არ მიმიქცევია — ხშირია ასეთი ნაგავი წყალზე. ალბათ, გამომპალ ჯირკს მოდენის ნიავი ტალღა-ტალღა. რო მოახლოვდა, ლაქა ნელ-ნელა მოცურავის თავს დაემსგავსა, მაგრამ ვინ უნდა დაცურავდეს აქ დილასისხამ, ამ სიცივეში, ამ სიშორეზე?! ლაქა უფრო მკაფიო გახდა, გარკვეული ფორმა მიეცა, ტივტივას გამოსცდა და წყლის ზედაპირის აუმღვრევლად გამოემართა ჩემკენ, ნაპირისაკენ. ანკარა რო სანაპირო ლელქაშებისკენ მიეშურება, პირში თევზგაჩრილი, სწორედ ასე. გველივით ტოვებდა აქეთ-იქით ორ ზოლს კვალად. რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით მეტად მიოფლიანდებოდა ხელისგულები... ბოლოს გამოვიდა თავთხელში და წამოვიდა ჩემკენ.



სულ შიშველი. ბებრულად ჩამოწელილი ძუძუებით და გამობზეკილი მუცლით. არც სიცივისგან კანკალებდა, არც ფეხი უსრიალებდა ხავსიანში. თითქოს, ცხელი აბანოდან ამოდისო, გამართულად, სწორად მოაბიჯებდა. ამ დროს გაისმა მოტორის შორეული ბლუილი. მალევე, ზემოთ, გორაკის ქედზე, ერთმანეთის მიყოლებით გადმოგორდნენ საპატრულო პოლიციის პიკაპები და ბოშების კარვებისაკენ დაეშვნენ. დედაბერი ერთხანს შეჰყურებდა. შემდეგ თავისი კარვებისკენ წავიდა, როგორც იყო ისე, სულ შიშველი და ჩემკენ მოუხედავად თქვა:

— ვეღარ გაჭამე თაფლი. შვილი მომიკლეს...

●
დივანზე ვართ მიწოლილები მე და ჩემი ცოლი. სანდრინიო, ჩვენი ორი წლის ბავშვი, ხან მე ამაფოფხდება, ხან ჩემს ცოლს. მულტფილმს ვუყურებთ.

ცოტა ხანში ბავშვი კატასავით მოკავშირი მოიწვია ლპთდა ჩვენ შორის და ჩაეძინა.
— გადავაწვინო თავის საწოლში? — ვეკითხები ანას.

— იყავი, მე გადავაწვენ, — მპასუხობს ანა, ბავშვი ფრთხილად აჰყავს ხელში და მეორე ოთახში გადის.

საბავშვო არხიდან გადმოვრთე სხვა არხზე. საინფორმაციო გადის. უგულისყუროდ ვადევნებ თვალს. უცებნამყვანი ამბობს:

— ჩინეთში, ვუჰანის პროვინციაში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ინფირება მოხდა ლამურის საკვებად გამოყენების შემდეგ. პაციენტი გარდაიცვალა ფილტვების მწვავე უკმარისობით. მისი ოჯახი დროებით მკაცრ იზოლაციაშია მოქცეული, სანამ მეცნიერები დაავადებას იკვლევენ...

— რა მოგივიდა? — მეკითხება ოთახში შემოსული ცოლი და ძირს დავარდნილ ტელევიზორის პულტს იღებს.

— რა მოგივიდა?

ბამუკა ოჩიაური



წაგიყვან მთებში

წაგიყვან მთებში,
 ნახავ ქარაფს ნისლის აქვს ფარჩა.
 არემარეა ამ ნისლებით ცოტა წაშლილი,
 მე მთებში მივალ, ეგ სათუთი გული მანდ დამრჩა,
 ბარის ნიავში შენი თმებიც უღვთოდ გაშლილი.
 წაგიყვან მთებში, შენ ბარული გაქვს ათინათი,
 მაგრამ არ იცი, აქ როგორი დიდი მთებია,
 მივდივარ მთებში, საფიქრალად კვლავ ასინათი
 ბედად მრგებია, საუკუნოდ დამბედებია.
 მივდივარ მთებში და არ ვიცი
 ჩამოვალ როდის,
 ჩემს გულში სახლობ, აქ მოგეცი
 სამყოფად ბინა,
 სამწუხაროა, რომ არ იცი სიმძიმე ლოდის,
 რაც უშენობამ ამ ტიალ გულს ზედ დააბჯინა.
 მივდივარ მთებში, გავენდობი ლამეულ მნათობს,
 მე არ მაშინებს გრძელი გზა და
 დროის მცირობა
 არ დამივიწყო, დამეხმარე გთხოვ ასინათო,
 რომ შევასრულო მოცემული შენთვის პირობა.

 წაგიყვან მთებში, დამიჯერე წაგიყვან მთებში!

●

შევხვდით,
 მატყვევებდი, მაოცებდი
 (გულში შენი ტრფობა დამრჩენია)
 ჩუმად ჩურჩულებდი: – ნაოჭები,
 თვალთან ნაოჭები გამჩენია.

თმებიც გათხელდაო ტევრად მდგარი,
 ქრება თვალში სხივი, ტანში ძალა,
 შენთვის საოცნებო ტურფა ქალი
 თურმე როგორ უცებ შეიცვალა.

ნლებმა მოიპარეს ნაფერები
 იმ ძველ დროებათა ხავერდები,
 ფიქრით გეხვევი და გეფერები
 ვამბობ: – არასოდეს დაბერდები!

ბედი უნდობი და ცბიერია,
 გული მოლოდინით არ იცლება,
 შენში შეუცვლელი იერია,
 რაც რომ ამ წუთამდე არ იცვლება.

შენ კი სახე დაგრჩა ნაოცები
 წუთი რომ დაგვიდგა ვადამდელი,
 თურმე როგორ გახდა ნაოჭები
 შენი ერთადერთი სადარდელი.

ვერა ვერ გავხსენი გულის კლიტე,
 ახლოს არ მიშვებ და არც მშორდები,
 მინდა გიყვარდე და შენად მთვლიდე
 თუკი არასოდეს დამშორდები.

შევხვდით,
 მატყვევებდი, მაოცებდი
 (გულში შენი ტრფობა დამრჩენია)
 შენ კი ჩურჩულებდი: – ნაოჭები,
 თვალთან ნაოჭები გამჩენია.

სულ არ ბერდები

ნლები ვერ გჯაბნის,
 სულ არ ბერდები
 მიხვალ, მოგყვები ჩუმი ოცნებით
 შენი მკერდი და შენი კერტები,
 ქათქათები და დასაკოცნები.

შენი ტუჩები ალისფერები,
შენი თვალები ზღვათა ტალღები,
მე კვლავ ფიქრებით შენ გეფერები,
შენ კი ქრები და კვლავ მეკარგები.

ალბათ მოატანს დრო გახელების,
რომ მაგ საკინძეს შევხსნა ღილები
მახსოვს ტუჩები ვნებით ცხელები,
ათასი კოცნით გადაღლილები.

მახსოვს ეგ თმები ტევრად გაშლილი,
რომ მიფარავდა თავთან სარეცელს
ორი არსება ცაში აჭრილი,
ცდილობს არასდროს ძირს არ დაეცეს.

და დაბანგული სხეული ორთა
დამსუბუქდება, როგორც ნისლები
შენი სხეულით სარეცელს მორთავ,
უჭინობ ვარდივით გადაიშლები.

წლები ვერ გჯაბნის,
სულ არ ბერდები
დღემდე მოგყვები ჩუმი ოცნებით
შენი მკერდი და შენი კერტები
ქათქათები და დასაკოცნები.

ორა უშანოდ

ახლა ასას ხეობაში
ლამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.

და უნისლო ჭიმლის ქარაფს
მთვარის შუქი ანათებს,
საფიქრალი უხმოდ დამაქვს
მრავალ ლამეგანათევს.

შენი სახე მოჩვენებად,
ბისნის კლდიდან მიმზერის
მერამდენედ მეჩვენება,
ზეცა ტირის ზღვის ფერი.


ეს რამდენი დაღამება
გავატარე ეულად,

ნიავქართა გაქანება
 ვხედავ შემოლეულა.

დათოვლილა ოქროსფერად,
 კლდეთა ზოლი – შიბწვერი
 და ვუსწორებ მთვარეს მზერას,
 ფრიალოზე მიწვენილს.

სად ხარ, სად ხარ, სანატრელო,
 დამწვავს ფიქრი, ვნებანი
 ლამის ლექსით გადავთელო,
 ტკბილი მოგონებანი.

ახლა ასას ხეობაში
 ღამე უფრო მეტია,
 ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
 სრულად ვერ დაეტია.



თამარ გელიტაშვილი



გურამ პეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცის ამბავი“

„მოწაფეთა ჰეროების იესოს:

– გვითხარ, რასა ჰგავს ცათა სასუ-
ფეველი?

იესომ მიუგო:

– ცათა სასუფეველი მდოგვის მარ-
ცვალსა ჰგავს, ყოველნაირ თესლზე
მცირეს, მაგრამ როგორც კი მოხნულ
ნიადაგში მოხვდება, უდიდეს ხედ აღ-
მოცენდება, რომელზეც ციური ფრინ-
ველი დაიბუდებენ“ (თომა 23).

ჩვენს თანამედროვეობაში აღმოჩე-
ნილი მოციქულ თომას ეს გნოსტიკური
წარმოშობის აპოკრიფული სახარება,
რომელსაც მეხუთე კანონიკურ სახარე-
ბასაც უწოდებენ, ქრისტეს 114 გამო-
ნათქვამს შეიცავს და ისევე ემყარება
მაცხოვრისეულ სწავლა-მოძღვრებას,
როგორც შემდგომი ოცდაერთი საუკუ-
ნის მწერლობა.

ბიბლიურ-სახარებისეული მეტყვე-
ლება იგავური მეტყველებაა, სიტყვი-
ერი ევოლუცია, რომელიც შესაქმედან
იღებს სათავეს და ხან რომელ ლიტერა-
ტურულ უანრში ჰპოვებს განვითარებას,
ხან – რომელში. მხოლოდ მისი პრინციპი

რჩება უცვლელი – გვაზიაროს უდიდეს
ლვთაებრივ სიბრძნეს, თუმც თანამედ-
როვე მწერლობაში ერთგვარად იკლო
ამგვარი სახით მხატვრული ტექსტების
შექმნამ. ჩვენს დროში ახალ ეპოქალურ
ტენდენციებს დაეთმო ასპარეზი და სახა-
რებისეულმა იგავთმეტყველებამაც ხიბლი
დაკარგა, ანუ, პირდაპირ და შეულამა-
ზებლად რომ ვთქვათ – მოდური აღარ
არის. ახლა ნეოლიბერტარიანიზმის ხანაა
და სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც სულ
სხვა სიო დაქრის. ლიტერატურულ ორ-
ბიტაზე იშვიათადლა გამოკრთება ხოლ-
მე თემები ლვთაებრივ მისტიკასა თუ
ქრისტიანულ მეტაფიზიკაზე; ნიკოლოზ
ბარათაშვილივით აღარავინ მიმართავს
ცას – „გულისთქმა ჩემი შენს იქითა
ეძიებს სადგურს“, ამქვეყნიურ სირთუ-
ლეთა გადალახვასა თუ წუთისოფლის
ამაოების დაძლევაში იშვიათადლა თუ
ეხმარება ვინმეს ლვთაებრივი რწმენა.

ასეთი იშვიათთაგანია გურამ პეტრი-
აშვილის ზლაპარი „წვიმის მოყვარული
კაცის ამბავი“. სიახლე არ იქნება თუ ვიტ-
ყვი, რომ გურამ პეტრიაშვილის ზლაპრები



უფრო მეტად დიდებისთვისაა დაწერილი, ვიდრე პატარებისათვის. გარდა იმისა, რომ ისინი განსაკუთრებული მხატვრულესთეტიკური მომხიბვლელობით გამოიჩინიან, დიდ სიბრძნესაც გვაზიარებენ. მათი ავტორი იგავური ენით, შეფარული სიმბოლურ-ალეგორიული ასოციაციებით, დაშიფრული, ქარაგმული აზროვნებით გვითრევს თავის ულამაზეს ზღაპრულ სამყაროში, სადაც მის მიღმა ვხედავთ ქრთილის პურის გულში ჩადებულ ულამაზეს თავთუხს, ანუ ტექსტის ლრმა-აზროვან შინაარსს („ქრთილის პურის ქერქშია შიგ თავთუხი ჩავდეო, / ქერქი გახსენ, განაგდენ, შიგ გული კი სჭამეო“ – დავით გურამიშვილი), თუმცა მის მიერ მოთხრობილი ამბავი, ზღაპრისათვის დამახასიათებელ ჯადოსნურ მომნუსხველობასა და იდუმალებასთან ერთად, რომელიც ფანტაზიის სილალითა და პოეტურობითაც გამოირჩევა, იმ მოზარდის ნარმოსახვასაც იზიდავს, ვინც შესაძლოა, ტექსტის ლრმად დაქარაგმებულ შინაარსს ვერ სწვდებოდეს, მაგრამ, ემპირიული პლანის მეშვეობით, დედააზრს მაინც ადეკვატურად აღიქვამდეს.

გურამ პეტრიაშვილის ზღაპარში – „წვიმის მოყვარული კაცის ამბავი“ ასეთი ამბები ხდება:

ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ძალიან უყვარდა წვიმა. ის წინასწარ გრძნობდა ხოლმე წვიმის მოსვლას, გავიდოდა ქუჩაში და ხელებგაშლილი შეჰყურებდა ცას. ამას რომ დაინახავდნენ, გამოეფინებოდნენ ქუჩაში ბავშვები და კაცთან ერთად ელოდნენ წვიმას.

გაწვიმდებოდა. იდგა კაცი და სველდებოდა. მის ირგვლივ ბავშვები დახტოდნენ. ამის დანახვაზე მამაკაცს თანაქალაქელები დასცინოდნენ და მისი ამ უცნაური საქციელის გამო ახსნას სთხოვდნენ. კაცი კი მხოლოდ ამას ამბობდა: „წვიმა ციდან მოსული წყალიაო“.

იმდენად უყვარდა კაცს წვიმა, რაც არ უნდა დიდი და მნიშვნელოვანი საქ-

მე ჰქონოდა, ყველაფერს დათმობდა და შუალამეც რომ ყოფილიყო, წვიმაში გავიდოდა.

ერთ დღესაც ასე ხელებგაშლილი რომ იდგა, იგრძნო, ხელისგულზე რაღაც დაეცა მსუბუქად. ეს გამჭვირვალე, ცისფერი მარცვალი იყო. კაცმა ის მარცვალი ქოთანში ჩათესა. ქოთანში ყვავილი ამოვიდა. როცა გაწვიმდებოდა, გაშლიდა ჩამოკეცილ ფოთლებს და აელვარდებოდა ცისფრად; ეცემოდნენ ყვავილს წვიმის წვეთები და ყველა წვეთი გამჭვირვალე, ნაირფერ მარცვლებად იქცეოდა, ქუჩაში ცვიოდა, რომლებსაც ბავშვები კრეფდნენ, მიჰეონდათ სახლში და თესავდნენ ქოთნებში. მალე ყველა სახლის აივანზე გაჩნდა ყვავილები. თითქოს უცბად განათდაო ქალაქი. ყვავილები სხვადასხვა ფერისა იყო. ყოველი წვიმის დროს ემატებოდა ხალხს ერთმანეთის სითბო და სიყვარული. შემდეგ ის ყვავილები გოგონებმა ქოლგებად აქციეს და ასე გაჩნდა ქვეყნად პირველი ქოლგები.

აქ დავასრულოთ ნაწარმოების პირველი ნაწილის მოყოლა და ტექსტის განჩხრეკას შევუდგეთ.

მოცმეული ნაწარმოების სიღრმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, პატარა ქალაქი ამქვეყნიური, ემპირიული სამყაროს მიკრომოდელს განასახიერებს, რომელიც ღვთაებრივი, იმმატერიალური სამყაროს მატერიალური გამოვლინებაა. ამ თვალსაზრისს ისიც ამყარებს, რომ იქ მცხოვრები კაცი, რომელსაც ძალიან უყვარდა წვიმა, ხელებგაშლილი შეჰყურებდა ცას და როცა გაწვიმდებოდა, უდიდესი ნეტარებით ივსებოდა.

ზეციდან წამოსული წვიმის სახით კაცზე ღვთაებრივი მადლი გადმოედინებოდა. ქრისტიანული სწავლებით: „ყოველი კეთილი საბოძვარი და ყოველი სრულყოფილი ძლვენი გადმოდის ზემოდან, ნათელთა მამისაგან“ (იაკ. 1,17). ამქვეყნად არავის ძალუძს ღმერთის სახის ხილვა, ამიტომ ზედასაბამი იგავურად, სახეობრივად

ეცხადება ადამიანებს და ლვთაებრივი
მადლიც ნივთიერი სახე-სიმბოლოებით
ნარმოჩინდება, რადგანაც ჩვენს გონებას
არ შესწევს ძალა ზეგრძნობადი და არა-
მინიერი გონის რაციონალურად განჭვრე-
ტისა – „ის, რაც საიდუმლოა ლვთისა,
„არავის უხილავს“ (გამოსვლათა. 23, 22).

კაცი, რომელსაც ავტორმა სახელი
არ უნდა, ადამიანთა მოდგმის განზო-
გადებულ სახეს წარმოადგენს. ის მუდ-
მივად ღვთაებრივი მადლის მოლოდინ-
შია და უზენაესიც არ იშურებს მისთვის
ამ მადლის გადმოღვრა-გადმოფენას,
ვინაიდან ესეც ერთი სახარებისეული
კონცეფციაა – „შენი რწმენისამებრ მო-
გეგოს შენ!“

იდგა ღვთაებრივი რწმენით აღვსილი კაცი წვიმაში, ხელებგაშლილი შესთხოვდა უფალს მადლის გარდამოსვლას და არ არსებობდა მისთვის ამ-ქვეყნად იმაზე უზენაესი რამ, ვიდრე უფლის რწმენა და სიყვარული იყო.

უკვირდათ სხვა ადამიანებს მისი
ასეთი საქციელი და ბავშვურ ახირებად
უთვლიდნენ. ის კი ძალიან მარტივად
პასუხობდა: „წვიმა ციდან მოსული წყა-
ლიაო“.

თეოფანია, ანუ ღვთისჩენა, როგორც
ითქვა, სხვადასხვა სახით ვლინდება, რაც
მოცემულ „ზღაპარში“ წვიმის გადმოლ-
ვრის სახით ხორციელდება, როგორც
ღვთაებრივი სიბრძნე და მადლი. ქრის-
ტიანული სახისმეტყვლების თანახმად,
მიწაზე მოვლენილ ზეციურ ნაკადს
საკრალური დატვირთვა აქვს. იგი „სუ-
ლიერი კურთხევაცაა“ (ფსალმუნი 67:9)
და „ღვთის სიტყვაც“ (ესაია 55:10-11),
რადგან, „როგორც წვიმა და თოვლი ჩა-
მოდის ციდან და უკან არ ბრუნდება,
თუ არ მორწყა მიწა, თუ არ აშობინა და
არ აღმოაცენებინა, რომ მისცეს თესლი
მთესველს და პური მჭამელს. ასევე იქ-
ნება ჩემი სიტყვა, რომელიც გადმოდის
ჩემი პირიდან. ფუჭად არ დაბრუნდება
ჩემთან, თუ არ აღსრულდა ჩემი ნება და
არ მიაღწია იმას, რისთვისაც მივავლინე“

(Job 55: 10-11).

ასეთივე დატვირთვა აქვს წვიმას მი-
თოლოგიური თვალსაზრისითაც: ზე-
ციურ ბინადართა მთელი დასი წვიმით
ანაყოფიერებს ნიადაგს. წვიმას (ლვთა-
ებრივ მადლს, ლვთის სიტყვას, ლო-
გოსს) მოჰყვება მარცვალი, თესლი –
„ტალანტი სიბრძნისაი“. ამ მარცვალმა
(თესლმა) უფლის რწმენით უნდა გაა-
ნოყიეროს მიწა (მიწიერი საუფლო) და
განამრავლოს ტალანტი. სწორედ ეს
არის ლვთაებრივი სამყაროს არსებობის
პრინციპი. ამიტომაც არის მარცვალი
გამჭვირვალე და მსუბუქი, რომ ლვთა-
ებრივია და დაცლილია წუთისოფლი-
სეული მინარევებისაგან. სიმბოლურია
მისი ფერიც – ცისფერი, პირველქმნი-
ლი, ზეციური ფერი.

მიხვდა კაცი, რატომ გამოუგზავნა ლმერთმა ეს მარცვალი და ჩათესა ქოთანში. ეს იყო პირველი ცდა „მთეს-ველისა“, რომელმაც ტალანტის გამრავლება დაიწყო – „კაცი სწორად მიხვდა, რაც უნდა ექნა“. ამის მერე დაიწყო ის, რაც უნდა დაწყებულიყო: „ქოთანში ყვავილი ამოვიდა. ყვავილი პატარა ბავშვის სიმაღლისა იყო, გრძელი, ბრტყელი ფოთლები ძირს ჰქონდა დაშვებული. იდგა აივნის მოაჯირზე. რომ განვიმდებოდა, გაშლიდა ჩამოკეცილ ფოთლებს და აელვარდებოდა ცისფრად. ეცემოდნენ ყვავილს წვიმის წვეთები და ყველა წვეთი გამჭვირვალე ნაირფერ მარცვლებად იქცეოდა. მარცვლები ქუჩაში ცვიოდა და ბავშვები კრეფდნენ... მიჰქონდათ სახლში ის მარცვლები ბავშვებს და თესავდნენ ქოთნებში... და მალე ყველა სახლის აიკანზე იდგა ყვავილები“.

მოცემული ეპიზოდი აშკარა გამოძა-
ხილია სახარებისეული იგავისა მთეს-
ველ კაცზე:

„აჟა, გამოვიდა მთესველი თესვად,
ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის
პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინ-
ველები და აკენეეს ის, ზოგიც ქვიან



ადგილას დაეცა, სადაც ბლომად არ იყო მიწა და მალე აღმოცენდა, ვინაი-დან ნიადაგი არ იყო ღრმა, მაგრამ ამო-ვიდა თუ არა მზე, დაჭკნა და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშთო ყველა.

ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე და-ცა და ნაყოფმაც გამოილო: „ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი“ (მათე: 13: 12,13).

„კეთილი თესლის მთესველი ძე კა-ცისა“ – ზღაპრის პროტაგონისტი კა-ცია, ანუ ადამიანი („კაც“ ძველქარ-თულად ადამიანს ნიშნავს), რომელმაც საკუთარ ქალაქში (ამქვეყნად) ღვთაებ-რივი წესრიგისა და მადლის გამრავლე-ბა დაიწყო. ამიტომაც დამყარდა ქვეყა-ნაზე სიკეთე და სათნოება. რაც შეეხება უამრავი ფერის ყვავილს, ეს სამყაროში არსებულ ადამიანთა განსხვავებულო-ბაზე მეტყველებს ეროვნების, რასისა თუ აღმსარებლობის მიხედვით („ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვა-ლავი ფერითა“ – რუსთველი).

„მოდიოდა წვიმა. კრეფდნენ ბავშვე-ბი ცისფერი ყვავილის დაცვენილ, გამ-ჭვირვალე მარცვლებს. ემატებოდა ყვა-ვილები პატარა ქალაქს და ქალაქი ერთ დიდ თაიგულს ემგვანებოდა“.

კაცმა შეითვისა ღვთის ბაძვის ნიჭი და ასე ეზიარა თეურგიული და კაც-თმოყვარული სათნოების პირველმოქ-მედ ძალას. იგი სავსე იყო ღვთიური წესდასაბამობით, ნაზიარები იყო პირ-ველსრულის საიდუმლოებას, სრულად ფლობდა ღვთაებრივი ძალმოსილების ნიჭს. ამიტომაც განიცდიდა სრულყო-ფილ ნეტარებას – „იდგა ბედნიერი კა-ცი წვიმაში...“

თითოეულ ადამიანს უნდა ახასი-ათებდეს ღვთისადმი ბაძვა, რასაც ქრისტოლოგიაში განლმრთობას უწო-დებენ. აქ ბაძვა შემთხვევით ნათქვამი ტერმინი არ არის. სამყაროს იერარქი-ულ წყობაში ღვთისადმი ბაძვას მაგის-

ტრალური ადგილი უკავია. სამყაროს დასაბამი ღმერთი თავისი ზებრუნვადი ძალით ქმნის ადამიანებს. იქიდან გა-მომდინარე, რომ არსებობა, თავისთა-ვად სიკეთის ქმნაა, ადამიანმა მთელი თავისი არსებობის მანძილზე სიკეთის ქმნადობითა და სათნოებით უნდა მი-ბაძოს ღმერთს, მას უნდა მიემსგავსოს.

ამ იერარქიულ წყობაში უმაღლეს საფეხურს ის მიაღწევს, ვინც ყველა-ზე მეტად ამრავლებს „სიბრძნის ტა-ლანტის“, ანუ ვინც მეტ სიკეთეს ჩადის და ამით უახლოვდება ღმერთს. უზემო-ეს საფეხურზე მდგომის მოვალეობაა, უქვემოეს საფეხურზე მდგარ მოყვასს გადასცეს ღვთაებრივი ბაძვის ნიჭი. ეს უკვე სამყაროული პარმონიულობის გა-მოვლენაა, მიკრო და მაკრო კოსმოსის უწყვეტობა და ერთიანობა, წრებრუნვა, რომელსაც არეოპაგიტულ პრინციპს უწოდებენ და რომელიც გურამ პეტრი-აშვილის მხატვრულ ტექსტში ფერხუ-ლის სახით ვლინდება.

„ფერხული“ წრეზე მბრუნავ, ხელ-ჩაკიდებულ ადამიანთა ცეკვას ჰქვია, რომელსაც ნანარმოებში ისეთივე სიმ-ბოლურ-ალეგორიული დატვირთვა გა-აჩნია, როგორც ყოველივე დანარჩენს. წრე, როგორც ვიცით, მარადიულობის სიმბოლოა. გოგონებმა წრის შუაგულ-ში მოაქციეს კაცი, რომელმაც ღვთა-ებრივ მადლის აზიარა და ისინიც თავის მხრივ ამრავლებენ, სხვებს გადასცემენ უფლის რწმენასა და სიყვარულს უსას-რულოდ.

ნანარმოებში კიდევ ერთი სიმბო-ლური ქვეტექსტი იკითხება: „ქალაქის ქალიშვილებმა აი, რა მოიგონეს... რომ გაწვიმდებოდა, აიღებდნენ ქოთნებს და ქუჩაში გამოჰქონდათ ყვავილები. დაატარებდნენ ყვავილებს, ულიმოდ-ნენ ერთმანეთს. მკერდზე იხუტებდნენ ქოთანს, მათ თავზემოთ კი ყვავილები იყო გაშლილი. ეს ყვავილები იყო პირ-ველი ქოლგები ამქვეყნად. დადიოდ-ნენ ქალიშვილები წვიმაში, მოხიბლული

ქოლგა-ყვავილზე წვიმის წვეთების კაკუნით“.

სიმბოლური თვალსაზრისით, ქოლგის თაღი ცარგვალს განასახიერებდა, ხოლო ტარი – კოსმიურ ლერძს, რომლის მეშვეობითაც ღვთაებრივი მადლი გადმოედინებოდა ადამიანზე. სწორედ ეს დატვირთვა შეიძინეს გურამ პეტრიაშვილის ზღაპარში ცისფერმა, გამჭვირვალე ქოლგა-ყვავილებმა.

უფლის რწმენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოებას სასოებით კვებავს და სიკეთითა და სათნოებით აღავსებს. იქ, სადაც უფლის რწმენა და სიყვარულია, ყოველგვარი მატერიალურისადმი ინტერესი იკარგება, რადგან, ვისაც ჭეშმარიტი სრულყოფილების მიღწევა განუზრახავს, ის უნდა აღიჭურვოს ღვთაებრივი მადლით, სრულად გაემიჯნოს, მეტიც, უარყოს ყოველგვარი ამქვეყნიური საცთური, გათავისუფლდეს იმ მდაბალი ვნებებისაგან, რომლებიც სრულყოფილ ჭეშმარიტებას დააშორებს. (ეს იდეა მთელი სისავსით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანში“ – „რაც არა გნადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“).

ასე მოხდა წვიმის მოყვარულთა იმ ქალაქშიც, სადაც „ყვავილების სურნელებით დამტკბარი მოქალაქენი უფრო კეთილნი გახდნენ. ერთმანეთს აღარავინ აწყენინებდა. ის კი არადა, გოგონები ერთმანეთს აღარ ებუტებოდნენ იმის გამო, არა ჩემი დედოფალა უფრო ლამაზია, არა ჩემი; ბიჭებს ხომ ფეხბურთის თამაშისას ერთხელაც აღარ მოსვლიათ ჩხუბი – გავიდა ბურთი, თუ არ გავიდა“ – ადამიანები ყოველგვარი მდაბალი ვნებებისა და სურვილებისგან გათავისუფლდნენ, მათში ღვთიური ენერგია გაცხადდა. კაცმა ადამიანები უმაღლეს ღვთაებრივ ნეტარებას აზიარა. ამიტომაც ყველა მადლიერი იყო კაცისა, მაგრამ ამ უკანასკნელს, ერთხელ, წვიმაში რომ იდგა და ცას შესცეკროდა, სიმღერა მოესმა. სიმღერის

ხმაზე ცას მზერა მოაცილა და დაინარისება, მის ირგვლივ ლამაზ ქალიშვილებს ფერხული გაემართათ. ცეკვავდნენ და მღეროდნენ, მათთან ერთად ისე დაქროდნენ ყვავილ-ქოლგები, თითქოს დაფრენენო. კაცს მოეწონა მათი ცეკვა, მაგრამ, რადგან მასში თავმდაბლობა ჭარბობდა, დაიმორცხვა, გოგონებს თვალი მოარიდა და ისევ ზეცისკენ მიმართა მზერა, თუმც მერე და მერე მოიხიბლა მისთვის აღვლენილი სამადლობელი რიტუალით, თანადათან თვითკმაყოფილებას მიეცა და სიამაყის გრძნობაც დაეუფლა.

ასე გაჩნდა მის რწმენაში ბზარი, ასე დაიწყო მისი პირველი ცოდვითდაცემა – გაამპარტავნება. ადრე თუ ერთი წამით არ აშორებდა თვალს ცას, ახლა მის რწმენას საფუძვლიანად მოერყა საძირკველი – „ახლა წვიმაში ცას ხშირად მოაცილებდა ხოლმე თვალს და ილიმებოდა ქალიშვილების ფერხულით დამტკბარი. მეტიც, დავთარი გაიჩინა, სადაც უკვე იწერდა, რამდენმა ქალიშვილმა იცეკვა მის ირგვლივ, რამდენმა გამოხატა მადლიერების გრძნობა. ეს დავთარი იმ წარმოსახვითი დავთრის ალტერნატიული სახეა, რომელშიც ღმერთი ჩვენს ცოდვა-მადლს აღნუსხავს და ბოლოს საზვერეების სახით გადმოგვიშლის.

კაცმა თავისი ქმედებით გაუგონარი ცოდვა ჩაიდინა, ცალკერდ ამპარტავნება შეეპარა და ცალკერდ – ღმერთს გაუტოლა თავი. ამიტომაც „წვიმა ისე აღარ უყვარდა“. ახლა უფრო თავის დავთარზე ფიქრობდა“. მან საკრალური წესდასაბამობის ცნება დაარღვია და საბოლოოდ მივიღეთ გულისთქმას აყოლილი კაცი, რომელსაც გაუმრუდდა ის დაუცხრომელი, შეურყეველი სწრაფვა უზენაესისკენ, რაც თავიდან გააჩნდა.

ფერხულში ჩაბმული გოგონები ისე ცეკვავენ და მღერიან კაცის გარშემო, თითქოს უზენაესს უგალობებდნენ:



„ნმინდა არს, ნმინდა არს, ნმინდა არს უფალო საბაოთ, სავსეა მთელი ქვეყანა მისი დიდებით“. ამგვარმა კერპად ქცევამ კაცი იმდენად გაამპარტავანა, რომ თავი მიწიერ ღმერთად წარმოიდგინა; ახლა უკვე ზეცაში ყურებით და ღვთაებრივი მადლის გადმოლვრით კი აღარ ტკბებოდა, არამედ „ნვიმაში ცას ხშირად მოაცილებდა ხოლმე თვალს და ილიმებოდა ქალიშვილების ფერხულით დამტკბარი“. ამგვარმა გაამპარტავნებამ და თვითდაჯერებამ უზენაესისკენ აღმავალი გზა გაუმრუდა, რამაც საბოლოოდ დაამდაბლა იგი – „რომელმან ალიმალლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“ (მათე – 22,23).

ერთხელ, განთიადისას, როდესაც ნვიმა უნდა მოსულიყო, კაცს დაეზარა გარეთ გასვლა; ჩათვალა, მის ირგვლივ ფერხულის საცეკვაოდ არავინ გამოვიდოდა. ამ მომენტიდან ის უკვე ზეციური მადლის გარდამოსვლაზე კი აღარ ფიქრობდა, არამედ საკუთარი თავის გაკერპება-გაღმერთებაზე. მისთვის ნვიმამ უკვე სრულიად სხვა დატვირთა შეიძინა – მხოლოდ პირადი განდიდებისთვისლა სჭირდებოდა.

ღვთაებრივი რწმენისაგან დაცლამ ფატალურ შედეგამდე მიიყვანა გაამპატრავნებული ადამიანი – მოულოდნელად ქალაქის ყველა ქოლგა-ყვავილმა ერთნაირად გაშალა ფოთოლი და ზეცისკენ გაუჩინარდა.

ვერ ჩააბარა კაცმა უფლის გამოცდა, ბოლომდე არ ეყო ნებისყოფა ამ-ქვეყნიური საცთურის დაძლევისა. მის მიერ დათესილი მარცვალი ვერ დაეცა პოხიერ ნიადაგზე და ნაყოფიც ვერ გა-მოილო.

მაშინ კი იცა კაცმა თავში ხელები, ეს რა ვქენიო, მაგრამ უკვე გვიანდა იყო; შეშფოთდნენ მოქალაქენიც, მით უფრო, როცა პირწმინდად ყველა ყვა-

ვილმა დატოვა ქალაქი. იქ, სადაც ადა-
მიანს გააღმერთებენ, ღვთაების ადგი-
ლი აღარ არის. ასეა, არავის ძალუძს
ამქვეყნად „ორთა უფალთა მონება“.

ასე დაეუფლა ქალაქს ყოფის აბსურ-
დულობა და დრამატიზმის შეგრძნება,
ასე მოიცვა იგი ემპირიული სინამდვი-
ლის წარმავალობამ და ამაოებამ. ამის
მერე მოქალაქენი კვლავ გამოდიან წვი-
მაში, კვლავ ელოდებიან ცისფერ მარ-
ცვალს, მაგრამ ამაოდ – ცოდვით და-
ცემულ ადამიანებს ღვთაებრივი მად-
ლი წაერთვათ.

თეოლოგიური თვალსაზრისით, კა-
ცობრიობის არსებობა, ცოდვით დაცე-
მის შემდეგ, სამ ძირითად საფეხურად
შეიძლება დაიყოს: პირველი, სამოთხი-
დან გამოძევების შემდგომი პერიოდი –
როდესაც ღმერთი უხილავი შეიქნა და
ადამიანმაც მარტო იგრძნო თავი (ცას
მიშტერებული კაცის მდგომარეობა);
მეორე – როდესაც ღმერთი ხილული
გახდა და იესო ქრისტეს სახით მოევ-
ლინა ქვეყნიერებას (ციდან ცისფერი
მარცვლის მოვლინება) და მესამე –
ქრისტეს ჯვარცმის შემდგომი პერიოდი
– უფალი კვალავ უხილავი გახდა კაც-
თათვის და ადამიანი ისევ მარტო დარ-
ჩა ამქვეყნად, მუდმივი მოლოდინის
იმედით (ცისკენ მაცეკერალი ხალხის სი-
ნანული და გამუდმებული მოლოდინის
განცდა). ვფიქრობ, ამგვარი ქვეტეესიც
იკითხება გურამ პეტრიაშვილის ნაწარ-
მოებში.

„წვიმის მოყვარული კაცის ამბავი“
კიდევ ერთხელ შეგვახსენებს უმნიშ-
ვნელოვანეს მცნებას – „არა ჰქმნე თა-
ვისა შენისა კერპი“. ამ მცნების დაღვე-
ვის შედეგად ვიღებთ უღმერთო, ზნე-
ობრივ საყრდენგამოცლილ ინდივიდს –
გაურკვეველი მერმისითა და მიზნებით.
ასეთია გურამ პეტრიაშვილის იგავური
ზღაპრის აზრობრივი შინაარსი.

ლალი პვალიანი



არჩილ ქიშოძის „ნორვეგიული დღიურის“ გამო (თემა და თავისუფალი ვარიაციები)

უპირველესად უნდა ითქვას, რომ დიდი სიამოვნება მომანიჭა მთხოვნელის მშვიდმა, აულელვებელმა, სადა მეტყველებითმა სტილმა – ჩინებულმა ლიტერატურულმა ქართულმა, რაც ეგზომ იშვიათია დღევანდელ პროზაში.

ენობრივი თამაშების, ინტერტექსტუალიზაციის, ორმაგი კოდირების თუ სიმულაკრული პლასტების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუკი ნიჭირი და ფართო თვალსაწიერის ავტორი თავის მხატვრულ არსენალს ზუსტად გამიზნულ ფუნქციურ დატვირთვას მიანიჭებს.

ოცდამეერთე საუკუნის „გლობალურ სოფელში“ ინტერნეტიდან ამოკენკილი ინფორმაციით და უცხოელ ავტორთა მხოლოდ უახლესი ტექსტების გაცნობით, „ძველმოდური“, ზოგადი (იგივე კლასიკური) განათლების გარეშე ქართველი მწერალი ლირებულს ვერაფერს შექმნის. თანამედროვე პოსტმოდერნისტი – კლასიკისა და კიჩის ზღვარ-

ზე მერყევი საქანელა – თუკი ნარმატებულია, სწორედაც რომ მდიდარი კლასიკური „ბეგრაუნდის“ წყალობით. აღარას ვამბობ ჩვენს ავანგარდიზმსა და ანდერგრაუნდზე, ისევ და ისევ XIX საუკუნის დასასრულისა და განსაკუთრებით ნოვატორული სიშმაგით გამორჩეული XX საუკუნის ნაირფეროვანი ლიტერატურული მიმართულებებით (მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის მრავალი განშტოებით) რომ საზრდოობს. თუკი ავტორი არ იცნობს XX საუკუნის მონაპოვარს და უმეცრების გამო ველოსიპედის ბორბალს ხელახლა „იგონებს“, მარცხი გარდაუვალია.

სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, სიურრეალიზმი, ფუტურიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, კონსტრუქტივიზმი, ეგზისტენციალიზმი და ა. შ. თანამედროვე ხელოვანისათვის ეკლექტიკური ინსპირაციის უშრეტი წყაროა, ისევე როგორც მარადიული ფასეულობა – უცხოური თუ ქართული



კლასიკური მნერლობა.

დღეს, იმ ფონზე, როცა ნებადართულია, რაც არ იკრძალება, აკრძალული კი ფაქტობრივად აღარაფერია, „ანდერგრაუნდი“ შეიძლება მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ.

სხვათა შორის, „ტრადიციული“ წერა დღეს ერთობ ძნელია და სარისკოც: ნიჭიერების გარდა, დიდ განათლებასა და გაბედულებასაც მოითხოვს. ამგვარ მნერლად მესახება არჩილ ქიქოძეც.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, ამას ეგზიუპერიც გვეტყვის, ზიგმუნდ ფროიდიც და მრავალი სხვაც.

„ნორვეგიული დღიურის“ დასაწყის-მა პირდაპირ ბავშვობაში გადამისროლა. ჩემსა და არჩილ ქიქოძის შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა თითქოს განქარდა, არა მხოლოდ უნებლიერად მოთხვევების, არამედ თხრობის ემოციური მიზიდულობის წყალობით.

„ნორვეგიული დღიურის“ ბოლოსიტყვაობის ავტორს, ზაალ ანდრონიკაშვილს დავესესხები: „ბავშვობის ოცნება ჩრდილოეთის სახელოვანი და უსახელო გმირების შესახებ, ლიტერატურული შთაბეჭდილებები... მოგზაურობა მოგზაურობამდე, სივრცეში ფიზიკურ გადაადგილებამდე დიდი ხნით ადრე იწყება“.

ჩემს თაობას მხოლოდ „მოგზაურობა მოგზაურობამდე“, ანუ წიგნებით მოგზაურობა დაებედა. ალბათ, ამიტომაც ბავშვობიდანვე დავენაფეთ უიულვერნის, რადიარდ კიპლინგს, ჩარლზ დიკენსს, პროსპერ მერიმეს, ჯეკ ლონდონს, რუალ ამუნდსენს და სხვებს, რომლებიც „მიჯნის გადაკვეთაშიც“ გვეხმარებოდნენ და მსოფლიოს უკიდეგანო სივრცეთა გაცნობის ილუზიას გვიქმნიდნენ. ალბათ, ამას უნდა ვუმადლოდე, რომ გეოგრაფია ყოველთვის მიყვარდა.

ნორვეგიის კლასიკურ ლიტერატურას მხოლოდ სტუდენტობის დასასრულს გავეცანი, თუმცა ბავშვობაში

რუალ ამუნდსენის გმირულმა თავგანერიანი წირვამ, ჯეკ ლონდონის თეთრმა მდუმარებამ, ოქროსმაძიებელთა ქედუხრელობამ ყინულეთში თუ ბენიამინ კავერინის დეტექტურ-სათავგადასავლო რომანმა – „ორი კაპიტანი“ – გამიჩინა სურვილი, არც მეტი და არც ნაკლები, შორეული ზღვაოსნობის კაპიტანი გამოვსულიყავი. ამაზე შეუფერებელს, ალბათ, ვერაფერს ინატრებდა ჩემნაირი ინფანტილური, განრიპული და მცივანა გოგო. ამას წინათ ექვსი წლის ბავშვს ვკითხე: ვინ გინდა გამოხვიდემეთქი; ჩემი გულის გასახეთქად – მდიდარიო – მიპასუხა.

საბედნიეროდ, მეც მქონდა ჩემი „სკივრი“ – გრიბოედოვის ქუჩაზე, ჩვენს დერეფანში უდიერად მიგდებული ძველთაძველი წიგნის ლამაზი კარადა, გამოტენილი ბაბუას წიგნებითა და უურნალებით. დავით ავალიანი, ქუთაისელი უურნალისტი, მთარგმნელი, ფედერალისტი, მოკრძალებული საზოგადო მოღვაწე, დაუზარელი ქველმოქმედი, რომლის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხელმოწერილ მონმობას დღემდე ვინახავ, შვილიშვილებს ვერ მოესწრო.

პატარა თაგვივით დავძვრებოდი კარადაში, წიგნებს ჯერ ვათვალიერებდი, მერე განურჩევლად ვკითხულობდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა.

ზაალ ანდრონიკაშვილის ბოლოსიტყვაობა ზუსტი გზამკვლევით ალიქმება: „მოგზაურს და ტურისტს მიდგომა განახსვავებს: ტურისტი იმპერიალისტია, ის დასაპყრობადაა ჩამოსული. ...მოგზაური, ტურისტისაგან განსხვავებით, არის ადამიანი, რომელიც გადალახავს მიჯნას, რომელიც მატერიალურთან ერთად წარმოსახვითიცაა, ყოველთვის საბედისწეროა, ბედის საზღვარია. არჩილ ქიქოძე კი არის ადამიანი, რომელმაც ამ მიჯნის გადაკვეთის საიდუმლო შეიძლება განიცადოს და

სხვებსაც მოუყვეს".

„ნორვეგიულმა დღიურმა“ მართლაც დამარნმუნა, რომ მოგზაური და ტურისტი – „Это две большие разницы“ – როგორც იტყოდნენ ჩემი საყვარელი ენაკვიმატი ოდესელი მწერლები. ერთ-ერთ ასეთ „ტურისტზე“ მოგვითხრობდა პროზის მაესტრო, თავად „მოგზაური“ ვაჟა გიგაშვილი ჯერ კიდევ 1957 წელს. გურამ რჩეულიშვილის ცნობილი „სიკვდილი მთებში“ (დაიწერა 1957) – 1958 წელს, ხოლო ასევე ცხელ კვალზე დაწერილი ვაჟა გიგაშვილის პატარა მოთხრობა „კურელა“, თუ ზუსტად მახსოვს, 30 წლის დაგვიანებით გამოქვეყნდა. „კურელა“ თითქოს გაგრძელებაა გურამის მოთხრობისა. გურამიც და ვაჟაც თვითმხილველნი და თანამონაწილენი არიან არხოტის გზაზე გერმანელი მწერლის ცოლის, ელფრიდე კურელას დაღუპვისა და იქვე დასაფლავებისა. ვაჟა გიგაშვილის თხრობა თითქოს დოკუმენტურ პროზას უფრო წააგავს: კურელამ მეუღლე უკვე მინას მიაბარა, მაგრამ რუსი პოეტის ტიხონოვისათვის შეპირებული ამლის ფოტოების გადაღებას მაინც აპირებს. გურამი ამ დროს ხიელაშია, არხოტიონებთან, გარსიასა და ღვთისოსთან, ოჩიაურების ხატში ლუდსა სვამს.

ვაჟა მეგზურობს უცხოელ მწერალს, რომელსაც, გერმანული პუნქტუალურობით, პირადი ტრაგედიის მიუხედავად, შეპირებული ხედების გადაღება სურს. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ ალფრედ კურელა 1934-1954 წლებში ცხოვრობდა რუსეთში და ბობოლა კომუნისტიც იყო, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნებულს დიდი პარტიული თანამდებობები მიაგებეს. გურამ რჩეულიშვილსა და ვაჟა გიგაშვილს, ცხადია, წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამის თაობაზე.

ვაჟა გიგაშვილი, მთამსვლელი და „ნადირობის ტრფიალი“, ხიბლგაფანტულია კურელათი, რადგან იგი არც

ამლის ხატის თავზე ჩამოვიდებული ჯიხვების თავ-რქებით დაინტერესდა და არც ხევსურთა ძველი, წარმართული რწმენით: „აშკარაა, რომ კურელა სავსებით გულგრილია ნადირობისადმი. კურელა ტურისტია. ...მაგარი, ჭარმაგი კურელა თეთრი თმებითა და მსხვილი ნაკვთებით, მაგონებს რომელილაც „ტელმანოველ“ მუშას „დეფას“ ფილმებიდან“.

ამ კონტექსტში „ტურისტი“ აშკარად უარყოფითი შეფერილობისაა, არც „ტელმანოველი მუშა“ აღტაცების მომგვრელი ეპითეტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოსტუდია „დეფაც“ მდარე ხარისხისა იყო.

არჩილ ქიქოძე, ავტორი-მოგზაური, ხელჩაკიდებული მიგვიძლვის ბრუტალური, გოლიათი ვიკინგების, გმირი პოლარული მკვლევრების, დიდი ლიტერატურის, სამხრეთელებისთვის უჩვეულო ჩრდილოური ეგზოტიკის ელფერის მქონე ნორვეგიაში – „ბუნებაში, დიდი ქალაქების გვერდის ავლით“ – კარგადაც იქცევა, რადგან ბუნება უპირველესია, რელიქტური, ერთადერთი და განუმეორებელი.

წიგნი, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს დაწერილი ტექსტების კრებულია, თუმც ერთ მთლიანობად აღიქმება; ის ეძღვნება „ეივინ ფურუს, მეგობარს“ – მწერალს, ნატურალისტს, რომელიც ავტორის მასპინძელია; უფრო ადრე კი, ნორვეგიელ ნატურალისტთა ჯგუფის წევრი, ანუ ავტორის ოფიციალური „კლიენტი“ იყო. „ერთი კვირის მანძილზე ვაჩვენებდი ჩვენებურ ფრინველებს. იმ ჯგუფიდან ბევრი დამამახსოვრდა, ნორვეგიელებთან ერთად მუდამ კომფორტულია ბუნებაში მოგზაურობა, ჩვენ ორნი კი, მგონი, იმიტომ დავმეგობრდით, რომ ორივე ვენეოდით და ბუნებაზე ვლაპარაკობდით. მაშინ შევთანხმდით, რომ მასთან ჩავიდოდი, მითხრა, რომ ქოხი აქვს მთებში. მომდევნო წელს მე ვერ მოვახერხე წასვლა



და თვითონ ჩამოვიდა. ორი კვირა ვი-
მოგზაურეთ ჩვენთან, თითქმის ყველა-
ფერი ვუჩვენე, რაც განსაკუთრებით
მიყვარდა. ახლა კი მოვახერხე და მე
ჩავედი მასთან".

ეივინიც მოგზაურია, არ უყვარს ოს-
ლოს სიახლოვეს, დაბა ლანგუსში მდე-
ბარე თავისი ბინა თანამედროვე ხუთ-
სართულიან სახლში.

„ნორვეგიულ დღიურს“ არჩილ ქიქო-
ძე „ნატურალისტურ-ლიტერატურულ
მოგზაურობადაც“ ასათაურებს, არ-
ცოთუ უსაფუძვლოდ; XX საუკუნის II ნა-
ხევრის დიდ შემოქმედთაგან მხოლოდ
ორიოდე მეგულება ფლორისა და ფა-
უნის მოტრფიალე – ანა კალანდაძე და
რეზო ინანიშვილი, ნანილობრივ, ვაჟა
გიგაშვილიც, თუმცა მისი „ნადირობა
ჩონ-ტაშში“ ან ტახების თუ ჯიხვების
აზარტული დევნა (სხვათა შორის, ტა-
ხებთან „შერკინებას“ ისეთი იუმორით
გადმოგვცემს, რომ რეზო ინანიშვილის
„ბლუკებს“ მაგონებს) დიდად განსხვავ-
დება არჩილ ქიქოძის (რომელიც ადრე
მონადირე ყოფილა) უწყინარი „ფოტო-
ნადირობისაგან“.

ორინტოლოგი უნდა იყო, წიგნში
ნახსენები უთვალავი ჩიტის სახელებში
რომ გაერკვე. ბავშვობისას ჩიტის მხო-
ლოდ სამ სახეობას ვამჩნევდი: ბელუ-
რებს, მერცხლებსა და მტრედებს, მერე
და მერე, გაზაფხულზე შაშვების გალო-
ბა მატკებობდა, ვცნობდი კიდეც. ბულ-
ბული რატომლაც არასოდეს მინახავს,
თუმცა, მაინცდამაინც, „ცეკას ბალში“
იყვნენ მრავლად და ცეკას ნომენკლა-
ტურის გარდა, ჩვენც გვიგალობდნენ.

წეროების გადაფრენას ცხოვრებაში
ორადორჯერ შევესწარი, ჯერ გრიბო-
ედოვის ქუჩის აივნიდან, როცა თით-
ქოს ინდაურების ხმა ჩამესმა ზემო-
დან, გაოცებით ავხედე ცას და თვალი
ვერ მოვწყვიტე ამ ულამაზეს, თითქოს
მისტიკურ სანახაობას; მეორედ გური-
აში, ხიდისთავში, უფრო ზუსტად, ზე-
ნობანში, ია დუდუჩჩავას დედულეთში

სტუმრობისას: თბილი და ტკბილიშეებულ
მოდგომა იდგა, ჭანიშვილების ედემს
მინამგვანი, ორასწლიანი ნაძვებით,
მაგნოლიის ხითა და ცისფერი ჰორტენ-
ზიის ბუჩქებით დამშვენებულ ეზოდან
ლურჯ, „მოწმენდილ და შეუმკრთალ“
ზეცაში ამ გრაციოზული ფრინველების
თვალის დევნება ნამდვილი ზღაპარი
იყო.

ფრინველები ალამაზებენ არჩილ ქი-
ქოძის ყოფას, სულერთია სად იქნება
იგი: საქართველოს მიუვალ კუთხეში,
უცხო ქვეყნებში თუ „მზიურის“ ბალში.

ლანგუსში, ეივინის სახლის აივნის
ნინ „ტირიფის ხეებს რამდენიმე ქედან-
მა გადაუფრინა. ტოტებზე შემომჯდა-
რი სხვა ნაცნობი ჩიტებიც ვნახე. კარგი
იყო. საერთოდ, როდესაც უცხო ქვეყა-
ნაში რომელიმე ჩვენებურ ფრინველს
ვხედავ, სულ მიჩნდება განცდა, რომ ეს
სამყარო მაინც ერთიანია და მეც არა
ვარ სრულიად მარტო... ჩიტები მაძლე-
ვენ ამ სიმყუდროვეს, თითქოს ეს პა-
ტარა არსებები კრავენ ჩემთვის სამყა-
როს... დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვი-
ლად მახსოვს, რომ რომის ფორუმზე
დიდებულ ნანგრევებს შორის შავი ბო-
ლოცეცხლა დახტოდა. ლიეტუვაში, შა-
ულაის მახლობლად ჯვრების გორაზე
მეკანაფიები ვნახე, ბალტიის ზღვაში,
კუნძულ ფაროზე, ქარისაგან დაწვენილ
ღვიებში ჭინჭრაქა დაძვრებოდა..."

არცოთუ მოულოდნელი დამთხვევა:
„უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში წა-
ვადექი განიერ ფერდებჩაგლუვებულ
ხევს. ორივე ფერდზე ჩაფენილი იყო
ხმელი ფოთლები, იდგნენ ხეები, ამომ-
წვანებულიყვნენ იებიც, დაბლა კი არ
მიდიოდა, მიბრნყინავდა პატარა წყა-
ლი. ვიგრძენი, რომ გულიდანაც გადამ-
ვარდა სიმძიმე. თითქოს უკვე შინაც
ვიყავი, ჩემს ქვეყანაში, ჩემს ტყეში“
(„პატარა წყალი“). დიდოსტატმა რეზო
ინანიშვილმა ამ პატარა მოთხოვობას
ეპიგრაფად დონალდ ბისეტის ფრაზა
მიუსადაგა: „რა არის წყალი? H_2O თუ

ალმასები ბალახზე?“

მართლაცდა, რაღა დარჩა შეურყვნელი ირაციონალური XXI საუკუნის, ჩვენს არეულ და გადარეულ, ტექნიკიზმის საარაკო ალმასვლისა და გლობალური ზეობის, ბუნებაზე არნახული ძალადობის ეპოქაში, როცა მხოლოდ ადამიანის ზნეობას არ განუცდია პროგრესი?

ავტორის წარმატებული „ფოტონადირობის“ ლომის წილი მსხვილფეხა, ჩლიქოსან გარეულ ცხოველებზე მოდის, ისეთებზე, ეკრანზეც რომ არ დამილანდავს, რასაკვირველია, შვლებისა და ჩრდილოური ირმების გარდა.

ნორვეგიის პეიზაჟები, სიტყვაძუნი აღნერის მიუხედავად, მკითხველს დასამახსოვრებელ „მხედველობით ხატებს“ სთავაზობს: უკიდეგანო, უკაცრიელი, ფერადხავსიანი ზეგნები, ფერთა გრადაცია, ჩრდილოური მზისა თუ ამინდის უეცარი ცვალებადობა, თითქოსდა ყინულით მოხრეშილი გზები, მთები, ფიორდები, ტყე და ტუნდრა...

ყოველივე ამის ჭვრეტა კი უცნაურ, ტკბილ გარინდებას იწვევს: „ეს იყო ყოფიერებიდან, მგონი სულაც ჩემი ცხოვრებიდან ამოვარდნილი დრო, რომლის მანძილზე არაფერზე მიფიქრია, არც ცუდზე, არც კარგზე, თითქმის არავინ გამხსენებია და ვიყავი კარგად იმით, რომ აქ ვიყავი“.

არჩილ ქიქოძემ „სხვაგვარად“, ჰეროიკული პათეტიკის გარეშე წარმოგვიდგინა ნორვეგიული პოლარული ექსპედიციების, არქტიკისა თუ ანტარქტიკის მკვლევრების ისტორია, უსახელო გმირთა მიმართ გამუღავნებული გულგრილობა და მათი ტრაგიკული ბედი; თავის დროზე, რუალ ამუნდსენის „ჩემი ცხოვრება“ ერთობ რომანტიკულად აღვიქვი, სულ ახლახანს გადაკითხვისას კი განსხვავებულად წარმომიდგა ამ მართლაც ამბიციური, ამაყი ადამიანის გმირობაც და მის მიერ გაღებული მსხვერპლი, მრავალგზის შე-


ლახული თავმოყვარეობა – დიდ ბრიტანეთსა თუ ამერიკაში: მარტო ის რად ლირს, როცა ინგლისურ სკოლებში სამხრეთ პოლუსის პირველალმომჩენად სკოტს ასახელებდნენ და არა ამუნდსენს! თვით ნორვეგიაშიც იყო უბადრუკი მცდელობა ჭორების გავრცელებით მისი სახელის შელახვისა და ა. შ. ამუნდსენი, ყველა სიკეთესთან ერთად, კარგი მწერალიც იყო, სხვათა შორის, იუმორის ჩინებული გრძნობით.

„ამუნდსენი – 1928 წელს უკვე ასაკოვანი, უკვე მოდიდან გამოსული და თითქმის ანაქრონიზმად ქცეული, დაუფიქრებლად გაემართა კატასტროფაში მოხვედრილი იტალიურ დირიჟაბლ „ნორგეს“ ეკიპაჟისა და ექსპედიციის ხელმძღვანელის, უმბერტო ნობილეს გადასარჩენად. გაემართა კი არა, გაქანდა, წყალწალებულივით მოეჭიდა ამ ახალ შესაძლებლობას, ისევ დიდების ზენიტში აღმოჩენილიყო, გადაერჩინა კაცი, რომელსაც რამდენიმე წლით ადრე, დირიჟაბლ „ნორვეგიით“ ჩრდილოეთ პოლუსზე განხორციელებული ერთობლივი წარმატებული ექსპედიციის მერე პირად მტრად მიიჩნევდა“...

არჩილ ქიქოძის მოსაზრების სანინაალმდეგოდ, „მტრის“ გადარჩენის მცდელობას დიდ სიქველედ მივიჩნევ, თანაც, ამუნდსენის ორი ყოფილი თანამგზავრი – მალმგრენი და ბეგუნეკიც ხომ მონაწილეობდნენ ნობილეს ექსპედიციაში.

ფრანგული მაშველი თვითმფრინავისა და ამუნდსენის უკვალოდ გაქრობის შემდეგ, ფრიტიოფ ნანსენის გამოსახოვარი ერთი ფრაზაც კი იკმარებდა მისი სიდიადის დასტურად: „ვაჟკაცობით მისი დარი მამაკაცები ადამიანის მოდგმის რწმენას გვიმყარებენ“...

ერთგან ავტორი მოიხსენიებს შესანიშნავი რეჟისორის მიხეილ კალატოზიშვილის (კანის „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი – 1958) მართლაც საკმაოდ ულიმლამო, იტალია-სსრკ-ს



ერთობლივ ფილმს – „ნითელ კარავს“, რომელიც ნობილეს დირიჟაბლის წარუმატებელი ექსპედიციის გადარჩენის კეთილშობილურ ინტერნაციონალურ მისიას ეხება. რასაკვირველია „მოსფილმის“ უმთავრესი მიზანი ოპერაციაში რუსი პოლარული ზღვაოსნების, სამი ყინულმჭრელის მართლაც დიდი ძალისხმევის წარმოჩენა იყო. საუკეთესო რუსი, ლატვიელი, ქართველი (ოთარ კობერიძე) მსახიობების გარდა, ფილმში კინოვარსკვლავები შონ ო'კონერი, პიტერ ფინჩი და კლაუდია კარდინალეც მონაწილეობდნენ; მაინც უკმარისობის გრძნობა ჭარბობდა, რადგან ფილმს აშკარად აკლდა „დრაივი“.

სხვათა შორის, ბავშვობის შემდეგ, „მიჯნის გადაკვეთაში“ უცხოური კინოდოკუმენტალისტიკაც გვეხმარებოდა. თითქმის ყველაფერი აკრძალული კი იყო, მაგრამ რუსთაველისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში, „დეკას“ („Дом Красной Армии“) მცირე დარბაზში სწორედ ისეთ ფილმებს აჩვენებდნენ, დიდ კინოთეატრებში რომ არ აჭაჭანებდნენ – ესეც საბჭოური პარადოქსი! მერე და მერე ტელევიზიაც წამოგვეშველა: უურნალისტის, ექიმისა და მოგზაურის (ტიმ სევერინის „კონ-ტიკის“ ექსპედიციის წევრიც იყო) სენკევიჩის რკინისფარდისგადაღმა „კინომოგზაურთა კლუბს“ დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს. რუსული სატირული ესტრადის მშვენების ზაღორნოვის „სასონარკვეთილი“ შეძახილიც მახსოვა: „Хватит видеть мир глазами Сенкевича!“ („კმარა მსოფლიოს ყურება სენკევიჩის თვალებით!“).

ლვთის მადლით, არჩილ ქიქოძე და მისი თაობის ჩინებული მწერლები თავ-ქუდმოგლეჯილი კი არ გარბიან „ცუდი“ საქართველოდან „კარგ“ უცხოეთში, არამედ ჩვენს თვალსაწიერსაც აფართოებენ და ქართულ მწერლობასაც ღირსებისამებრ წარმოაჩენენ.

„ლიტერატურულმა“ ნაწილმა, თანა-

მედროვე ნორვეგიელ მწერლებს რომების ეხება, დიდად დამაინტერესა, მით უმეტეს, რომ ჩემთვის მხოლოდ XIX-XX საუკუნეების კლასიკური ნორვეგიული ლიტერატურა იყო ხელმისაწვდომი, ისიც რუსული თარგმანების მეშვეობით: იბსენი, ბიორნსონი, ჰამსუნი, უნსეტი, ამუნდსენი... დიდად ვაფასებ იბსენსაც და ჰამსუნსაც (მოგვიანებით წავიკითხე 1898 წელს მისი საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერილი პიესა „დედოფლი თამარი“ და „ზღაპრულ ქვეყანაში“).

ჰამსუნის სახელმა ჯერ კიდევ სტუდენტობიდან დამაინტერესა – ისიც ცისფერყანწელთა „კულტურტრეგერობის“ წყალობით; „მისტერიები“, „პანი“, „შიმშილი“ წავიკითხე, ნაგელის სახელი მაშინ გავიგე პირველად. ქართულად თარგმნილი არც არაფერი იყო.

ახლა, ჩემდა გასაოცრად, სოციალურ ქსელებში არა და არ წყდება ამათუ იმ მოტივით (უფრო ზუსტად თუ ვიტყვი – ინსინუაციებით) ცისფერყანწელთა „შერისხვა“, მხოლოდ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის არცოდნის თუ უგულებელყოფის გამო ან „თავის გამოჩენის“ სურვილით. ვრწმუნდები, თუ რაოდენ მავნე შეიძლება იყოს რადიკალიზმი და აგრესიული უმეცრება.

გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ჰამსუნი ქვეყნის ყველაზე დიდი მწერალია, „რომლის ხსოვნას თითქმის ვერსად შეხვდებით ნორვეგიაში, ოსლოშიც კი მისი სახელი მხოლოდ ერთ პატარა ჩიხს ჰქვია.

ჩიხი კი არსად გადის – ყრუ კედელს ებჯინება“. კიდევ კარგი, ძეგლი მაინც დაუდგამთ მისთვის.

80 წელს გადაცილებულმა მწერალმა (1920 წელს მიენიჭა ნობელის პრემია) || მსოფლიო ომის დროს, ფაშისტების მიერ დაპყრობილ ნორვეგიაში ოკუპანტებთან თანამშრომლობისა (თუ ლოიალურობის?) გამო, საყოველთაო გაკიცხვა დაიმსა-

ხურა, რასაც გასამართლებაც მოჰყვა.

კრისტენსენის რომან „ნახევარძმაში“ გამოხატულია ნორვეგიელთა ამბივალენტური დამოკიდებულება: – შეჩვენებაც და ჰამსუნის ლიტერატურული მემკვიდრეობის ლირსებისამებრ წარმოჩენა: 1945 წლის 8 მაისს, როცა ოსლო ომის დამთავრებას ზეიმობს, ოჯახის უხუცესი წევრი ბებია „ნაძირალა“ ჰამსუნის ტომებს წვავს. მრავალი წლის შემდეგ პროტაგონისტს თავისი ბებია უსახსოვრებს ჰამსუნის ახალგამოცემულ მრავალტომეულს ასეთი კომენტარით: „თურმე ნაძირალებიც წერენ კარგ წიგნებს“ (ქვეთავი – „ჰამსუნი“).

ეპითეტი „ნაძირალა“ მეტისმეტია. „სტერილური“ მორალის ხელოვანის მოძებნა როგორც უცხოურ, ისე ქართულ მწერლობაში ალბათ გაგვიჭირდება.

კნუტ ჰამსუნი აკა მორჩილაძის „მადათოვური“ ტრილოგიის ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება. იგი მოხიბლულია ხაფო მღებავის ნიჭიერი, იმავდროულად ყველაფრის მკისრებელი ავაზაკის მხატვრობით. როცა გამომძიებელი ბაიარდი რალაც-რალაცებს შეაპარებს ხაფოს, იგივე ჰაფეზ მხატვრის ზნეობასა და საქმიანობაზე, ნორვეგიელი მწერალი მხოლოდ მხრებს აიჩინავს: „რატომ უნდა გაინტერესებდეს შექსპირი, როცა გაქვს „მეფე ლირი?“

ჰამსუნი, ბავშვობიდან ლარიბი, მრავალჭირგამოვლილი, 9 წლისა მამამ ბიძას რომ გადაულოცა სოფელ ჰამსუნში (აქედან მოდის მისი ფსევდონიმიც), სადაც უმოწყალოდ ამუშავებდნენ, ჰამსუნი, რომელიც 14 წლის ასაკში ამერიკაში გადაიხვენა და ბუნებით მოხეტიალემ, გაბედულმა და შეუპოვარმა ავანტიურისტმა ახალგაზრდობაში ნახევარი მსოფლიო მოიარა, – „ჩვეულებრივი“ საზომით ვერ შეფასდება. გერმანიფილი ადრეც იყო, თუნდაც იმიტომ, რომ პირველად გერმანიაში აღიარეს დიდ მწერლად.

ნორვეგიისადმი ფაშისტების დამო-

კიდებულება ორგანზომილებიანი გახლდათ: ვიკინგის შთამომავლებს არიულ რასად კი აღიარებდნენ, თუმცა, მათდამი გამუღავნებულ „არიულ პიეტეტს“ ნორვეგიის ოკუპაცია მოჰყვა.

არჩილ ქიქოძის „ინტერვიუში ერლენდ ლუსთან“ ვკითხულობთ: „რომ გაიგო ეს ქვეყანა, უნდა იცოდე, რომ ნორვეგია ძალიან ჰომოგენურია. აქ არ ცხოვრობს ბევრი სხვადასხვა წარმოშობის ადამიანი“.

არ არის გამორიცხული, რომ ხანდაზმული კნუტ ჰამსუნი სამშობლოს „ჰომოგენურობას“ როგორლაც აკავშირებდა რასიზმთან. ძალიან მიკვირს, რომ საბჭოთა კავშირში ფაშისტებთან კოლაბორაციისათვის ჰამსუნს მხოლოდ „მსუბუქად“ ჰკიცხავდნენ; ეს რუსული უნივერსალური ლიტერატურული ენციკლოპედიითაც დასტურდება.

არა მგონია, თანამედროვე იტალიელებს აშფოთებდეთ გაბრიელე დ'ანუნციოს ან ფილიპო ტომაზო მარინეტის მუსოლინისა და ფაშიზმისადმი დამოკიდებულება.

რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს...

სავსებით ვეთანხმები არჩილ ქიქოძეს: „როგორც ხშირად ხდებოდა და ხდება, პოლიტიკა სალ აზრს და ჰუმანურ იდეებს გადაწყის, საზოგადოებრივი აზრი მუდმივად მერყეობს და გუშინდელი გმირი ხვალინდელი ანტიგმირი ხდება“, დავამატებ: ანდა პირუკუ.

აქვე ვიტყვი, რომ ამ მხრივ ავტორიც „სცოდავს“: ზალიკო ქიქოძე-უმცროსს გოგლა ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“... დაუდევს ინსტაგრამზე.

უშბაზე ტრაგიკულად დალუპულ ზალიკო ქიქოძე-უფროსს, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ „ძველ“ მთანმინდაზე, სადაც ბევრი მთამსვლელი, მწერალი და მხატვარი ბინადრობდა, ხშირად ვხედავდი; ისიც ვიცოდი, რომ დიდად საპატივცემულო პიროვნება იყო: ინტელექტუალი, მთამსვლელი, მაშველი,



უბრალოდ – პატიოსანი, უანგარო კაცი. 80-იანი წლების ბოლოს, როცა სიტყვა ასე თუ ისე „გათავისუფლდა“, ხშირად ვმდგარვართ ერთად რიგში ოპერის მოპირდაპირე მხარეს მდებარე პრესის ჯიხურთან გაზეთების შესაძენად.

გასაზიარებელია თუ არა არჩილ ქიქმის მოსაზრება ლეონიძის ლექსზე, მკითხველმა განსაჯოს: „ლექსის ორი ვერსია არსებობს და იმაში, რომელიც ჩემმა შვილმა გააზიარა, სტალინისადმი მიძღვნილი სტროფი ამოღებულია. ამ ცვლილების წყალობით ვიღაცას გამოუსწორებია „პატარა უხერხულობა“, გაუქრია მეორე მსოფლიო ომის (ჩვენთან რომ სამამულოს ეძახდნენ) კონტექსტი და ლექსი „მარადიული“ გაუხდია. ადვილია, არა?“

მართალი გითხრათ, „გამოსწორებული“ და „გადაკეთებული“ პოეზია მეც არ მიზიდავს: აკაკი ბაქრაძე წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ ერთმანეთს ადარებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის სერგეი ესენინის თვითმკვლელობაზე დაწერილ ორ ლექსს: ერთს ცხელ კვალზე, კომუნისტური აღტკინებით („ბედნიერ“ საბჭოთა კავშირში თვითმკვლელობა იკრძალებოდა), მეორეს – მრავალი წლის შემდეგ, რასაკვირველია, „ნორმალური“, ადამიანური პოზიციიდან.

ზალიკო ქიქმისეუმცროსს კი ვუდასტურებ ჩემს პატივისცემას, რადგან სამშობლოს სადიდებელი ლექსი ხშირად გამაღიზიანებლად და „ჩამორჩენილობად“ აღიქმება, არა მხოლოდ თინეიჯერთა მიერ, არამედ ნეოლიბერალური თვალთახედვითაც.

დიდზე დიდი პოეტის, გოგლა ლეონიძის „გადაუსწორებელი“, ანუ 1944 წლით დათარიღებული ლექსი ძლივს აღმოვაჩინე ჩემს წიგნებში; ის „შეცდომით“ პირვანდელი სახით დაუბეჭდავთ „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიაში“ 1971 წელს, როცა სტალინის სახელზე ტაბუ იყო დადებული! ლექსში

სტალინი მართლაც მოხსენიებულია, თუმცა განაფული კი არა, ტენდენციური მკითხველიც კი იტყვის, რომ ის ორი სტროფი მხატვრულად მოიკოჭლებს, თითქოს ყურით მოთრეულია და მისი „გაქრობა“ მაღლია!

ლექსში მინიშნებაც კი არ არის საბჭოთა კავშირზე ან სამამულო ომზე, მოხსენიებულია „ქართველი“, „სამშობლო“, „ქართლის მთები“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“... მხოლოდ ეპიგრაფი მიგვანიშნებს 1943 წელს ტამანის ნახევარკუნძულზე || მსოფლიო ომში დაღუპულ უცნობი ქართველი მეომრის საფლავზე, „რომელსაც ლევანი რქმეოდა“. აქაც შეუსაბამობაა: თუკი მეომარი უცნობია, სახელი საიდანლაა?

ლექსის საკვანძო სიტყვა „ლევანია“, ხოლო ინსპირაციის წყარო პოეტის პირადი ტრაგედია – უფროსი ძმის ლევან ლეონიძის, უაღრესად განათლებული პიროვნების, პროფესიით ზოოტექნიკოსის დახვრეტა 1937 წელს, „ტერორისტული დაჯგუფების წევრობის“ ბრალდებით. გერმანიაში სწავლის დროს დაქორწინებულა მარია ჰოფმანზე.

პოეტის, მეცნიერის, გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ჩინებული მკვლევრის ემზარ კვიტაიშვილის მართებული მოსაზრებით, მან არნახული ძალისხმევით, შეგნებული კომპრომისითა და „ხარკის გაღებით“ მოახერხა გერმანელი რძლისა და ძმის შვილების გადარჩენა.

მისივე თქმით, „არ დაიდარდო, დედაო“... პოეტის ძმის ხსოვნას ეძღვნება, რაც დაუდასტურებია კიდეც მისთვის ფოლკლორისტ თამარ ოქროშიძეს – გიორგი ლეონიძის თაობის ქალბატონს.

ამ თვალსაზრისით თუ განვსჯი, ეპიგრაფი და ორი უხეირო სტროფი სტალინითურთ, „სავალდებულო“ კამუფლაჟად მესახება. მაშ რატომდა დავუკარგოთ შთამომავლობას „არ დაიდარდო, დედაო...“ – მართლაც მარადიული მშვენიერი ლექსი?

ნორვეგიელ თუ უცხოელ (ფინელი, ესტონელი, შვედი, უკრაინელი, პოლონელი და ა. შ. ექსცენტრული ქალბატონები და ბატონები) ინტერნაციონალური ლიტერატურული „ტუსოვკის“ მონაწილეებს, „გიუმაუების რეგიონალურ ნაკრებს“, ავტორი სულ რამდენიმე შტრიხით, საოცარი იუმორით გვისატავს. არც მწერალთა შეხვედრების ორგანიზებაა ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული: ოსლო, ბერგენი, ლილეპამერი, ვისბიუ...

ავტორი ლირსებისამებრ აფასებს ნორვეგიელ კლასიკოსებსა და ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობ თანამედროვე მწერლებს, იმავდროულად, ამ მართლაც „ზღაპრული ქვეყნის“ ბუნებას, რომელიც „მოწინებით აგავსებს, პატარად, მაგრამ მნიშვნელოვნად გაგრძნობინებს თავს. რაღაცას მოგალანდებს, მოგაჩვენებს, ხანაც შეგაშინებს. იქაურ მდინარეებს კალაპოტები შავი გრანიტის კლდეებში აქვთ გაჭრილი, ამიტომაც სრულიად კამკამა წყალი შავად და ავად მოჩანს. ეს შავი სილრმე იდუმალია ისევე, როგორც იქაური ცა, ჩრდილოური შუქი. იდუმალება არის, მგონი, ყველაზე სწორი სიტყვა, რაც შეიძლება იქაურ ბუნებას ვუწოდო“.

„ნორვეგიულ დლიურში“ სულ მცირე ადგილი ეთმობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, სადაც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით იყო წარდგენილი. თავის დროზე დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ამ საამაყო პრეცედენტს – პრესაშიც და ელექტრონულ

მედიაშიც, ჯერ წავიკითხე, შემდეგ რამდენჯერმე მოვისმინე აკა მორჩილაძის ლირსეული „სეფე-სიტყვაც“: სადა, მართალი და წრფელი, ეროვნული „ნარცისიზმის“, „საუცხოო უცხოელთა“ მიმართ თავმოდრეკილობის თუ რევერანსების გარეშე.

არჩილ ქიქოძე: „აკა მორჩილაძემ ვახსნაზე იმისთანა სულისშემძვრელი სიტყვა თქვა, რომ ჩემთვის ქართველობა ორად გაიყო და მივხვდი, ვისაც ის სიტყვა არ მოეწონა, იმათთან არაფერი მაქვს საერთო“.

სოციალური ქსელების ჭორებსა თუ კულუარულ ძიძგილაობაზე მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდი, თუმც არად ჩამიგდია; ქართველი მწერლების ეს წარმატება სიხარულით შევირგე.

„სიყვარულიანი მხატვრობით“ (დავით კლდიაშვილი) და, ასევე სიყვარულიანი იუმორით გადმოგვცემს არჩილ ქიქოძე ქართველი „ფრანკფურტელების“ მკითხველებთან შეხვედრას „გერმანიის დიდ და პატარა ქალაქებში, სადაც ბურუუაზიული იერის ბებიებით სავსე დარბაზები გველოდა, იშვიათად, წამლად თუ გამოერეოდა ბიურგერი ბაბუ. ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი მართლა დიდი ჰქონდათ ბებიებს და იმასაც შევეჩივით, რომ გერმანული საზოგადოების ეს სეგმენტი ყოფილა ჩვენი მკითხველი, მყიდველი და წარმატების საზომიც“.

„ციფრულ“ დროებასა და უამში დასაწყისისათვის ესეც იკმარებს.

ვირჯინია ვულფი

ესეი პრიტიპაზი

ადამიანთა მიმნდობლობა ჭეშმარიტად მშვენიერია. ალბათ, საფუძვლიანი მიზეზები არსებობს საიმისოდ, რომ მეფეს, მოსამართლესა თუ ლორდ მერს ვენდობოდეთ. როცა ისინი მანტიებსა და პარიკებში გამოწყობილნი, მაცნეებისა და ცხენოსნების თანხლებით, გზად ჩაგვიქროლებენ, მუხლები გვიცახცახებს და ლულლულს ვიწყებთ, მაგრამ რთულია ავხსნათ, რა მიზეზები არსებობს საიმისოდ, რომ კრიტიკოსებისა გვჯეროდეს. მათ არც პარიკები ახურავთ და არც ცხენოსნები ახლავთ. გარეგნულად არაფრით განსხვავდებიან სხვა დანარჩენთაგან და მაინც, საკმარისია ეს უმნიშვნელო, ნაცნობი ქმნილებანი ოთახში ჩაიკეტონ, კალამი მელანში ჩააწონ, საკუთარ თავს „ჩვენ“ უნდონ, რომ სხვა დანარჩენებმა მათი ამაღლებულობის, ზეშთაგონებისა და უცდომლობის ვირწმუნოთ. მანტიები კიდურებს უფარავთ. პარიკები თავებზე ეზრდებათ.

ადამიანთა მიმნდობლობის ძალას არასდროს შესძლებია უფრო დიადი სასწაულის მოხდენა, მაგრამ, ისევე როგორც სასწაულთა უმრავლესობა, ისიც მორწმუნის გონებას აჩლუნგებს. მორწმუნე ინყებს ფიქრს, რომ კრიტიკოსი, რაკილა იგი ამგვარად

უნდებს საკუთარ თავს, შეუმცდარია. ვარაუდობს, რომ ნიგნში, რომელიც პრესაში შეაქეს ან გაკიცხეს, რაღაც მნიშვნელოვანია. ბოლოს კი საკუთარ თავში ეჭვდება და იმ გულისხმიერი, მერყევი წარმოდგენების დამალვას იწყებს, რომლებიც კრიტიკოსის განაჩენთან წინააღმდეგობრიობაში მოდის.

და მაინც, მიუხედავად განსწავლულობისა (და განსწავლულობა უაღესად სასარგებლო თვისება გახლავთ გარდაცვლილთა ნაშრომების შეფასებისას), კრიტიკოსი გაცილებით ცოდვილია, ვიდრე თითოეული ჩვენგანი. მან საკუთარი მოსაზრებები უნდა გაგვიზიაროს ნიგნზე, რომელიც ორი დღის წინ გამოქვეყნდა და შესაძლოა, ჯერ კიდევ ნაჭუჭიდან თავის გამოყოფის პროცესშია; მკითხველის თავზე ჩამოკიდებული სქელი, თუმცა გაფანტული შეგრძნებების ლრუბელს უნდა გაემიჯნოს, რათა მათი თავმოყრა, შეჯამება შეძლოს. არსებობს შანსი, რომ ამას მანამ შეძლებს, ვიდრე მოქმედებისთვის ხელსაყრელი დრო აქვს. ზედმეტად სწრაფად და სწორხაზოვნად მუშაობს. ამბობს, რომ კარგი ან ცუდი წიგნია, მაგრამ თავადაც იცის, როცა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის კითხუ-

ლობს, არც ერთი შეიძლება იყოს და არც მეორე. მას გარემოებები და ადამიანური პატივმოყვარეობის ძალა მართავს, მალავს იმ მერყეობას, რომელიც კითხვის დროს ეუფლება, რადგან სურს რვაფეხას მსგავსად დაკლაკნილი და გამრუდებული ყველა ბილიკი მოასწოროს და საბოლოოდ მიაღწიოს იმას, რასაც „დასკვნას“ უწოდებს. ამგვარად, კრიტიკოსის გამოჩირკვნილ საყვირში ჩაბერილი კრიტიკული მოსაზრებები ხმამაღლა და ყურისწამლებად წიკვინებს, ჩვენსავით მოკრძალებული მკითხველი კი თავს მორჩილად ხრის, მაგრამ, მოდით ვნახოთ, შევძლებთ თუ არა ამგვარი თვალთმაქცობის უგულებელყოფას და იმ პომპეზური ფარდის ჩამოხსნას, რომელიც კრიტიკის პროცესს დასასრულამდე ფარავს. დავთიქრდეთ ახალ წიგნზე, თითქოს ვიღაც თევზს აგდებს საცეცებიანი და მშიერი ზღვის ფრინტებით სავსე აკვარიუმში და დავაკვირდეთ მას, როგორ ელოდება, ფიქრობს და იერიშზე როგორ გადადის. ვნახოთ, როგორ ვნებს ახალ წიგნს წინასწარ შექმნილი აზრი; რა გავლენები ზემოქმედებს მასზე და თუ ამ პროცესში დასკვნა ნაკლებად დასკვნითი გახდება, სწორედ ამ მიზეზით, ის ჭეშმარიტებას კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება. უპირველესი რამ, რასაც გონება ამ დროს მოითხოვს, კონკრეტული ფაქტია, რომელსაც მანამ დაეყრდნობა, ვიდრე ვარაუდებზე დაფუძნებულ მუშაობაში თავით გადაეშვება. ადამიანთა სახელებს, როგორც წესი, ბუნდოვანი მითქმა-მოთქმები უკავშირდებათ. მაგალითად, მისტერ ჰემინგუეის შესახებ ცნობილია, რომ საფრანგეთში მცხოვრები ამერიკელია, „მონინავე“ მწერალი; ვფიქრობთ, რომ დაკავშირებულია იმასთან, რასაც მოძრაობის სახელით ვიცნობთ, თუმცა არავინ იცის, მრავალთაგან ზუსტად რომელთან. აღნიშნული ფაქტები მეტ სიზუსტეს შეიძენს, თუ, პირველ რიგში, მისტერ ჰემინგუეის ადრეულ ნაწარმოებს „აღმოხდების მზეს“ წავიკითხავთ, რომლის საფუძველზეც მაშინვე ნათელი გახდება, არის თუ არა იგი იგი „მონინავე“ მწერალი და თუ

არა, ეს გაცილებით საინტერესო იქნებო-და. მისტერ ჰემინგუეის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრი, რომელსაც მკითხველი ითვალისწინებს, ამ შემთხვევაში სრულიად დაუცველია. კრიტიკოსი თანამედროვეა და, რასაკვირველია, დასაფასებელი იქნება, თუკი თანამედროვენი დაგვეხმარებიან იმის გაცნობიერებაში, რასაც ქვეცნობიერად ვგრძნობთ. მათი გამოცდილება ჩვენსაზე ნამდვილია. წინასწარჭვრეტის უნარი აქვთ და სწორედ ესაა, რაც განსაკუთრებულად აღგვაფრთოვანებს, თუმცა, არაფერს ამბობენ ახალს „აღმოხდების მზის“ პერსონაჟებზე, რომლებიც ჩვენამდე მოპასანის გმირებივით ყალიბში ჩასმულნი, პროპორციულნი და ანონილ-დანონილნი მოჰყვათ. მათ ისევ ხედვის ძველი კუთხიდან აკვირდებიან. ავტორსა და პერსონაჟს შორის კვლავ ძველ ურთიერთობებს, ძველ გაუგებრობებს იკვლევენ, თუმცა, კრიტიკოსს პატივი აქვს დაგვარწმუნოს, რომ ახალი პერსპექტივებისა და მიღგომების ძიება, შესაძლოა, აბსურდულიც კი გახდეს, ახირებულობად იქცეს, სისულელედ გარდაიქმნას. რატომ არ შეიძლება ხელოვნება იყოს ტრადიციული, ისევე როგორც ორიგინალური? იქნებ ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მწერლით აღფრთოვანებას, რაც, მართალია, სასიამოვნოა, მაგრამ არსებითად უმნიშვნელოა და ამდენად ფატილურ შეცდომამდე მივდივართ, როცა მის ნიჭს გადაჭარბებულად ვაფასებთ?

ნებისმიერ შემთხვევაში, მისტერ ჰემინგუეი, აღნიშნული თვალსაზრისით, მოდერნისტი არ გახლავთ. მისი პირველივე რომანი ამტკიცებს, რომ ჭორები მისი მოდერნისტობის შესახებ არა ფიქციური ხელოვნების ფუნდამენტურად ახალი კონცეფციიდან, არამედ რომანში განხილული თემებიდან და მისეული დამუშავებიდან მომდინარეობს. „აღმოხდების მზე“ ცარიელი, არათანმიმდევრული და უტყვი წიგნია.

1927 ან თუნდაც 1928 წლების პარიზული ცხოვრება მასში ისევეა აღნერილი, როგორც ამ პერიოდში მცხოვრები ადამიანები აღვნერდით (რამაც უპირობო გამარჯვება

მოგვაპოვებინა ვიქტორიანელებზე): დაუ-
ფარავად, გულწრფელად, მოკრძალების,
თუმცა, ამავდროულად გაოცების გარეშე.
პარიზის ზნეობა და უზნეობა იმგვარადაა
გადმოცემული, როგორადაც მის მოსმენას
პირადად ვისურვებდით. ამგვარი სინამ-
დვილე მოდერნულია და რასაკვირველია,
აღმაფრთოვანებელიც, მაგრამ რაკიღა ხა-
რისხიც ისევე იზრდება ხელოვნებაში, რო-
გორც ცხოვრებაში, მნერლის აღმაფრთო-
ვანებელი გულწრფელობა, მოგვიანებით,
მხოლოდ ცარიელ სტილად გარდაიქმნება.
აღმოვაჩენთ, რომ არავინ არაფერს ამ-
ბობს ერთ ან ორ ბნეარზე მეტს. ნახევა-
რი ბნეარიც კი უმეტესწილად საკმარისია.
ბორცვი ან ქალაქი (და ჰემინგუეისთან
ყოველთვის არსებობს მიზეზი მათ დასა-
ხასიათებლად), რომელთა აღნერილობაც
ყოველთვის ზუსტსა და სიტყვა-სიტყვით
გადმოცემულ მცირე ფაქტებს ეფუძნე-
ბა, საკმარისად პირდაპირია, თუმცა რო-
გორც საბოლოოდ კონტურის სიმკვეთრე
ცხადჰყოფს, უკიდურესი სიფრთხილით
შერჩეული. მაგალითად, სიტყვები: „მარ-
ცველეული მომწიფებას იწყებდა და ველი
ყაყაჩოებით გაივსო. საძოვარი გამწვანდა,
აქვე მშვენიერი ხეებიც იდგა, მათ შორის
ციხე-სიმაგრე და ფართო მდინარე“ – ცნო-
ბისწადილს აღძრავს. თითოეულ მათგანს
წინადადებაში თავისი წონა აქვს. შინაგანი
ატმოსფერო ისეთი ფაქტი და მკვეთრია,
როგორც ზამთრის დღეებში ცის ფონზე
გაშიშვლებული ტოტები (მაგრამ თუ იძუ-
ლებულნი გავხდებით, აღვწეროთ მისტერ
ჰემინგუეის მცდელობა და ზოგ შემთხვე-
ვაში მიღწეული წარმატებაც, ხოლო ამის-
თვის მხოლოდ ერთი წინადადება უნდა შე-
ვარჩიოთ, უმჯობესი იქნება ციტატა კორი-
დას აღნერილობის პასაუიდან მოვიყვანოთ:
„რომერო არასდროს იცვლიდა სხეულის
პოზას, ყოველთვის მტკიცე, ზუსტი და ბუ-
ნებრივად სწორხაზოვანი რჩებოდა, სხვები
კი მოჩვენებითი საფრთხის შესაქმნელად,
კორპსაძრობივით იკლაკნებოდნენ, იდაყ-
ვებს მაღლა სწევდნენ და როცა სხეულთან
მოახლოებულ ხარის რქებს იგრძნობნენ,

მისი ფერდების საწინააღმდეგოდ იგრი-
ხებოდნენ. ეს სიყალბე, მოგვიანებით, სი-
საძაგლედ გარდაიქმნებოდა და არასასია-
მოვნო შეგრძნებებსაც იწვევდა. რომეროს
ხარებთან ბრძოლა კი ნამდვილ ემოციებს
შობდა, რადგან მოძრაობისას სხეულის
უაღრეს სწორხაზოვნებას ინარჩუნებდა და
ყოველ ჯერზე, ხარის რქებს სხეულთან ახ-
ლოს გაელვების საშუალებას მშვიდად და
აუღელვებლად აძლევდა"). მისტერ ჰემინ-
გუეის სიტყვები, თუ ჰერიფრაზს მივმარ-
თავთ, ზოგჯერ ნამდვილ ემოციებს ბა-
დებს, რადგან იგი მოძრაობისას სხეულის
უაღრეს სწორხაზოვნებას ინარჩუნებს და
ყოველ ჯერზე, ხარის რქებს სხეულთან ახ-
ლოს ჩაელვების საშუალებას (რაც სინამ-
დვილე, ფაქტი, რეალობაა) მშვიდად და
აუღელვებლად აძლევს, მაგრამ აქ სიყალ-
ბეცაა, რაც ყველაფერს სისაძაგლედ გარ-
დაქმნის და უსიამოვნო განცდებს იწვევს –
განცდებს, რომელთაც დროთა განმავლო-
ბაში პირისპირ ვეჯახებით.

აქ კი, უდავოდ, მოხერხებულად შეგ-
ვიძლია მოვკალათდეთ და ჩვენს კრიტი-
კულ აზროვნებაში აქამდე შექმნილი მო-
საზრებები შევაჯამოთ. მისტერ ჰემინგუეი,
ცხოვრების განსხვავებული კუთხით და-
ნახვის თვალსაზრისით, მოწინავე ავტორი
არ გახლავთ. რასაც ის ხედავს, სავსებით
ნაცნობი სცენაა. წინა პლანზე უმეტესწი-
ლად ჩვეულ საგნებს წამოსწევს: ლუდის
ბოთლსა თუ უურნალისტის ფიგურას, მაგ-
რამ, იგი ამავდროულად გამოცდილი და კე-
თილსინდისიერი მნერალია. მიზანი აქვს და
მისკენ შიშისა და უხვისიტყვაობის გარეშე
მიისწრაფვის. ამიტომ მისტერ ჰემინგუეის
საზომი სხვათა შესაფასებლად უნდა გამო-
ვიყენოთ და არა მხოლოდ მისეული ფორ-
მის ხაზგასასმელად, მიუხედავად იმისა,
რომ ეს ეფემერული ფორმის გაურკვევე-
ლი მასა, უმეტესწილად, ჩალითაა გატენი-
ლი. უხალისოდ მივდივართ ამ დასკვნამდე,
რადგან შეფასების ეს პროცესი, კრიტიკო-
სის ამოცანებს შორის, ყველაზე რთულია.
კრიტიკოსი ვალდებულია გადაწყვიტოს, რა
არის იმ წიგნის გამორჩული მახასიათებლე-

ბი, რომლის კითხვაც ახლახან დაასრულა; ზუსტად გაარჩიოს, რა სახისაა ისინი და შემდეგ, მათი ნაკლოვანების ან ადეკვატურობის დასადგენად, იმ ნიმუშს დაუპირისპიროს, რომელიც შესადარებლად შეარჩია.

„აღმოხდების მზის“ გახსენებისას გონებაში მხოლოდ კონკრეტული სცენები აღმოხდება: ხარების ორთაბრძოლა, ინგლისელის ხასიათი, ჰარისი; მცირე პეიზაჟი, რომელიც ადამიანთა უკან ბუნებრივად ფორმირდება; გრძელი, მოხდენილი ფრაზა, რომელიც სიტუაციას ნატყორცნი მათრახივით გარს ევლება. ეს ფრაზა დროდადრო ჩინებულად გამოჰკვეთს პერსონაჟს, უფრო ხშირად კი სცენას. პერსონაჟის შესახებ ძალიან ცოტა რამ რჩება მარტივად ასახსნელი. ჰემინგუეის ადამიანებს ნამდვილად რაღაც ემართებათ. თუ მათ ჩეხოვის პერსონაჟებს დავუპირისპირებთ (არც ისე კარგი შედარებაა), ისინი ფიცარივით ბრტყელნი აღმოჩნდებიან; თუ მოპასანისას (შედარება გაცილებით უკეთესია), დაუმუშავებელ ფოტოსურათებს დაემსგავსებიან, მაგრამ, თუკი ნამდვილ ადამიანებს დავუპირისპირებთ (ამგვარი შედარება შესაძლოა უკანონოც კია), არარეალურნი მოგვეჩენებიან. ეს ადამიანები სწორედ ისინი გახლავთ, ვინც კაფეებში ყოყლოჩინობენ, სწრაფად, უმაღლესი დონის სლენგით მეტყველებენ, რადგან სლენგი ბრძოს ენაა; დაძაბულნი არ არიან და მაინც, თუკი ჩრდილში დავდგებით და ცოტა ხნით ჩუმად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ არათუ თავისუფალნი არამედ საკუთარი არსებობით აუტანლად შეშინებულნი არიან, იმდენად, რომ ბუნებრივი ხმით საუბარი ყველაზე მარტივ თემებზეც კი არ შეუძლიათ. ამგვარად, როგორც ჩანს, ის, რაც ყველაზე ყალბია, თავად პერსონაჟია. მისტერ ჰემინგუეი ხარის ფერდებს ეტანება, რაკილა მისთვის რქებში წავლება ვერ მოუხერხებია.

მისტერ ჰემინგუეის პირველი რომანის შემამზადებელი კვლევის შემდგომ, შეგვიძლია მის მეორე წიგნზე გადავიდეთ, რომელიც ერთგვარად ცრურნმენების მატარე-

ბელია: „მამაკაცები ქალების გარეშე“¹ მაქანიური მნერლის ნიჭი შესაძლოა, სრულიად განსხვავებული მიმართულებით განვითარდეს; გაღრმავდეს და გაიფურჩქნოს. ავტორს სულ ცოტა დრო სჭირდება საიმისოდ, რომ ყველაფერს, განსაკუთრებით კი ადამიანურ ბუნებას ჩასწოდეს და თუ ეს გარკვეული ენერგიისა და ხედვის მსხვერპლად გაღებას გულისხმობს, ლირს კიდეც ჩვენი სიამოვნებისთვის. მეორე მხრივ, მისტერ ჰემინგუეი ნიჭია და ეს ნიჭი შესაძლოა დავიწროვდეს ან გაფართოვდეს. ამ რომანში იგი უფრო და უფრო მეტად ხდება ორი՝ ენტირებული მრავლისმეტყველ სცენებზე; უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგებს, ხოლო თხრობასა და აღნერებს მძიმე ტვირთივით გემის ბორტიდან ისვრის.

ფაქტი, რომ „მამაკაცები ქალების გარეშე“ მოთხრობების კრებულია, გვაფიქრებინებს, რომ მისტერ ჰემინგუეი განვითარების მეორე გზას ირჩევს, მაგრამ, ვიდრე ახალი წიგნის განხილვას შევუდგებოდეთ, უმჯობესია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმაზე, რაც ზოგადად უთქმელია – თავად ნანარმოების სათაურის მნიშვნელობაზე. როგორც გამომცემელი აღნიშნავს: „... რბილი, ქალური ძალა დაკარგულია – ან წრთვნით, ან წესრიგით, ან სიკვდილით, ან დაძაბულობით.“ უნდა გავიგოთ თუ არა ეს სიტყვები იმგვარად, თითქოს ქალებს არც წრთვნა შეეძლოთ, არც წესრიგის დაცვა, არც სიკვდილი და არც სიმძაფრის განცდა, უცნობია, მაგრამ, თუკი ჩვენი მცდელობით კრიტიკოსის აზროვნების პროცესის ჩვენებას ვლამობთ, ვალიაროთ ერთი უდავო ჭეშმარიტება, რომ სქესის ნებისმიერი ფორმით გამოკვეთა, სახიფათოა. უთხარით მამაკაცს, რომ წიგნი ქალს, რომ წიგნი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი და თამაშში მაშინვე შემოიტანთ სიყვარულსა და სიძულვილს, რომელთაც არაფერი ექნებათ საერთო ხელოვნებასთან. დიდ მნერლებს სქესის ხაზგაზმა, ამა თუ იმ ფორმით, არ სჩვევიათ. მათი კითხვისას კრიტიკოსს



ავინწყდება, თავად რომელი სქესის წარმომადგენელია. მაგრამ ჩვენს დროში, სექსუალური აშლილობის წყალობით, სქესობრივი ცნობიერება ძლიერია და საკუთარ თავს ლიტერატურაში გადაჭარბებულადაც კი ასახავს, იმ სქესობრივი მახასიათებლების წინააღმდეგობრიობას გვიჩვენებს, რომელიც ორივე შემთხვევაში უსიამოვნოა. მისტერ ლორენსმა, მისტერ დუგლასმა და მისტერ ჯონსმა საკუთარი, გათვითცნობიერებული მამაკაცურობის გამოფენით, წიგნი, ქალ მკითხველთათვის წანილობრივ გააფუჭეს. მისტერ ჰემინგუეი კი, მართალია ნაკლებ უხეშად, მაგრამ ბაძავს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და არა აქვს მნიშვნელობა ქალები ვიქებით თუ მამაკაცები, ურთიერთგავლენის აღიარება, ფაქტების პირისპირ ყურება და იმედის ქონაა, რომ გარეგნობის მიღმა დანახვას ვისწავლით.

მოდით, მსჯელობა განვაგრძოთ და ვალიაროთ, რომ მოთხრობები, რომლებსაც წიგნი „მამაკაცები ქალების გარეშე“ აერთიანებს, უმეტესწილად ფრანგული და არა რუსული მოთხრობების სტილითაა დაწრილი. ფრანგი დიდოსტატები, მერიმე და მოპასანი, იმდენადვე შეკრულ და თვითცნობიერ ამბებს ჰყვებიან, რამდენადაც ეს შესაძლებელია; არაფერს სტოვებენ ყულფზე ჩამოკიდებულს და მართლაც, მოთხრობებში ყველაფერი იმდენად შეკრულია, რომ, როცა ბოლო გვერდის ბოლო წინადადება იფეთქებს, როგორც ეს ხშირად ხდება, მისი სინათლე მთელი მოთხრობის მნიშვნელობასა და კონტურს გამოჰკვეთს. ჩეხოვის მეთოდი, რასაკვირველია, სრულიად საპირისპიროა. ჩეხოვთან ყველაფერი დანისლული და ბუნდოვანია; ფართოდ გაშლილია და არა მჭიდროდ შეკრული. სიუჟეტები, მხედველობიდან ზაფხულის ღრუბელივით ნელ-ნელა იკარგებიან და გონებაში იმ მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ, რომელიც თანდათან უჩინარდება. ვის შეუძლია თქვას, რომელია უპირატესი ამორ მეთოდთაგან? ნებისმიერ შემთხვევაში, მისტერ ჰემინგუეი, ფრანგ დიდოსტატია

სკოლაშია ჩარიცხული და მათ სწავლებას საკმაო წარმატებით იყენებს.

წიგნში „მამაკაცები ქალების გარეშე“ არაერთი მოთხრობაა ისეთი, რომლებსაც მეორე სიცოცხლე რომ გვეძლეოდეს, კვლავ სიამოვნებით წავიკითხავდით. მათი უმრავლესობა ისეთი მწყობრი, ნაყოფიერი და ყოველივე ზედმეტისგან იმდენად დაცლილია, გვიკვირს, რატომ არ სტოვებენ უფრო ღრმა კვალს ჩვენს გონებაზე, თუნდაც მეიჯორის გულისშემძვრელი ისტორია ავიღოთ, ვისი ცოლიც „სხვა ქვეყანაში“ გარდაიცვლება; ან მატარებლის ვაგონში დაწყებული საუბრების ცინიკური შემთხვევები – „კანარის ჩიტის“; „დაუმარცხებლის“ და „ორმოცდაათი ათასის“ მზგავსი მოთხრობები, რომლებიც ბოქსისა და ხართა ორთაბრძოლების თანმხლები ამორალურობითა და გმირობითაა სავსე – თითოეული მათგანი გამქირდავი, ბობოქარი, დაძაბული და მძაფრი ამბავია და თუ მკითხველს ჯერ კიდევ არ მოუხმია ჩეხოვის, მალარმესა და მოპასანის აჩრდილები, უეჭველად გამოიხმობს. ასე ხდება ხოლმე, მკითხველი ყოველთვის რაღაცას ეძებს, ვერ პოულობს, კვლავ ძველ, ნაცნობ ჩვეულებას უბრუნდება, დახლზე აკაკუნებს და კითხულობს: რა მოხდა?

არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოთხრობების კრებული, რომანივით სილრმისეული და ყოვლისმომცველი საკითხავი არაა. შესაძლოა, ამგვარ მოლოდინს, დიალოგების გადაჭარბებული გამოყენება განაპირობებს. მისტერ ჰემინგუეის შემთხვევაში კი ნამდვილად ასეა. მნერალი ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს დიალოგებს, რადგან ისინი მკითხველის ყურადღებაზე ყველაზე ძალადობრივად მოქმედებენ. მკითხველმა პერსონაჟებს უნდა მოუსმინოს, დაინახოს, მათი ზუსტი ტონი იგრძნოს და ის ფონი შეავსოს, რომელზეც ისინი ავტორის დახმარების გარეშე მეტყველებენ. როცა გამოგონილ ადამიანებს საუბრის უფლება ეძლევათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ძალზე მნიშვნელოვანი რამ აქვთ სათქმელი, რაც

თავისთავად აღძრავს მკითხველს, გააკეთოს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ქმნადობის პროცესის უბრალო თანამონაწილეობა. მისტერ ჰემინგუეი კი გამუდმებით დიალოგების ქარცეცხლში გვამყოფებს; მისი პერსონაჟები, უმეტესწილად იმას ამბობენ, რისი თქმაც მათ შესახებ ავტორს გაცილებით მოკლედ შეეძლო. ამიტომ დასასრულს ისეთი განწყობა გვეუფლება, როგორც მოთხოვთ – „თეთრი სპილოს მსგავსი მთების“ – პატარა გოგონას, რომელიც ყვირის: „გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, შეგიძლიათ საუბარი შეწყვიტოთ?“

დიალოგების ამგვარმა სიჭარბემ, შესაძლოა, კიდევ ერთ შეცდომამდე მიგვიყვანოს, რაც ჩვეულებრივ, კვალში უდგას მოთხოვთ ავტორს – პროპორციების რღვევამდე. ერთი ზედმეტი აბზაციც კი, რომელიც შორდება მთავარ აზრს, იმდენად ამრუდებს ამ პატარა ქმნილებას და იმდენად ბუნდოვან ეფექტს იწვევს, რომ მკითხველს თავგზას უბნევს. ორივე შეცდომას – მიღრეკილებას რომ გვერდები უსარგებლო დიალოგებით წალეკოს და გამოკვეთილი, ერთიანი მნიშვნელობა უკუაგდოს, რომლითაც მოთხოვთას შეკრავს – გაცილებით საფუძვლიანი ფაქტი განაპირობებს, რომ მართალია, მისტერ ჰემინგუეი ბრნყინვალე და უზადო დიდოსტატია, მაგრამ იგი მაინც უფლებას აძლევს საკუთარ

ოსტატობას, მატაროდის წითელი ნაჭრის მზგავსად, ჩადგეს ავტორსა და ფაქტს შორის. სინამდვილეში, მოთხოვთ ნერას ძალზე ბევრი საერთო აქვს კორიდასთან. მატადორი კორპსაძრობივით იკლაკლნება, სხეულს გრეხს, რათა მაყურებელი დაარწმუნოს, რომ უდიდეს რისკზე მიდის და საოცრად მამაცია, მაგრამ ნამდვილი მწერალი ყოველ ჯერზე, უფლებას აძლევს ხარის რქებს – ცხოვრებას, ჭეშმარიტებას თუ რეალობას, რაც გნებავთ, ის უნიდეტ – სხეულთან ძალზე ახლოს გაუელვოს.

მისტერ ჰემინგუეი გამბედავია. იგი გულწრფელია; უალრესად დახელოვნებულია. სიტყვებს ზუსტად იქ რგავს, სადაც მოესურვება. შიშველი და აღმგზნები სილამაზის წამებს ჰქმის. სტილით მოდერნისტია, მაგრამ არა ხედვით. გათვითცნობიერებულად მამაკაცურია. მისი ნიჭი არა თუ ფართოვდება, არამედ იკუმშება. მისი მოთხოვთ, რომანებთან შედარებით, მშრალი და უნაყოფოა. ასე რომ, ჩვენ ის შევაჯამეთ. მის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრი, ის ინსტინქტები და მცდარი დასკვნები გამოვკვეთეთ, რომლისგანაც ვქმნით იმას, რასაც სიამოვნებით ვუნიდებთ კრიტიკის მასალას.

**ინგლისურიდან თარგმნა
ქეთევან გახოკიამ**



ავინყდება, თავად რომელი სქესის წარმომადგენელია. მაგრამ ჩვენს დროში, სექსუალური აშლილობის წყალობით, სქესობრივი ცნობიერება ძლიერია და საკუთარ თავს ლიტერატურაში გადაჭარბებულადაც კი ასახავს, იმ სქესობრივი მახასიათებლების წინააღმდეგობრიობას გვიჩვენებს, რომელიც ორივე შემთხვევაში უსიამოვნოა. მისტერ ლორენსმა, მისტერ დუგლასმა და მისტერ ჯონისმა საკუთარი, გათვითცნობიერებული მამაკაცურობის გამოფენით, წიგნი, ქალ მკითხველთათვის ნაწილობრივ გააფუჭეს. მისტერ ჰემინგუეი კი, მართალია ნაკლებ უხეშად, მაგრამ ბაძავს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და არა აქვს მნიშვნელობა ქალები ვიქენებით თუ მამაკაცები, ურთიერთგავლენის აღიარება, ფაქტების პირისპირ ყურება და იმედის ქონაა, რომ გარეგნობის მიღმა დანახვას ვისწავლით.

მოდით, მსჯელობა განვაგრძოთ და ვალიაროთ, რომ მოთხრობები, რომლებსაც წიგნი „მამაკაცები ქალების გარეშე“ აერთიანებს, უმეტესწილად ფრანგული და არა რუსული მოთხრობების სტილითაა დაწერილი. ფრანგი დიდოსტატები, მერიმე და მოპასანი, იმდენადვე შეკრულ და თვითცნობიერ ამბებს ჰყვებიან, რამდენადაც ეს შესაძლებელია; არაფერს სტოვებენ ყულფზე ჩამოკიდებულს და მართლაც, მოთხრობებში ყველაფერი იმდენად შეკრულია, რომ, როცა ბოლო გვერდის ბოლო წინადადება იფეთქებს, როგორც ეს ხშირად ხდება, მისი სინათლე მთელი მოთხრობის მნიშვნელობასა და კონტურს გამოჰყვეთს. ჩეხოვის მეთოდი, რასაკვირველია, სრულიად საპირისპიროა. ჩეხოვთან ყველაფერი დანისლული და ბუნდოვანია; ფართოდ გაშლილია და არა მჭიდროდ შეკრული. სიუჟეტები, მხედველობიდან ზაფხულის ღრუბელივით ნელ-ნელა იკარგებიან და გონებაში იმ მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ, რომელიც თანდათან უჩინარდება. ვის შეუძლია თქვას, რომელია უპირატესი ამორ მეთოდთაგან? ნებისმიერ შემთხვევაში, მისტერ ჰემინგუეი, ფრანგ დიდოსტატია

სკოლაშია ჩარიცხული და მათ სწავლებას საკმაო წარმატებით იყენებს.

წიგნში „მამაკაცები ქალების გარეშე“ არაერთი მოთხრობაა ისეთი, რომლებსაც მეორე სიცოცხლე რომ გვეძლეოდეს, კვლავ სიამოვნებით წავიკითხავდით. მათი უმრავლესობა ისეთი მწყობრი, ნაყოფიერი და ყოველივე ზედმეტისგან იმდენად დაცლილია, გვიკვირს, რატომ არ სტოვებენ უფრო ღრმა კვალს ჩვენს გონებაზე, თუნდაც მეიჯორის გულისშემძვრელი ისტორია ავიღოთ, ვისი ცოლიც „სხვა ქვეყანაში“ გარდაიცვლება; ან მატარებლის ვაგონში დაწყებული საუბრების ცინიკური შემთხვევები – „კანარის ჩიტის“; „დაუმარცხებლის“ და „ორმოცდაათი ათასის“ მზგავსი მოთხრობები, რომლებიც ბოქსისა და ხართა ორთაბრძოლების თანმხლები ამორალურობითა და გმირობითაა სავსე – თითოეული მათგანი გამქირდავი, ბობოქარი, დაძაბული და მძაფრი ამბავია და თუ მკითხველს ჯერ კიდევ არ მოუხმია ჩეხოვის, მალარმესა და მოპასანის აჩრდილები, უეჭველად გამოიხმობს. ასე ხდება ხოლმე, მკითხველი ყოველთვის რაღაცას ეძებს, ვერ პოულობს, კვლავ ძველ, ნაცნობ ჩვეულებას უბრუნდება, დახლზე აკაკუნებს და კითხულობს: რა მოხდა?

არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოთხრობების კრებული, რომანივით სიღრმისეული და ყოვლისმომცველი საკითხავი არაა. შესაძლოა, ამგვარ მოლოდინს, დიალოგების გადაჭარბებული გამოყენება განაპირობებს. მისტერ ჰემინგუეის შემთხვევაში კი ნამდვილად ასეა. მწერალი ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს დიალოგებს, რადგან ისინი მკითხველის ყურადღებაზე ყველაზე ძალადობრივად მოქმედებენ. მკითხველმა ჰერსონაჟებს უნდა მოუსმინოს, დაინახოს, მათი ზუსტი ტონი იგრძნოს და ის ფონი შეავსოს, რომელზეც ისინი ავტორის დახმარების გარეშე მეტყველებენ. როცა გამოგონილ ადამიანებს საუბრის უფლება ეძლევათ, ეს იმას წინავს, რომ მათ ძალზე მნიშვნელოვანი რამ აქვთ სათქმელი, რაც

თავისთავად აღძრავს მკითხველს, გააკეთოს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ქმნადობის პროცესის უბრალო თანამონაწილეობაა. მისტერ ჰემინგუეი კი გამუდმებით დიალოგების ქარცეცხლში გვამყოფებს; მისი პერსონაჟები, უმეტესწილად იმას ამბობენ, რისი თქმაც მათ შესახებ ავტორს გაცილებით მოკლედ შეეძლო. ამიტომ დასასრულს ისეთი განწყობა გვეუფლება, როგორც მოთხრობის – „თეთრი სპილოს მსგავსი მთების“ – პატარა გოგონას, რომელიც ყვირის: „გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ, შეგიძლიათ საუბარი შენწყიტოთ?“

დიალოგების ამგვარმა სიჭარბემ, შესაძლოა, კიდევ ერთ შეცდომამდე მიგვიყვანოს, რაც ჩვეულებრივ, კვალში უდგას მოთხრობების ავტორს – პროპორციების რღვევამდე. ერთი ზედმეტი აბზაციც კი, რომელიც შორდება მთავარ აზრს, იმდენად ამრუდებს ამ პატარა ქმნილებას და იმდენად ბუნდოვან ეფექტს იწვევს, რომ მკითხველს თავგზას უბნევს. ორივე შეცდომას – მიღრეკილებას რომ გვერდები უსარგებლო დიალოგებით წალეკოს და გამოკვეთილი, ერთიანი მნიშვნელობა უკუაგდოს, რომლითაც მოთხრობას შეკრავს – გაცილებით საფუძვლიანი ფაქტი განაპირობებს, რომ მართალია, მისტერ ჰემინგუეი ბრნწინვალე და უზადო დიდოსტატია, მაგრამ იგი მაინც უფლებას აძლევს საკუთარ

ოსტატობას, მატაროდის წითელი ნაჭრის მზგავსად, ჩადგეს ავტორსა და ფაქტს შორის. სინამდვილეში, მოთხრობების წერას ძალზე ბევრი საერთო აქვს კორიდასთან. მატადორი კორპსაძრობივით იკლაკლნება, სხეულს გრეხს, რათა მაყურებელი დაარწმუნოს, რომ უდიდეს რისკზე მიდის და საოცრად მამაცია, მაგრამ ნამდვილი მწერალი ყოველ ჯერზე, უფლებას აძლევს ხარის რქებს – ცხოვრებას, ჭეშმარიტებას თუ რეალობას, რაც გნებავთ, ის უნოდეთ – სხეულთან ძალზე ახლოს გაუელვოს.

მისტერ ჰემინგუეი გამბედავია. იგი გულწრფელია; უაღრესად დახელოვნებულია. სიტყვებს ზუსტად იქ რგავს, სადაც მოესურვება. შიშველი და აღმგზნები სილამაზის ნამებს ჰქმის. სტილით მოდერნისტია, მაგრამ არა ხედვით. გათვითცნობიერებულად მამაკაცურია. მისი ნიჭი არათუ ფართოვდება, არამედ იკუმშება. მისი მოთხრობები, რომანებთან შედარებით, მშრალი და უნაყოფოა. ასე რომ, ჩვენ ის შევაჯამეთ. მის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრი, ის ინსტინქტები და მცდარი დასკვნები გამოვკვეთეთ, რომლისგანაც ვქმნით იმას, რასაც სიამოვნებით ვუნოდებთ კრიტიკის მასალას.

**ინგლისურიდან თარგმნა
ქეთევან გახოკიამ**



ლუდმილა ულიცკაია

ისინი ცხოვრობდნენ დიღხანს...

იმდენად დიდი ხნის წინ მოხუც-დნენ, რომ სამოცი წლის ქალიშვილებს – ანასტასიასა და ალექსანდრას მშობლების ახალგაზრდობა თითქმის არ ახსოვდათ. ხანგრძლივი ცხოვრებისას დაელუპათ ყველა ნათესავი, მეგობარი, მეზობელი – გაქრნენ სახლები, ქუჩები, ქალაქებიც კი, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მათ გადაიტანეს ორი რევოლუცია, სამი ომი, უთვალავი მწუხარება და გაჭირვება. ისინი კი, გარდაცვლილებისგან განსხვავებით, წლების მატებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ.

ნიკოლაი აფანასევიჩი და ვერა ალექსანდროვნა მარადიული ცხოვრებისაკენ თავისებურად მიდიოდნენ: ქმარი იძენდა ხის სიმტკიცესა და ყვავის გარეგნობას – დიდცხვირასი, რომელიც კისერს ვერ ამოძრავებს. კანი მთლად გამოუშრა, ხელები და ჭანი წინიბურასფერი ლაქებით დაეფარა. ქერა კაცი მუქსახიან, მუყაოსფერ ბერიკაცად

იქცა მოყავისფრო მელოტი თავით. ცოლი კი კარრარის მარმარილოსავით ბერდებოდა – ცივ სახეზე სითბოსა და სიცოცხლის გამომხატველი მოყვითალო ელფერი და მრისხანე მონუმენტურობა დაჰკრავდა.

ვერა ალექსანდროვნას ექიმები გამუდმებით წონის დაკლებასა და დიეტის დაცვას ურჩევდნენ – ორმოცდაათი წლის წინათ კვების ინსტიტუტშიც კი დაწვა, პროფესორ პევზნერთან, თუმცა სამოცდაათი წლის რომ გახდა ექიმები წონაზე აღარ ესაუბრებოდნენ. ის ყოველთვის ისე ჭამდა, როგორც საჭიროდ თვლიდა. ვერა ალექსანდროვნას კვების განრიგი მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული – საუზმე, სადილი, ვახშამი და არავითარი ბუტერბოდები. მთავარია სურსათი ხარისხიანი, კერძი კი ახალი მომზადებული ყოფილიყო.

შიმშილობის წლებში, ქალი სადილის მენიუს შედგენისას დიდ გამოგონებლობას იჩენდა, არადა ძირითადი პრო-

დუქტი ხორბალი და კარტოფილი იყო. ნიკოლაი აფანასევიჩი სახელმწიფოსგან სურსათს იღებდა, რადგან მოსკოვის უძველეს ინსტიტუტში ყველა ინჟინრისათვის საჭირო საგანს – „მასალათა გამძლეობას“ ასწავლიდა.

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის წლები, როდესაც ვერა ალექსანდროვნა საკუთარი ხელით რეცხავდა, ასუფთავებდა, ხარშავდა... ამ საქმეს ახლა უკვე ქალიშვილები აკეთებდნენ. ისინი მრავალწლიანი უნაყოფო ქორნინების შემდეგ, ყოველგვარი სამედიცინო პროგნოზების საწინააღმდეგოდ დაიბადნენ, იმ დროს, როდესაც ვერა ალექსანდროვნას უშვილობაზე გული აღარ სწყდებოდა და ამაში რაღაც უპირატესობასაც კი ხედავდა. აქამდე ქალი დიასახლისის ცხოვრებით ცხოვრობდა. მუშაობას კი არ გაურბოდა, არამედ სამსახურში მოწყობისას ანკეტის შევსებას არიდებდა თავს. ვერა ალექსანდროვნას თავადური გვარი თითოეული რუსისთვის ისტორიის სახელმძღვანელოებიდან და ქუჩების დასახელებებიდან იყო ცნობილი. ნიკოლაი აფანასევიჩი, მიუხედავად მისი არისტოკრატული გარეგნობისა, ტამბოველი გლეხი იყო. მამამისი იმპერიალისტურომში დაიღუპა, რამაც ოჯახი დევნისგან იხსნა. აფანასევიჩი ფრთხილი კაცი იყო, ამასთან ერთად ეშმაკიც, მთელი ცხოვრება თავს იკატუნებდა, თითქოს ცუდად ესმოდა. სამსახურში ახირებულ კაცად იცნობდნენ, მაგრამ ბრწყინვალე სპეციალისტი იყო. სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისას ყველა ნაგებობის გაანგარიშება, როგორც წესი, შესამოწმებლად მასთან იგზავნებოდა. ის კარგი თეორეტიკოსი იყო, პრაქტიკულ საქმიანობაში კი ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა.

მეუღლეებს შორის სრული ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევდა. ვერა ალექსანდროვნას გაკეთებული საქმეები ქმრის ხელნერის მსგავსი იყო:

სიზუსტე, გულმოდგინება, სიძულვილი ნებისმიერი მიმპარველობისადმი.

მეოჯახეობასა და ხელსაქმეობას ვერა ალექსანდროვნა გოგონებს საგულდაგულოდ ასწავლიდა, თუმცა, აბა ვის აინტერესებდა ნაჩვრეტებიანი გვირისტის გაკეთება, სახლის პირობებში ფეტრის ქუდის გასუფთავება და პირველი ხარისხის ფქვილით საუკეთესო შუს გამოცხობა... რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ემატებოდა ის საგნები ალექსანდრა და ანასტასია საბჭოთა სკოლაში რომ სწავლობდნენ. ევაკუაციისას, ქალაქ კუიბიშევში სამი წელი ცხოვრობდნენ და გოგონები დედას დღეობებზე და გასართობად კი არ დაჰყვებოდნენ, ვედროებითა და ბიდონებით წყალს ეზიდებოდნენ. ზამთარში წყალსადენში წყალი ხშირად იყინებოდა და ქალაქის წყალმომარაგება ფერხდებოდა.

ადრეული ბავშვობიდანვე, ნახევრად არისტოკრატი გოგონები, რაღაც ერთგვარი შიზოფრენიით იყვნენ შეპყრობილნი – თანატოლები დებთან არ მეგობრობდნენ და არც ტყუპები იწუხებდნენ თავს მათთან საერთო ენის გამონახვით. ამ დანაკარგს კი იმ საოცარი ურთიერთობით ინაზღაურებდნენ მხოლოდ ტყუპებს რომ ახასიათებთ. დედა მკაცრი და მომთხოვნი იყო, მამას კი იშვიათად ხედავდნენ, რადგან გამოსასვლელი და სადლესასწაულო დღეების ჩათვლით თავდაუზოგავად მუშაობდა. მამასთან ორივე მოკრძალებული იყო, დედისა კი ეშინოდათ და მშობლები ერთგვარი მონური სიყვარულით უყვარდათ.

ნიჭიერმა გოგონებმა, თხუთმეტი წლის ასაკში, მანდილოსნებისათვის აუცილებელი ჩვევები აითვისეს ფრანგული ენის ჩათვლით, რომელიც დედამ შეძლებისდაგვარად შეასწავლათ. სკოლაში წარჩინებით სწავლობდნენ, მაგრამ ვერა ალექსანდროვნამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ უმაღლესი განათლება საჭირო არ იყო – უმაღლესი



განათლება არც მას ჰქონია. როდესაც ვერა ალექსანდროვნამ ეს ქმარს აცნობა, კაცი არ დაეთანხმა. ცხოვრებაში პირველად, მეუღლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, რომელიც მაღლევე მოგვარდა. ნიკოლაი აფანასევიჩი მიეჩვია, რაც მის პროფესიულ საქმიანობას არ ეხებოდა, ყველაფერი მეუღლისთვის მიენდო. ცოლი კი თვლიდა, გოგონები თუნდაც მედდის ან ბიბლიოთეკარის პროფესიას რომ დაუფლებოდნენ და ცოლად წესიერ ადამიანებს გაჰყოლოდნენ, ცხოვრებას ლირსეულად გალევდნენ. გარდა ამისა, ვერა ალექსანდროვნას ყურადღების მიპყრობის შიში ჰქონდა. თავის დროზე ნიკოლაი აფანასევიჩს დანინაურება შესთავაზეს, მაგრამ ცოლმა გადააფიქრებინა და შესაძლოა, ამით, არა მარტო ქმრის სიცოცხლე, არამედ მთელი ოჯახი გადაარჩინა...

— მედდა კარგი პროფესიაა. ყველა დროს საჭიროა, ლუკმა პურის გარეშე არ დარჩებიან. ნიკოლაი, არ დაივინყო, რომ ჩვენი გოგონები არაჩვეულებრივი დიასახლისები არიან, — ვერა ალექსანდროვნა ამას სიამაყით ამბობდა. — ჩვენ ვბერდებით, მედდები კი სახლში გვეყოლებიან...

— იქნებ სამედიცინო ინსტიტუტში უკეთესი იყოს? — ბოლოჯერ გაიბრძოლა ნიკოლაი აფანასევიჩმა.

— არა, არა, ძალიან მძიმე პროფესიაა, — მოკლედ მოუჭრა ვერა ალექსანდროვნამ. ნიკოლაი აფანასევიჩი, რომელიც სტუდენტებისგან აზრის სიცხადესა და მსჯელობისას ლოგიკურ თანამიმდევრობას ითხოვდა დადუმდა, რადგან მეუღლე ვერა უფრო ძლიერად უყვარდა, ვიდრე სიცხადე და ლოგიკა.

გოგონები, სკოლის დამთავრებისთანავე, მოსკოვის სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხნენ და სამი წლის შემდეგ მედიცინის დეპი გახდნენ — ორივემ წითელი დიპლომი მიიღო... მუშაობა ბოტკინის საავადმყოფოში და-

იწყეს, სადაც პროფესიის კიდევ ერთი ლირსება გამუღავნდა — განყოფილებებში სადღელამისო მორიგეობა იყო და განრიგი შეიძლებოდა ისე შემდგარიყო, რომ ვერა ალექსანდროვნას ერთი ქალიშვილი ყოველთვის ცხვირნინ ჰყოლოდა — მოსაუბრედ, ასევე წვრილმანი დავალებებისთვის, რაც დაკავშირებული იყო საღილის მომზადებასთან, ბინის დალაგებასა და გასეირნებასთან.

რაღაც დროიდან ვერა ალექსანდროვნა შინიდან მარტო აღარ გადიოდა. ტანადს ზამთარში დიდი ქურქი ეცვა, ზაფხულში კი მსუბუქი სამეული. ის მიდიოდა ერთ-ერთ ქალიშვილთან ერთად. გოგონები დედას არც სიმაღლით გამოემსგავსნენ და არც სახით გამოირჩეოდნენ. ქალს ეჭირა ზამშის შავი ან ყავისფერტყავიანი, ან ძველისძველი თეთრი. ჩანთა. ქალიშვილს კი უთუოდ ეკავა კალათა და ბადე-ჩანთა, ბოლო წლებში კი — ცელოფნის პარკი. კალათიდან ამოშვერილი იყო თევზის კუდი ან ჭარხლის ფოჩი, ან რაღაც სანოვაგე. ქალიშვილებს ჩაცმით მუდამ მოკრძალებით ეცვათ — გახამებული თეთრი საყელოები და ნაკეცებიანი ქვედატანი. ტანი გამართულად ეჭირათ და მხრები ძირს ჰქონდათ დაშვებული — არ მოიკუზოთ, არ მოიკუზოთ! — დედა ბავშვობიდანვე აჩვევდათ წელგამართულ სიარულს.

სანამ ქალიშვილებს ოცდაათი წელი შეუსრულდებოდათ, ვერა ალექსანდროვნა მიიჩნევდა, რომ დასაოჯახებლად ძალიან ინფანტილურები იყვნენ; ხოლო როდესაც ოცდაათს გადასცდნენ, იმ აზრამდე მივიდა, რომ ქორწინება მათი საქმე არ იყო. ნიკოლაი აფანასევიჩი ცოლს არასდროს ეპასუხებოდა, წლიდან წლამდე კი ისეთ აზროვნებას მიეჩვია, საკუთარი თავი ვერა ალექსანდროვნა ეგონა. თავის მხრივ, ვერა ალექსანდროვნა მეუღლის თითოეული ჩქამისადმი ისეთი მგრძნობიარე იყო, რომ, სანამ კაცს კუჭის სიმძიმის შეგ-

რძნება შეაწუხებდა და ფერდში მჭვალი დაადგებოდა, ქალიშვილებს გვირილას ჩაის ათი წუთით ადრე აყენებინებდა.

ოთხმოცი წლისას ვერა ალექსანდროვნას დიაბეტი გაუჩნდა და სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელი შაქარს აღარ გაკარებია, რამაც დესერტის მომზადება გაართულა. შაქრის შემცვლელები სითბურ დამუშავებას ვერ უძლებდნენ და ანასტასია და ალექსანდრა საათობით ტრიალებდნენ სანაყინე ჭურჭელთან, რათა ისეთი სასუსნავი გაეკეთებინათ, რომელიც ტკბილიც იქნებოდა და არც დედის ჯანმრთელობას ავნებდა.

იმავე წლებში ნიკოლაი აფანასევიჩს გულის იშემიური დაავადება აღმოჩნდა.

მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქალიშვილები პენსიაზე გასულიყვნენ. პენსიამდე ხუთი წელი აკლდებოდათ, მაგრამ ანასტასიასა და ალექსანდრას ზედმეტი სამუშაო სტაუი ჰქონდათ, რომელიც ოცდაათ წელს უახლოვდებოდა.

ალექსანდრა პენსიაზე გავიდა, ანასტასიამ კი უარი თქვა. ვერა ალექსანდროვნამ ეს ამბოხი ძალიან განიცადა, თუმცა ორმოცდაათი წლის ქალიშვილი თავისაზე ჯიუტად იდგა და ცხოვრებაში პირველად დედის სიტყვა უძლური აღმოჩნდა. ერთადერთი, რასაც მიაღწია – ქალიშვილი საავადმყოფოს განყოფილებიდან პოლიკლინიკის რენტგენის კაბინეტში გადავიდა, სადაც ყოველდღიურად კი დადიოდა, მაგრამ სამუშაო დღე იყო შემცირებული.


ალექსანდრა დედის სურვილს წინ ვერ აღუდგა. ანასტასიას პროტესტი კი ნამდვილი რევოლუცია იყო მის სულში გრძნობათა ქარიშხალი რომ გამოიწვია. მთელი ცხოვრება ნებაყოფლობით მორჩილებაში იცხოვრეს და დები თითქმის ერთ ორგანიზმად თუ მექანიზმად იქცნენ. ტყუპისცალი კი ამ აწყობილ

მანქანას ამსხვრევდა.

ანასტასია ყოველ დილით, შვიდ საათზე, ჩანთაში ბუტერბროდებს ჩაილაგებდა და სახლიდან გადიოდა, ალექსანდრა კი ხელსაბანის თავზე დაკიდებულ დოლბანდის პარკს ხსნიდა, რომელშიც დედისთვის გაკეთებული ხაჭო იწურებოდა. მერე მაცივრიდან კვერცხს იღებდა, წყალში ჩაშვებამდე ათბობდა, ორმოცი წუთი შვრიის ფაფას ხარშავდა და დიდი ვერცხლის კოვზით ურევდა. საუზმე რვა საათსა და ოცდაათ წუთზე მიჰევნდა, სადილი – ორზე. სამ საათზე შინ დაბრუნებული ანასტასია, მაშინ, როცა ვერა ალექსანდროვნა ალექსანდრას თანხლებით აუჩქარებლად სეირნობდა, საზიზლარ წვნიანს მარტო ხვრეპდა.

მთელ საღამოს ანასტასია მშობლებს უთმობდა: ამზადებდა ვახშამს, რომელიც ოჯახური ტრადიციით დღის მთავარი სუფრა იყო. იმ დროისთვის ყველა უკვე შინ იყო ხოლმე და შვიდ საათზე მთელი ოჯახი მაგიდასთან იკრიბებოდა. როგორც წესი, ორი კერძი იყო: თევზი და რაიმე მობრანული, როსტბიფი და სუფლე, ან რაიმე ხილის... მენიუს ვერა ალექსანდროვნა ერთი დღით ადრე ადგენდა. ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან სურსათის შონა კვლავ გაძნელდა, მაგრამ ნიკოლაი აფანასევიჩს სურსათით სახელმწიფო უზრუნველყოფდა და შეკვეთილ პროდუქტებს ალექსანდრა ხუთშაბათობით მეორმცე გასტრონომში იღებდა. სამ დღეში ერთხელ მოსკოვის გარეუბნიდან მერძევე ქალი ჩამოდიოდა. ხანდახან ბოსტნეულსაც იმ ქალს უკვეთავდნენ.

მშობლები კარგ ფორმაში იყვნენ. მიუხედავად დიაბეტისა, მკაცრი შეზღუდვებისა და გამუდმებით ნემსის ჩხვლეტისა ვერა ალექსანდროვნამ როგორც იქნა ზედმეტი კილოგრამები დაიკლო. მიუხედავად იმისა, რომ სისუსტეს უჩიოდა, სასეირნოდ ყოველდღიურად გადიოდა, კითხულობდა წიგნებს



და უყურებდა ტელევიზორს. მისი ოთხმოცდაათი წლის იუბილეც იზეიმეს.

ასაკობრივი სირთულეები ნიკოლაი აფანასევიჩს ცუდად გადაჰქონდა, უფრო სიტყვაძვირი გახდა და მხოლოდ ცოლის შეკითხვებს პასუხობდა, მასთან ურთიერთობა კვლავინდებურად სიამოვნებდა. საღამოობით დიდ ოთახში გადიოდა, ამოჩემებულ სავარძელში ჯდებოდა და თვლემდა.

ვერა ალექსანდროვნას ოთხმოცდათხუთმეტი წლისას დიაბეტური განგრენა დაეწყო. ქალიშვილები მალამოებისა და ბალახების საფენებს ადებდნენ, მაგრამ სიშავე ზევით მოცოცავდა. ბოლოს პოლიკლინიკიდან მოსულმა ქირურგმა განაცხადა, რომ სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი შანსი ფეხის ამპუტაციაა.

დედა საავადმყოფოში გადაიყვანეს. ანასტასია სამსახურიდან სასწრაფოდ გათავისუფლდა და დედის პალატაში დასახლდა. ოპერაციის წინა საღამოს ვერა ალექსანდროვნამ უბრალოდ და პირდაპირ თქვა:

- მაპატიეთ, რომ მთელი ცხოვრება ჩვენს წარმომავლობას ვმალავდი,
- დედამ თავადური გვარი დაასახელა, რასაც ანასტასიაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია:
- რას ამბობ, ამას ვინ იფიქრებდა...

ვერა ალექსანდროვნა საავადმყოფოში პირველად იწვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამშობიარო სახლს, სადაც სამოც წელზე მეტი წელი წინა შეკვერილ თოფრაკში გაახვია. ანასტასია კი დედას გვერდიდან არ სცილდებოდა.

ალექსანდრამ მამა დააპურა და დედასა და დას საავადმყოფოში სადილი წაულო, რომელიც ძველი კოფორისგან შეკერილ თოფრაკში გაახვია. ანასტასია კი დედას გვერდიდან არ სცილდებოდა.

ნიკოლაი აფანასევიჩი ადგილს ვერ პოულობდა. ვერა ალექსანდროვნას არყოფნაში მთლად მოიშალა, კუთხიდან კუთხეში დააბიჯებდა და ავინყდებოდა, სად და რისთვის მიდიოდა. მე-

ბოდა, სად და რისთვის მიდიოდა. რე იღლებოდა, სავარძელში ჯდებოდა, ათი წუთით ჩათვლემილი ისევ ფეხზე დგებოდა და ისე წრიალებდა, თითქოს, რაღაცას ეძებდა...

ვერა ალექსანდროვნა ოპერაციიდან მეათე დღეს დაიღუპა. შესაძლოა, ინფექცია შეეჭრა, ანდა ოპერაცია ვერ გადაიტანა, მაგრამ მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ღვთისგან ბოძებულ ასაკს გადააბიჯა.

დები სახლში უხმოდ ბრუნდებოდნენ. ჩანთაში ელაგათ დედის ნივთები: ტოლჩა, ფლანელის ზედატანი, ცხვირსახოცები დედის ინიციალებით, მაკრატელი, თმის სარჭები... სახლიდან წალებული, გაზეთში გახვეული შესადგმელი ღამის ჭურჭელიც თან მიჰქონდათ.

მამა სავარძელში იჯდა და გვერდზე ჩაკიდებული, ყავისფერ შარფში ჩაძირული მელოტი თავი მოუჩანდა. როდესაც ქალიშვილები ოთახში შევიდნენ, შეკრთა.

- ამდენი ხანი სად ხართ... დედა როგორაა?

- ძველებურად.
- ვივახშმოთ, - თქვა მამამ.

ივახშმეს. დებმა დედის სიკვდილი ვერ გაუმხილეს. დუმდნენ. მამამ აბაზანის მომზადება ითხოვა.

მრავალი წელია მოხუცებს დები აბაზავებდნენ. ყველაფერი მოფიქრებული და გათვალისწინებული ჰქონდათ: აბაზანაში ჩასასვლელად სპეციალურ კიბეს ხმარობდნენ, ჩამოსაჯდომად ბალის პლასტმასის სკამს ოთხად მოკეცილ დაძენძილ პირსახოცს აფარებდნენ, ხოლო ბებრული, გაუხეშებული ფრჩხილების დასარბილებლად კი პატარა ტაშტში ცხელ წყალს ასხამდნენ... მან კი უცებ აბაზანაში ჩაწოლა მოითხოვა.

- მამა, ვახშმის შემდეგ აბაზანის მიღება კარგი არაა, - ანასტასია შეეცადა განზრახვაზე ხელი აელებინებინა.

- ალექსანდრა, გამპარსავ და ულვაშებს შემისწორებ! - ბერიკაცს წინა-

აღმდეგობისთვის ყურადღება არ მიუქ-
ცევია. ალექსანდრე აფანასევიჩს ხან
მართლა არაფერი ეყურებოდა, მაგრამ
დროდადრო შესანიშნავად ესმოდა...

— მამა სამი დღის წინ დაგბანეთ, არ
გახსოვს? — ახლა ალექსანდრამ სცადა
მამის დაყოლიება.

ბერიკაცს არაფრის გაგონება არ
სურდა.

— შენთვის აბაზანა სასარგებლო
არაა, იქნებ შხაპი მიიღო? — წამოიყვი-
რა ანასტასიამ.

— ათ წუთში მზად იყოს. შვილო, სა-
პირფარეშომდე მიმაცილე... — თითქოს
არაფერიო, გააგრძელა მამამ.

დებმა ერთმანეთს გადახედეს. ალექ-
სანდრა აბაზანის მოსამზადებლად წა-
ვიდა, ანასტასიამ კი მამა საპირფარე-
შომდე მიიყვანა.

მამა დაბანეს, გაპარსეს, ხელისა და
ფეხის თითებზე ფრჩხილები დააჭრეს,
დაუმოკლეს ულვაში. ყველაფერს მარ-
ჯვედ აკეთებდნენ. მერე ცისფერ-ნაც-
რისფერ ზოლებიანი ახალი პიუამა ჩა-
აცვეს, წამლები დაალევინეს და ორად-
გილიან საწოლში მარცხენა მხრიდან
ჩააწვინეს. მშობლებს მთელი ცხოვრება
ასე ეძინათ — მამას მარცხნივ, დედას
მარჯვნივ.

— წადით, წადით! — ბერიკაცმა ხელი
კარისკენ გაიქნია, მერე ტუმბაზე მოა-
ფათურა, სათვალე მონახა და ხელი კი-
დევ ერთხელ გაიქნია, — აბა, წადით!..

მაგიდასთან დები დიდი ხანი ისხდნენ
და ვერაფრით გადაეწყვიტათ, როგორ
მოქცეულიყვნენ. მამის გაუფრთხილებ-
ლად დედის დაკრძალვა შეუძლებელი
იყო, ხოლო მამისთვის მეუღლის სიკ-
ვდილის გამხელის აუცილებლობა ისე-
თი მტანჯველი და საძნელო, რომ დე-
დის სიკვდილი ლამის გადაავინუდათ.
ისინი ჩუმად, მაგრამ გაცხარებით კა-
მათობდნენ მამისთვის როგორ ეთქვათ
ან საერთოდ ეთქვათ თუ არა და, თუ
ეტყოდნენ, როგორ და როდის... თუმ-
ცა, რამდენ ხანს დაუმალავდნენ...

დაკრძალვის დღე დანიშნული არ
ჰქონდათ. ყველაფრის ორგანიზება იყო
საჭირო, მათ კი ამ საქმისა არაფერი
გაეგებოდათ. სასაფლაოზე ადგილი არ
ჰქონდათ და არც საგვარეულო საფლა-
ვი არსებობდა...

ისინი გვიანობამდე ისხდნენ. ლაპა-
რაკობდნენ, დუმდნენ და ტიროდნენ...
მერე დასაძინებლად პატარა ოთახში
დაწვნენ ისევ საბავშვო რომ ერქვა. ვინ-
რო საწოლებზე ეძინათ, რომლებზედაც
გადაფარებული იყო აქა-იქ დაკემსილი,
თეთრი აბრეშუმის გადასაფარებელი.

დილით ადრე ადგნენ საავადმყოფოს
მორგში რომ წასულიყვნენ და ყველა-
ფერზე მოელაპარაკათ. ალექსანდრას
სალამოს ხაჭოს დაკიდება დაავინუდა
და ახლა ტრადიციული საკვების მომ-
ზადებას ვეღარ მოასწრებდა... დაიბნა
და ფაფის მოსახარშად წავიდა. მამა
ჩვეულებისამებრ რვის ნახევარზე იღ-
ვიძებდა და ახველებდა. ახლა რვას უკ-
ვე თხუთმეტი წუთი აკლდა, ის კი არ
გამოდიოდა.

ალექსანდრამ დააკაკუნა და შევიდა.
მამას ჯერ არ გაეღვიძა და საერთოდაც
ვეღარასოდეს გაიღვიძებდა. დებს აღარ
მოუნევდათ იმაზე ღელვა, თუ როგორ
ეცნობებინათ დედის სიკვდილი. გამო-
სავალი თავადვე გამონახა.

მშობლები შორს, ახალ სასაფლაო-
ზე ერთ დღეს დაკრძალეს, დეკემბრის
პირველი ყინვების დადგომისას.

დაკრძალვაზე, დების გარდა, არა-
ვინ ყოფილა. ანასტასიამ წინადლით მა-
მის ინსტიტუტში დარეკა, მაგრამ რო-
გორლაც მარცხიანად, ვინც ნიკოლაი
აფანასევიჩთან მუშაობდა ხმა ვერავის
მიაწვდინა. მეზობლებს მშობლები არ
იცნობდნენ. ნათესავები კი ამოიხოც-
ნენ... ისინი დიდხანს, იმდენად დიდხანს
ცხოვრობდნენ, რომ საკუთარი სახე-
ლის დავინუებასაც კი მოესწრნენ.

ცარიელ სახლში მშობლებზე ზრუნ-
ვა წარსულს ჩაბარდა. გავიდა რამდე-
ნიმე მტანჯველი, დაუსრულებლად

გრძელი დღე. დები ოთახებში დაბორიალებდნენ და ხელს ვერაფერს ჰქიდებდნენ – ვერც მშობლების, უფრო ზუსტად დედის ოთახში და ვერც მამის კაბინეტში. სალაპარაკოც არაფერი ჰქონდათ. ალექსანდრა სადილს მექანიკურად ამზადებდა, მერე მექანიკურად ჭამდნენ. მტვერს ქათქათა ჩვრით წმენდდნენ. შეაგროვეს და გარეცხეს ლოგინის თეთრეული, მერე გაახამეს, მძიმე უთოთი გააუთოეს და მშობლების საწოლზე გადააფარეს.



როგორც იქნა ალექსანდრამ თავჩაქინდრულმა თქვა:

– იცი, ანასტასია, ვწუხვარ რომ ურნმუნოები ვართ. ეგებ ეკლესიაში წავსულიყავით.

– გინდა და წადი, – მხრები აიჩეჩა ანასტასიამ.

– შეიძლება წავიდე? – თავისი ასწირიამ.

– ახლა ყველაფერი შეიძლება, – გაიცინა ანასტასიამ.

– დედას ეკლესია ასე რატომ სძულდა?

ანასტასიამ დას შეხედა:

– ალექსანდრა, დამავიწყდა მეთქვა, დედამ სიკვდილის წინ თავისი წარმომავლობა გაამხილა. ჩვენ დედის მხრიდან... – და დედის ქალიშვილობის გვარი დაასახელა. – ახლა ხვდები, რატომ

არ გვაქვს არც ერთი ფოტოსურათი, არც ერთი ქალალდის ნაგლეჯი, მათ წარსულის ძალიან ეშინოდათ. ეკლესია კი... არ ვიცი. ერთხელ წამოსცდა, რომ ბავშვობაში ძალიან უყვარდა აღდგომა, მსახურებაზეც დადიოდა. ვფიქრობ, ლმერთზე იყო ნაწყენი.

– რატომ? – გაუკვირდა.

– არ ვიცი...

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და დებს განწყობა გაუუარესდათ.

– ასია, როგორლა უნდა ვიცხოვროთ? – ჩუმად იკითხა ალექსანდრამ.

ანასტასიამ წვნიანით სავსე მათლათა აიღო, გაწვდილი ხელებით ფრთხილად წავიდა და ტუალეტში ჩალვარა.

– კარგად ვიცხოვრებთ, მარტივად ცხოვრებას დავიწყებთ. ჯერ საჭმლის მომზადებას შევეშვათ.

– ეს როგორ? – გაოცდა ალექსანდრა.

– აი ასე, – უპასუხა ანასტასიამ.

მართლაც მარტივად ცხოვრებას შეუდგნენ. გაზის ქურას თავსახური სამუდამოდ დააფარეს და ელექტროჩაიდანი იყიდეს.

მრავალწლიანი სიცარიელის შემდეგ მაღაზიები სურსათით აივსო და ისინი

ყიდულობდნენ ყველს, ძეხვს, უცხოურ პაშტეტებს ქილებში, კონსერვებს, გამზადებულ სალათებს, მაიონეზს, არა ისეთს, საათობით რომ დღვებავდნენ ემალის ქვაბში, არამედ ქარხნულს, არაჯანსალს, ქოლესტერინითა და შაქრით რომ იყო გაძეძგილი.

ალექსანდრა ყავას მიეჩინა, ანასტასია ღვინოს ყიდულობდა და სალამოობით თითო ბოკალს სვამდნენ.

მშობლების გარდაცვალებიდან ნახევარი წელი იყო გასული ანასტასიამ დას საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილი რომ აჩვენა. მან დედის ნათესავები მოძებნა, რომლებმაც რევოლუციისას რუსეთიდან გაქცევა მოახერხეს. აღმოჩნდა, რომ დედას ჰყავდა ტყუპი და ანა, ის პარიზთან, რუსულ პანსიონში ცხოვრობდა. ასევე გამოჩნდნენ დეიდაშვილები, ბიძაშვილები, დისწულები და ძმისწულები, მრავალრიცხოვანი ნათესაობა და დებმა თავიანთი გენეალოგიის გამოკვლევა დაიწყეს და ისე ღრმად შეტოპეს, რომ მომდევნო წლისთვის საზღვარგარეთის პასპორტები აიღეს და ბიძაშვილ ფედორის მიწვევით ნათესავებთან შესახვედრად პარიზში გაემგზავრნენ, თუმცა, დეიდა ანა, დისწულების ჩასვლამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა.

ტყუპები ფოტოსურათებს გულდასმით ათვალიერებდნენ, წინაპრების პორტრეტებიც ნახეს. მათი ბებია ახალგაზრდობაში ფრეილინა ყოფილა და მთელი ცხოვრება დედოფალთან მეგობრობდა. ჩვიდმეტი წლის ზაფხულში ბებია შვილებთან ერთად შვეიცარიაში წავიდა. მხოლოდ ვერა დატოვეს, რადგან გოგონას წითელა შეეყარა და ბავშვები გადამდები სენისგან რომ დაეცვათ უშვილო ნათლიასთან გადაიყვანეს. ისინი გადარჩნენ. ბაბუა კი რევოლუციის დროს მოკლეს.

არავინ იცოდა, როგორ ცხოვრობდა ვერა ალექსანდროვნა ბავშვობისას.


მერე კი ნიკოლაი აფანასევიჩს გადაეყარა... სამაგიეროდ, დებმა შეიტყვეს, როგორ გადაურჩნენ სიკვდილს ოჯახის დანარჩენი წევრები შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში... მთელ მსოფლიოში გაფანტული ნათესავები ახლა ერთად იყრიდნენ თავს, ახლობლებთან შეხვედრით რომ გაეხარათ. დები იმ ძველი კულტურის წარმომადგენლები იყვნენ, რომელსაც კარგა ხანია მოსწყდნენ. როგორი თავანკარა რუსული მეტყველება, როგორი საყვარელი ძველმოდური ფრანგული, როგორი მანერები, როგორი აღზრდა... თავმდაბლობა და ღირსება – დები ნამდვილ რუს არისტოკრატებად მიიჩნიეს.

ორი თვის შემდეგ, ზუსტად გამომგზავრების წინ, ერთმა შორეულმა ნათესავმა, ფირმა „რენოს“ გადამდგარმა ბულალტერმა, ქვრივმა კაცმა ალექსანდრა ნიკოლაევნას ცოლობა შესთავაზა. ქალი დათანხმდა.

ახლა ისინი პარიზის გარეუბანში ცხოვრობენ. ანასტასიაც მათთან დაბინავდა. დების ძველმოდური, დედისგან ნასწავლი, თუმცა დამაჯერებელი ფრანგული სავსებით საკმარისი იყო მოახლესთან, მალაზიის გამყიდველებთან და იმ ნათესავებთან ურთიერთობისთვის, რუსული ენა რომ დაივიწყეს. ვასილი მიხაილოვიჩმა, ალექსანდრას ქმარმა, არც კი იცის რა შესანიშნავი კულინარები არიან მისი ცოლი და ცოლისდა. ჩვეულებრივ, ისინი რესტორანში სადილობენ, მაგრამ დები სენდვიჩს ამჯობინებენ.

გასაკვირი მხოლოდ ერთია, ვასილი მიხაილოვიჩმა ირი ტყუპისცალიდან რატომ ამჯობინა ალექსანდრა... დებს კარგი ჯანმრთელობა აქვთ და შეუძლიათ არაერთი ათეული წელი ახალი ცხოვრებით დატკიბნენ...

რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა



გეორგ თორაკლი

გლეხები

ფანჯრის ნინ ფერობენ მწვანე და წითელი.
 შავ-შავად გაჭვარტლულ, ჭერდაბალ დარბაზში
 ყმა-მოახლეობა სუფრასთან ჭამად ზის;
 პურს ტეხენ და ღვინით ივსება ჭიქები.

შუადლის სიჩუმეს დაარღვევს ხანდახან
 სიტყვა კანტიკუნტად აქა-იქ ნათქვამი.
 ყანები ღელავენ გაბმული ფართქალით,
 ზეცა კი შორია, ტყვიისფრად თახთახა.

ბუხარში დახტიან მანჭია ალები,
 ბზუილით დაფრენენ ბუზები გუნდ-გუნდად.
 მოახლეთ უაზროდ მზერა დაებუნდათ,
 სისხლი ემუქრება საფეთქლებს წალეკვით.

ხან ერთურთს ხვდებიან ხურუში მზერები,
 პირუტყვულ ოხშივარს რომ იგრძნობს ოთახი.
 ისმის ულიმლამოდ ნათქვამი ლოცვა ყმის,
 გარეთ კი მამალი ყივის წამლერებით.

და ისევ მინდვრისკენ. შიშით გულს უნურავთ
 დროდადრო შრიალა თავთავთა გნიასი,
 ცელების სხაპუნით ატეხილ ნიავში
 სულს ლანდი აწვება მძიმედ და უუმურად.

ლამის საჩალოობები

I.

მონაბერ სულის აჩრდილიდან ქვეყნად ვიშობით,
მერე ვიქცევით მიუსაფარ, ობოლ მწირებად,
ჩავიკარგებით სივრცეებში მარადისობის
ვითარცა მსხვერპლი, რომ არც იცის, რას ენირება.

გლახაკთა მსგავსად ვართ მარადის არას მქონელნი,
მაინც სულ ველით ბედის ლიმილს, როგორც
სულელნი.

ბრძებივით დუმილს ვაყურადებთ, დუმილს,
რომელიც
ჩვენი ჩურჩულის გაქარნყლების არის მსურველი.

ვართ მოგზაურნი, გზას ვადგავართ ოლონდ
უმიზნოდ,
კიდევ – ღრუბლები ვართ, ქარისგან მიმოსაფანტი,
ყვავილნი – თრთოლვით რომ ელიან სიკვდილს
სულის მზრობს,
ცელის მოქნევა მოუსწრაფებთ დღეებს სანამდი.

II.

რათა ეს ბოლო სატანჯველიც ალსრულდეს
ჩემს თავს,
არ გიგერიებთ თქვენ, ძალებო, ბნელნო და
მტრულნო.
ხართ მიმავალი ქუჩა დიად სიჩუმის ბჭესთან,
ჩვენგან ყიამეთ ღამეებში სასიარულო.

მე თქვენი სუნთქვა გზნების მწველ ალს უფრო
მიხელებს,
ითმინე! ბუუტავს ვარსკვლავი და სიზმართ გაცურეს
სამეფოებში, თავის სახელთ რომ არ გვიმხელენ,
გვილებენ მხოლოდ სიზმრებისგან მთლად
განძარცულებს.

III.

შენ, ბნელო გულო, ბნელო ღამევ, შენ,
ვინ ჩასწვდეს წმინდა საძირკველთ თქვენსას
და სიბოროტეს უძიროს, მგესლავს?
ჩვენი ტკივილი ნილაბს აშეშებს –

ჩვენი ტკივილით, ჩვენი გულისთქმით
 ნაქვავებ სიცილს ცარიელ ნილბის
 შემსხვრა ისე, რომ ვერც კი მივხვდით,
 ამქვეყნიური ნივთი ურიცხვი.

ვხედავთ უცხო მტერს, ჩვენ წინ ასვეტილს,
 დაგვცინის, კვდომის უამსაც რომ ვიბრძვით,
 ჩვენი სიმღერა რომ ისმის ძლივს-ძლივს
 და ვერვინ ხვდება, გული რაზე სტირს.

IV.

შენა ხარ ღვინო, დამათრობელი,
 სისხლი მდის გართულს ცეკვებით ტკბილით
 და ყვავილებით ვკაზმავ ჩემს ტკივილს!
 ო, ღამევ, ეს გსურს, ამას მოელი!

ართა ვარ, მკვიდრი შენი წიაღის,
 იტაცებს შენი სიმღერა ქუში
 ბოლო სატკივრის ბგერებს ჩემს გულში
 და უკვდავ ლანდთა თანაზიარს მხდის.

V.

ლრმა სიმშვიდეო, — ო ლრმა სიმშვიდევ!
 ხმა დაიდუმეს ღვთისმოსავ ზართა,
 ურვათა ტკბილო დედავ, მილხინე —
 შენმა მშვიდობამ სიკვდილი ზარდა.
 პირი მოუკარ კეთილი, გრილი
 ხელებით შენით ამ ჩემს ჭრილობებს,
 რომ მათი სისხლი ჩაიქცეს შიგნით,
 ურვათა ტკბილო დედავ, მიოხე!

VI.

სიმღერად გიძლვნი დუმილს გზნებიანს!
 საწყალი კაცის ჩურჩულს რას აქნევ,
 სიცოცხლის ბალს რომ გარიდებია?
 გთხოვ, უსახელოდ ჩემში დასახლდე —

შენ, უსიზმრებოდ ჩემში ნაზარდი,
 ვით ზარი უხმო და უგანგაშო,

ვით ჩემს ტკივილთა სასძლო მწყაზარი
და ჩემთა ძილთა მთვრალი ყაყაჩო.

VII.

მესმოდა მინაში ყვავილთა კვდომის ხმა
და მთვრალი ჩივილი უძირო ჭებიდან,
და რეკვა ზარისა, სიმღერად რომ იქცა,
ღამე და ჩურჩულით დასმული შეკითხვა;
და გული - ო ასე უღვთოდ რომ მოიწყლა -
თავისი საპრალო სიცოცხლის დღეთ მიღმა.

VIII.

სიბნელემ მდუმარედ ჩამაქრო, ჩამშრიტა,
მაქცია უსულო აჩრდილად დღისით –
ავდექ და გამოველ განცხრომის სახლიდან –
ლამეში ჩავყვინთავ!

ახლა კი ეს გული დუმილის კარვად მაქვს,
რომელიც ვერა გრძნობს უდაბურ დღეს -
და შემოგლიმილებს მსგავსად ეკალნართა,
ღამევ - კვლავ და კვლავ!

IX.

ო ლამევ, უტყვო კარიბჭეო, შენ, ჩემთა ტანჯვათ,
იხილე მუქფერ ჭრილობიდან სისხლის თქრიალი
და უკვე პირთან მოტანილი ურვის ფიალა!
ო ლამევ, მზად ვარ!

ო ლამევ, ლამევ, დავინყების გადარე ბაღნარს,
ჩემს სილარიბეს – თვალთუჩინოდ მბრნყინავს –
რომ ერტყმის,
ვენახი ჭკნება, ჭკნობა ელის გვირგვინსაც ეკლის.
ო უამო, დაჟეკარ!

X

იყო დრო, იცინოდა ჩემი დემონი.
მე ვიყავ სინათლე კიმკიმა ბალნართა

და ცეკვა-თამაში მაშინ ძმად მყავდა,
 თან სიყვარულის ღვინით ვთვრებოდა.

იყო დრო, ტიროდა ჩემი დემონი.
 მე ვიყავ სინათლე ტკივილის ბალნართა
 და კრძალვა-სიმდაბლე მაშინ ძმად მყავდა,
 ღარიბის სახლში რომ მნათობად შემოდის.

ან აღარც იცინის დემონი, აღარც ტირს.
 ვიქეცი აჩრდილად დალუპულ ბალნართა
 და ახლა წყვდიადთან წილნაყარ ძმადლა მყავს
 მარტოდენ დუმილი უგრძნობ შუალამის.

XI.

შენთვის მიბრძოლია საწყალლიმილიანს,
 ჩემი ნატირალი ბნელში მიიღია.
 ახლა სადაცაა ეს გზაც გაილევა.

ნეტა შემიშვებდე კვლავაც შენს ტაძარში,
 ვით უნინ – მიამიტს, სულელს, გულგადაშლილს,
 შენ ნინ უხმოდ მლოცველს მინდა გარინდება.

XII.

შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს
 მკვდარი ხმელეთი მდუმარე ზღვასთან,
 მკვდარი ხმელეთი: არასდროს! არსად!
 შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს.


შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს
 ცად, ზედ რომ ენთე ვარსკვლავად ერთ დროს,
 ცად, სადაც ღმერთიც კი ველარ ღმერთობს.
 შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს.

შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს
 შენ – ტკბილ წიაღში არმიღებული,
 და არყოფილი, ღანდისებური!
 შემორჩენიხარ ღრმა შუალამეს.

გერმანულიდან თარგმნა
 რუსულან ბრეგაძემ.

კურტ ვონეგურტი

ადამიანი ჰვეყნის გარეშე



თავი 1

მე ჩემი ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ვიყავი, ნაბოლარა კი ნებისმიერ ოჯახში ხუმარაა, რადგან ხუმრობაა ის ერთადერთი საშუალება, რითაც მას შეუძლია, უფროსების საუბარში ჩაერთოს. ჩემი და ხუთი ნლით იყო ჩემზე უფროსი, ჩემი ძმა კი – ცხრა ნლით; ჩემი ორივე მშობელი კარგი მოსაუბრე გახლდათ. მათვის მოსაწყენი ვიყავი და არ სურდათ ამბების მოსმენა ჩემი სულელური, ბავშვური დღეების შესახებ. მათ ნამდვილად მნიშვნელოვან ამბებზე, სკოლის მაღალ კლასებზე ან უნივერსიტეტსა თუ სამსახურზე სურდათ საუბარი. ამიტომ ერთადერთი გზა, რომლითაც შემეძლო საუბარში ჩართვა, რაიმე სასაცილოს თქმა იყო. მგონი, პირველად შემთხვევით გავაკეთე, მოულოდნელად ვთქვი რაღაც კალამბური, რომელმაც დიალოგი განყვიტა ან რაღაც მზგავსი მოახდინა, ხოლო შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ხუმრობა იყო ის, რითაც შემეძლო შევჭრილიყავი უფროსების საუბარში.

იმ დროს ვიზრდებოდი, როდესაც კომედია საუკეთესო იყო ამ ქვეყანაში. „დიდი დეპრესიის“ ეპოქა იდგა. ტოპ-კომედიანტების დიდი გუნდი მოღვაწეობდა რადიოში და მეც, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, შევისწავლე ისინი. მთელი ჩემი ახალგაზდობის მანძილზე, ღამ-ღამობით, სულ ცოტა ერთ საათს მაინც ვუსმენდი კომედიას და ძალიან დამაინტერესა იმან, თუ რა იყო ხუმრობა და როგორ მუშაობდა იგი.

როდესაც სასაცილო ვარ, ვცდილობ, შეურაცხმყოფელი არაფერი ვთქვა. არა მგონია, ჩემი ნამოღვაწარი საშინლად უგემოვნო ყოფილიყო. არც ის მგონია, რომ ბევრი ადამიანი შევარცხვინე ან შევაძრწუნე. ერთადერთი შოკი, რასაც ვიყენებ, აქა-იქ წარმოთქმული უნმანური სიტყვაა. ზოგი რამ სასაცილოც არაა. ვერ წარმომიდენია, რომ შეიძლება არსებობდეს იუმორისტული წიგნი ან რაიმე პაროდია, მაგალითად, აუშვიცზე (ადგილი პოლონეთში, სადაც

მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკი მდებარეობდა – მთარგმ.), ასევე წარმოუდგენელია ჩემთვის ხუმრობა ჯონ კენედის ან მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობაზე. სხვა მხრივ არ მაგონდება ისეთი თემა, რომლიდანაც გადამეხვიოს ან ვერაფერი მომეხერხებინოს. ტოტალური კატასტროფა საშინლად გასართობია, როგორც ეს ვოლტერმა გვიჩვენა. იცით, ლისაბონის მიწისძვრა სასაცილოა!

მე დრეზდენის დაბომბვა ვნახე. ვნახე ქალაქი მანამადეც და დაბომბვის მერეც; გამოვედი საპაერო თავდასხმის თავშესაფრიდან და ვნახე ქალაქი შემდეგაც და, რა თქმა უნდა, ერთადერთი რეაქცია იყო სიცილი. ღმერთია მოწმე, ესაა სულის მიერ ხსნის ძიება.

ნებისმიერი საკითხი წარმოადგენს სიცილის თემას. მიმაჩნია, რომ ყველაზე საზიზლარ საკითხსაც კი გამოუწვევია სიცილი, მაგალითად, აუშვიცის მსხვერპლთა მიერ წარმოთქმულს.

იუმორი თითქმის ფიზიოლოგიური რეაქციაა შიშზე. ფროიდმა თქვა, რომ იუმორი რეაქციაა იმედგაცრუებაზე. იგია რამდენიმე რეაქციდან ერთ-ერთი. ძალლი, – თქვა მან. – როდესაც ვერ გადის ჭიშკრიდან, ჩხაპნის მიწას და იწყებს თხრას და უაზრო უესტების კეთებას, შესაძლოა, ღრენასაც ან სხვა რამეს, რათა იმედგაცრუებას, ან გაოცებას, ან შიშს გაუმკლავდეს, ხოლო სიცილი დიდნილად შიშითაა გამოწვეული. წლების წინ სასაცილო ტელესერიალებზე ვმუშაობდი. ვცდილობდით დაგვედგა შოუ, რომლის ძირითადი პრინციპი იყო სიკვდილის ყოველ ეპიზოდში ხსენება, რითაც ეს ინგრედიენტი ნებისმიერ სიცილს უფრო ღრმას გახდიდა ისე, რომ აუდიტორია ვერ მიხვდებოდა თავშეუკავებელი სიცილის გამოწვევის მიზეზს.

არსებობს სიცილის ზედაპირული სახეობა. ბობ ჰოუფი, მაგალითად, არ

ყოფილა ნამდვილი იუმორისტი. იგი კომედიანტი იყო და თან ძალიან მცირე დოზით. იგი არასოდეს ახსენებდა რაიმე პრობლემურს. მე სიცილით ვკვდებოდი ლორელსა და ჰარდზე. არადა საშინელი ტრაგედია მათში. ეს მამაკაცები ძალიან საყვარლები არიან ამ სამყაროში იმისათვის, რომ გადარჩნენ და მუდმივად საშინელი ხიფათის ნინაშეც არიან. მათი მოკვლა ისეთი ადვილია.

●

ყველაზე მარტივი ხუმრობაც კი შიშისაგან გამოწვეულ პანაწინა ტკივილს ეფუძნება. მაგალითად, ავილოთ შეკითხვა: „რა არის ის თეთრი რაღაც ჩიტის სკლინტში?“ მსმენელი, რომელსაც თითქოს სკოლაში საჯარო გამოსვლისაკენ მოუწოდებენ, მაშინვე შიშობს, რამე სულელური არ წამოსცდეს. როდესაც აუდიტორია ისმენს ისეთ პასუხს, როგორიცაა „ისიც ჩიტის სკლინტია“, იგი სიცილით ფანტავს ავტომატურ შიშს. ესეც გამომსვლელის შეფასება.

„რატომ უკეთიათ მეხანძრეებს წითელი აჭიმები?“ და „რატომ დაასაფლავეს ჯორჯ ვაშინგტონი გორაკის ფერდობზე?“ და ასე შემდეგ.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ არსებობს ისეთი რაღაცები, რომელთაც უსიცილო ხუმრობები ეწოდება, მათ ფროიდმა სახრჩობელა იუმორი უწოდა. არსებობს ისეთი უიმედო ცხოვრებისეული სიტუაციები, რომელშიც შვება წარმოუდგენელია.

როდესაც დრეზდენში გვბომბავდნენ, ჩვენ კი თავზე ხელებდაფარებულები ვისხედით სარდაფებში იმის შიშით, რომ თავზე ჭერი არ დაგვმხობოდა, ერთმა ჯარისკაცმა წარმოთქვა ისე, თითქოს ჰერცოგის ცოლი ცივ და წვიმიან ღამეს მდიდრულ სასახლეში ყოფილიყო: „ნეტა ღარიბები რას აკეთებენ ამ საღამოს?“ არავის გასცინებია, მაგრამ ჩვენ ყველას გაგვეხარდა,

რომ მან ეს თქვა. სულ რომ არაფერი, ცოცხლები მაინც ვიყავით! მან ეს და-ამტკიცა.

თავი 2

აბა, ვინ იცის, ვინ არის ხეპრე? რო-დესაც, 65 წლის წინ, ინდიანაპოლისის შორთიჯის სკოლის უფროსკლასელი ვიყავი, ხეპრეს ეძახდნენ იმ ბიჭს, რო-მელმაც კბილის პროთეზები დაიმაგრა და ტაქსის უკანა სავარძლებს ღილები დააძრო (ხოლო ფრუტუნა იყო ერთი ბიჭი, რომელიც დადიოდა და გოგონების ველოსიპედის დასაჯდომებს ყნო-სავდა).

ჩემთვის კი ყველა ხეპრეა, ვისაც არ ნაუკითხავს ამბროზ ბირსის მიერ და-ნერილი უმაგრესი ამერიკული მოთხოვნა „შემთხვევა ბუს ნაკადულის ხიდზე“. მოთხოვნა ბოლომდე აპოლი-ტიკური არაა. იგი ამერიკელი გენიო-სის უნაკლო ნიმუშია, ისევე როგორც დიუქ ელინგთონის „განათლებული ქალბატონი“ ან ფრანკლინის ღუმელი (ლითონით მოპირკეთებული ბუხარი, რომელიც ბენჯამინ ფრანკლინმა გამო-იგონა 1741 წელს – მთარგმ.).

მე ხეპრედ ვთვლი ნებისმიერ ადამი-ანს, ვისაც არ ნაუკითხავს ალექსის დე ტოკვილის მიერ დანერილი „დემოკრა-ტია ამერიკაში“. ამაზე უკეთესი წიგნი, ალბათ, არც დაიწერება. იგი ეხება ჩვე-ნი მმართველობის ფორმისთვის დამა-ხასიათებელ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

გსურთ გემო გაუსინჯოთ მაგარ წიგნს? იგი გვეუბნება და 169 წლის წი-ნაც გვითხრა, რომ არცერთ ქვეყანაში ფულის სიყვარულს არ დაუზიანებია ადამიანები ისე, როგორც ჩვენს ქვეყა-ნაში. ასე არ არის?

ფრანგ-ალუირელმა მწერალმა ალ-ბერ კამიუმ, რომელმაც 1957 წელს ნო-ბელის პრემია მიიღო ლიტერატურაში, დანერა: „არსებობს ერთადერთი, ნამ-დვილად ფილოსოფიური პრობლემა და

ესაა თვითმკვლელობა“.

და, აი, ახლა ისევ მთელი ტონა სი-ცილის ნაკადი წამოვა ლიტერატური-დან. კამიუ გარდაიცვალა ავტოავარი-აში. მისი ცხოვრების თარიღები? – ჩვ. ნ. აღრიცხვის 1913-1960 წ.წ.

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ყველა დი-დი ლიტერატურული შედევრი, მაგალი-თად: „მობი დიკი“, „ჰეკლბერი ფინი“, „მშვიდობით, იარალო“, „წითელი ასო“, „სიმამაცის წითელი ნიშანი“, „ილიადა“ და „ოდისეა“, „დანაშაული და სასჯე-ლი“, „ბიბლია“ და მსუბუქი ბრიგადის პასუხისმგებლობაც (წარუმატებელი სამხედრო მოქმედება, რომელშიც მო-ნაწილეობდნენ ბრიტანელი მსუბუქი მხედრები რუსული ძალების წინააღ-მდეგ ყირიმის ომში – მთარგმ.) იმაზეა, თუ რა ბედოვლათია ადამიანი.

ევოლუციას ჯანდაბამდეც გზა ჰქო-ნია, მე კი კარგად ვიცი, რომ ბუნების შეცდომა ვართ. ჩვენ ეს საყვარელი, სიცოცხლის მხარდამჭერი პლანეტა – ერთადერთი მთელ ირმის ნახტომში – ერთი საუკუნის ასაკის სატრანსპოტო ლრიანცელით, სიკვდილის პირას მივიყ-ვანეთ. ჩვენი მთავრობა ომს ანარმო-ებს ნარკოტიკების წინააღმდეგ, არა? თან ბენზინს ირჩევს, საუბრობს მაღალ ხარისხზე! შენ კი ასხავ ნივთიერებას მანქანაში და ას კილომეტრს ავითარებ საათში, გადაუვლი მეზობლის ძალს ან ატმოსფეროს ნამსხვრევებად აქცევ-ჰეთ თუ ჰომო საპიენსებად უნდა დავ-რჩეთ, რატომდა ვურევთ ყველაფერს? მოდი და დავანგრიოთ, რაც გვაბადია. ვინმეს გაქვთ ატომური ბომბი? ანდა ვის არ აქვს ატომური ბომბი დღეს? მაგრამ ამას ვამბობ კაცობრიობის და-საცავად: მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ეპოქას ავიღებთ ისტორიაში, ედემის ბალის ჩათვლით, ყველა აქ არის მოსუ-ლი და, გარდა ედემის ბალისა, ყველა ამ თამაშს შეეძლო, შენი გიუური საქ-ციელი გამოეწვია, გიუიც რომ არ ყო-ფილიყავი, შენით დაიწყებდა. ზოგიერ-

თი სიგიურის ჩამდენი თამაში დღეს რაც ხდება, არის სიყვარული და სიძულვილი, ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი, ავტომობილები და საკრედიტო ბარათები, გოლფი და გოგონების კალათბურთი.

●
 მე ამერიკის დიდი ტბების ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ, მათი მტკნარი წყლების ადამიანი, არა ოკეანის, არამედ კონტინენტის კაცი ვარ. როცა არ უნდა შევიდე ოკეანეში საცურაოდ, ყოველთვის ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ქათმის სუპში მივცურავ.

ჩემ მსგავსად მრავალი ამერიკელი სოციალისტიც მტკნარი წყლის ადამიანი იყო. ამერიკელთა უმეტესობამ არ იცის, ნინა საუკუნის პირველ ნახევარში სოციალისტებმა რა გაუკეთეს ხელოვნებას, მჭევრმეტყველებას, უნარჩვევების ორგანიზებას, რათა აემაღლებინათ თვითპატივისცემა, ამერიკელ დაქირავებულ მუშახელთა, ჩვენი მუშათა კლასის ლირსება და პოლიტიკური გამჭრიახობა.

მუშახელი, სოციალური პოზიციის ან უმაღლესი განათლების, ან სიმდიდრის გარეშე კი არის დაბალი ინტელექტის ადამიანი, მაგრამ ეს არ უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდებული მნერლები და მოსაუბრები სილრმისეულ საკითხებზე თვითნასწავლი მუშები იყვნენ. მე, რასაკვირველია, ვგულისხმობ ილინოისელ კარლ სენდბერგსა და თავიდან კენტუკელ, შემდეგ ინდიანელ და ბოლოს ილინოისელ აბრაამ ლინკოლნს. შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ჩემსავით კონტინენტის, მტკნარი წყლის ადამიანები იყვნენ. კიდევ ერთი ასეთი დიდებული მოსაუბრები იყო სოციალისტური პარტიის კანდიდატი იუჯინ ვიქტორ დებსი, ლოკომოტივის ყოფილი ცეცხლფარეში, რომელიც საშუალო ფენის ოჯახში დაიბადა ინდიანას შტატის ქა-

ლაქ ტერა ჰოთში.

ვაშა, ჩვენს გუნდს!

„სოციალიზმი“, ისევე როგორც „ქრისტიანობა“, აღარ არის ბოროტი სიტყვა. იგი აღარ მიენერება იოსებ სტალინს და მის საიდუმლო პოლიციას თუ დაკეტილ ეკლესიებს, ისევე როგორც ქრისტიანობა აღარ მიენერება ესპანურ ინკვიზიციას. ქრისტიანობა და სოციალიზმი ერთნაირად მიეკუთვნება საზოგადოებას, რომელიც ერთგულია დებულებისა, რომ ყველა მამაკაცი, ქალი და ბავშვი დაბადებიდან თანასწორია და არ უნდა შიმშილობდეს.

ადოლფ ჰიტლერი, სხვათა შორის, ორმაგი სტანდარტისა იყო. თავის პარტიას ნაციონალ-სოციალისტები, ნაცისტები უწოდა. ჰიტლერის სვასტიკა არ ყოფილა წარმატული სიმბოლო, როგორც ეს ბევრს ჰგონია. იგი მშრომელი ადამიანის ქრისტიანური ჯვარი იყო, ნაჯახებისა და იარაღებისაგან გაკეთებული.

რაც შეეხება სტალინის ჩარაზულ ეკლესიებს და ასეთებს დღეს ჩინეთში, რელიგიების ასეთი ჩახშობა, ალბათ, ამართლებდა კარლ მარქსის განაცხადს: „რელიგია ადამიანის ოპიუმი“. მარქსმა ეს 1844 წელს თქვა, როდესაც ოპიუმი და ოპიუმის ნაწარმი ერთადერთი ეფექტური ტკივილგამაყუჩებელი იყო და მისი მიღება შესაძლებელი იყო. მარქსმაც მიიღო. იგი მადლობელი იყო იმ დროებითი შვების გამო, რაც ამ საშუალებამ მოჰკვარა. რასაკვირველია, იგი აკვირდებოდა, მსჯავრს არ სდებდა იმ ფაქტს, რომ რელიგიაც შეიძლება ყოფილიყო დამშვიდების საშუალება ეკონომიკურ და სოციალურ უბედურებაში. ეს ჩვეულებრივი ტრუიზმი (ჭეშმარიტება – მთარგმ.) იყო და არა აფორიზმი.

როდესაც მარქსმა ეს სიტყვები დანერა, მას მონებიც კი არ ჰყავდა ჯერ გათავისუფლებული. ვინ იყო, თუ იცით, უფრო სასიამოვნო საყურებე-

ლი მოწყალე ღმერთის თვალით მაშინ, კარლ მარქსი თუ ამერიკის შეერთებული შტატები?

სტალინი ბედნიერი იყო, მარქსის ტრუიზმი რომ კანონად გაიხადა. ასევე იყვნენ ჩინელი ტირანებიც, რადგან ამან შესამჩნევად გააძლიერა ისინი და შეაძლებინა, ბიზნესიდან გაეყვანათ ყველა ის მქადაგებელი, რომელიც ცუდად მოიხსენიებდა მათ მიზნებს. ამ გამონათქვამშა განაპირობა ბევრი ადამიანის მოსაზრება ჩვენს ქვეყანაში, რომ სოციალისტები ანტირელიგიურები არიან, ანტილვთიურები და შესაბამისად – აბსოლუტურად აუტანლები.

არასოდეს შევხვედრივარ კარლ სანდბერგს ან იუჯინ ვიქტორ დებს, ნეტა შევხვედროდი. ენა ჩამივარდებოდა ამ ეროვნულ საგანძურთა წინაშე, თუმცა მათი თაობის ერთ სოციალისტს კი ვიცნობდი – ინდიანაპოლისელ ფაუერს ჰეფვუდს. იგი ტიპური ინდიანელი იდეალისტი იყო. სოციალიზმი იდეალისტურია. ჰეფვუდი, დებსის მზგავსად, საშუალო ფენიდან იყო, რომელსაც მიაჩნდა, რომ ამ ქვეყანაში მეტი ეკონომიკური სამართლიანობა უნდა ყოფილიყო. მას უკეთესი ქვეყანა უნდოდა, სულ ესაა.

ჰერვარდის კურსდამთავრებული სამუშაოდ ქვანახშირის მემაღაროვედ წავიდა, რითაც თავის მუშათა კლასის თანამოძმეებს მოუწოდებდა, დარაზმულიყვნენ უკეთესი ჯამაგირისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების მისაწევად. იგი ასევე 1927 წელს მასაჩუსეტში ანარქისტების, ნიკოლა საკოს და ბართოლომეო ვანზეტის დასჯისას წინ მიუძღვოდა გამპროტესტებლებს.

ჰეფვუდის ოჯახს წარმატებული საკონსერვო ქარხანა ჰქონდა ინდიანაპოლისში და, როდესაც იგი ფაუერს ჰეფვუდმა მემკვიდრეობით მიიღო, დასაქმებულებს გადასცა, მათ კი გაანადგურეს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების

შემდეგ შევხვდით ერთმანეთს ინდიანაზები პოლისში. იგი ოფიციოზი გამხდარიყო ცენტრალურ საინფორმაციო ოფისში. გარკვეული სახის არეულობა და პიკეტი იყო და ამის თაობაზე სასამართლოს ჩვენებას აძლევდა, მოსამართლემ კი შეაჩერა და ჰქითხა: „მისტერ ჰეფვუდ, აგერ ბრძანდებით, ჰარვარდის კურსდამთავრებული. რატომ უნდა აირჩიოს თქვენი შესაძლებლობების ადამიანმა ისეთი ცხოვრება, რომელიც თქვენ გაქვთ?“ ჰეფვუდმა უპასუხა მოსამართლეს: „რატომ და მაცხოვრის მთაზე ქადაგების გამო, სერ!“

და კიდევ ერთხელ ვაშა ჩვენს გუნდს!



მე მხატვართა ოჯახიდან ვარ. მეც იქვე ვარ, ხელოვნებაში ვაკეთებ ფულს. მეამბოხე არასოდეს ვყოფილვარ, თითქოს ოჯახიდან „ესოა“ ბენზინ-გასამართი სადგური მრგებოდეს. ჩემი წინაპრები ყველანი ხელოვანები იყვნენ. ამიტომ მეც უბრალოდ თავი გამაქვს ტრადიციულ საოჯახო სფეროში, მაგრამ მამაჩემმა, რომელიც მხატვარი და არქიტექტორი იყო, მტკიცნეულად გადაიტანა დეპრესიის ჰერიოდი. თავი ძლივს გაჰქინდა, ამიტომ იფიქრა, რომ ხელოვნება მისი საქმე არ იყო. გამაფრთხილა, ხელოვნებისაგან თავი შორს დამეჭირა, რადგან ფულის საკეთებლად მისთვის იგი სრულიად უსარგებლო გამოდგა. მითხა, რომ უნივერსიტეტში შემეძლო მესწავლა, თუკი რაიმე სერიოზულს, რაიმე პრაქტიკულს მოვკიდებდი ხელს.

კორნელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გახლდით, სპეციალობით ქიმიკოსი ვიყავი, რადგან ჩემი ძმა ბობოლა ქიმიკოსი გახლდათ. კრიტიკოსები გრძნობენ, რომ ადამიანი სერიოზული ხელოვანი ვერ იქნება, თუ ტექნიკური განათლება აქვს მიღებული, ისევე როგორც მე. ვიცი, რომ ინგლისურის ფაკულტეტზე უნივერსიტეტებ-



ში ჩვევად არის გადაქცეული (და თან შეუგნებლად) შიშის დანერგვა საინჟინრო, ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტებზე. შემდეგ ეს შიში, ჩემი დაკვირვებით, ლიტერატურულ კრიტიკაშიც გადადის. ჩვენი კრიტიკოსების უმეტესობა ინგლისური ფაკულტეტის ნაწარმია და საკმაო ეჭვით უყურებს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ტექნოლოგიისადმი ინტერესს გამოხატავს. ასეა თუ ისე, მე, ქიმიკოსის სპეციალობით, ყოველთვის მოქოქილი ვარ ინგლისური ფაკულტეტის მასწავლებლად. ჰოდა, მეც შევიტანე ლიტერატურაში საბუნებისმეტველო აზროვნება. ამისთვის დიდი ვერაფერი მადლობა დავიმსახურე.

ვიღაცამ დაადგინა, რომ მე ვიყავი სამეცნიერო ფანტასტიკის მწერალი. ასეთი კლასიფიცირება არ მდომებია, ამიტომ დამაინტერესა, ვის რა ვაწყენინე, სერიოზული მწერლის სტატუსი რომ არ დავიმსახურე. მერე გადავწყვიტე, რომ, ალბათ, ტექნოლოგიებზე რასან ვწერდი, ამიტომ მიმაკუთვნეს სამეცნიერო ფანტასტიკის მწერლობას ან იმიტომ, რომ ნიუ იორკის შტატის ქალაქ შენექთადის შესახებ დავწერე. ჩემი პირველი წიგნი „პიანინზე დამკვრელი“ შენექთადიზე იყო. იქ, უზარმაზარი ქარხნების გარდა, სხვა არაფერია. მე და ჩემი პარტნიორები ინჟინრები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები და მათემატიკოსები ვიყავით, ხოლო, როდესაც ელექტრონულ კომპანიასა და შენექთადიზე დავწერე, ლიტერატურის კრიტიკოსებს მომავლის ფანტაზიად მოეჩენათ, ისინი ხომ არასდროს ყოფილან იმ ადგილას.

ვფიქრობ, რომ რომანები, რომლებიც ტექნოლოგიას გამორიცხავენ, ისევე არასწორად ხსნიან ცხოვრებას, როგორ არასწორადაც ხსნიდნენ მას ვიქტორიანელები, ანუ სექსის გარეშე.

●
1968 წელს დავწერე „სასაკლაო ნო-

მერი ხუთი“. უკვე საკმაოდ ზრდასრული ვიყავი იმისათვის, რომ დრეზდენის დაბომბვის შესახებ დამენერა. ეს ევროპის ისტორიაში უდიდესი ხოცვა-ულეტვა იყო. რასაკვირველია, ვიცოდი აუშვიცზე. ეს იყო უამრავი ხალხის განადურება მოკლე დროში. 1945 წლის 3 თებერვალს დრეზდენში ერთ ლამეში დაახლოებით 135,000 ადამიანი დაიღუპა ბრიტანული საჰაერო დაბომბვის შედეგად.

ეს სრული ნონსენსი იყო – უაზრო განადგურება. მთელი ქალაქი ჩაინვა ბრიტანელების სისასტიკის გამო, არა – ჩვენ გამო. მათ ლამით ბომბდამშენები შემოგზავნეს და ახალი ტიპის ცეცხლგამჩენი ბომბებით მთელი ქალაქი ცეცხლს მისცეს. ირგვლივ ყველაფერი, ჩემი სამხედრო ტყვეების ჯგუფის გარდა, ცეცხლმა შთანთქა. ეს სამხედრო ექსპერიმენტი იყო იმის დასადგენად, რამდენად შესაძლებელი იყო მთელი ქალაქის გადაბუგვა ცეცხლგამჩენი ბომბების მიმოფანტვით.

რა თქმა უნდა, როგორც ომის ტყვეებს, პირდაპირი შეხება გვქონდა დახოცილ გერმანელებთან. სარდაფებს ვთხოიდით, რათა იქ გაგუდულიყვნენ, შემდეგ კი გვამები უზარმაზარ კოცონზე მიგვქონდა. მერე გავიგე, რომ ამ პროცედურას თავი დაანებეს, რადგან იგი ძალიან ნელი იყო, მაგრამ ქალაქში საკმაოდ ცუდი სუნი დადგა. ამიტომ ცეცხლსატყორცნებით აღჭურვილი ხალხი შემოიყვანეს.

რატომ არ დაგვხოცეს მე და ჩემი მეგობარი ტყვეები, არ ვიცი.

1968 წელს მწერალი ვიყავი. უსაქმურად დავყიალობდი. ნებისმიერ რამეს დავწერდი, ფული რომ მეკეთებენა, ხომ ხვდებით? და ამიტომ უნდა დამენერა რამე წიგნი დრეზდენზე – რაც ვნახე, გამოვიარე. ხომ იცით, ისეთი, რომლის მიხედვითაც ფილმს გადაიღებდნენ, სადაც დინ მარტინი, ფრენქ სინატრა და სხვები ითამაშებდნენ. შევეცადე დამე-

წერა, მაგრამ არ გამომივიდა. ისევ ნა-
გავს ვწერდი.

მეც ავდექი და ჩემს მეგობარ ბერნი
ოპერას სახლში ვესტუმრე. ჩემს საუკე-
თესო მეგობართან ერთად ვცდილობ-
დი, სასაცილო რამეები გამეხსენებინა
დრეზდენის ტყვეობის პერიოდიდან,
მძიმე საუბარი გვქონდა ყველაფერ
იმაზე, რაც ომზე ლაზათიან კინო-
ფილმს შექმნიდა, ხოლო მისმა ცოლმა
მერი ოპერამა თავისი თქვა: „ნეტა რას
ითხოვთ, მაშინ ბავშვები იყავით!“

ჰოდა, ეს სიმართლე იყო ჯარისკა-
ცებზე. ისინი მართლაც ჩვილები არიან
და არა კინოვარსკვლავი დიუკ უეინი
(ამერიკული ვესტერნების მსახიობი –
მთარგმ.). როცა მივხვდი, რომ ეს იყო
მთავარი, საბოლოოდ გავთავისუფლდი
სიმართლის სათქმელად. ჩვენ ბავშვები
ვიყავით და ამდენად „სასაკლაო ნომე-
რი ხუთის“ ქვესათაური გახდა – „ბავ-
შვთა ჯვაროსნული ლაშქრობა“.

რატომ დამჭირდა ოცდასამი წე-
ლი იმის დასაწერად, რაც დრეზდენში
გამოვიარეთ? სახლებში ყველანი ჩვე-
ნ-ჩვენი ამბებით დავბრუნდით და ყვე-
ლას გვინდოდა, ისინი ამა თუ იმ სახით
გამოგვეყენებინა. ამიტომაც, რასაც მე-
რი ოპერი გვეკითხებოდა, არსებითად
იყო – „სიმართლეს ხომ არ მოყვებო-
დით მრავალფეროვნებისათვის?“

ერნესტ პემინგუეიმ პირველი მსოფ-
ლიო ომის შემდეგ მოთხოვის „ჯარის-

კაცის სახლი“ იმაზე დაწერა, როგორიცაა
უზრდელობა იყო შინდაბრუნებული
ჯარისკაცისათვის გეკითხა – რა ნახა.
მგონი, ბევრ ადამიანს, ჩემი ჩათვლით,
ენა უვარდება, როდესაც სამოქალაქო
პირი გეკითხება ბრძოლის, ომის შესა-
ხებ. ეს მოდური იყო. ერთ-ერთი ყვე-
ლაზე შთამბეჭდავი გზა საკუთარი საო-
მარი ამბის თხრობისა არის მოყოლაზე
უარის თქმა. ხომ გესმით? მოქალაქეებ-
მა შემდეგ თავად უნდა ნარმოიდგინონ
ყველანაირი საქმენი საგმირონი, მაგ-
რამ, ვფიქრობ, ვიტნამის ომმა გამა-
თავისუფლა მეც და სხვა მნერლებიც,
რადგან მან ჩვენი ლიდერები თუ მო-
ტივები ბინძურად და არსებითად ბრიყ-
ვულად ნარმოაჩინა, ჩენ კი ბოლოს და
ბოლოს შეგვეძლო ვესაუბრა იმ ნარ-
მოუდგენლ ბოროტებაზე, რომელიც
გავუკეთეთ ყველაზე საშინელ ხალხს,
ნაცისტებს, ხოლო, რაც მე ვნახე, რა-
ზეც დავწერე, იმან ომი სიმახინჯედ
ნარმოაჩინა. იცით? სიმართლე შეიძლე-
ბა იყოს მართლა ძლიერი რამ, ისეთი,
რასაც არ ელოდები.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთი მიზე-
ზი, რატომაც არაფერი უნდა ვთქვათ
ომზე, ისაა, რომ იგი ენით გამოუთქმე-
ლია.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო თოხაძემ

ISSN 1987-5762



ඡාසු 3 පාඨම්